



№ 5 // 2019

ლიცეუმი –
სამთავრობო გუნდი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელითაშვილი

რედაქტორ-სტილისტი
ქათევან მერკვილაძე

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი
ქათი გომართელი

სარედაქციო კოლეგია

ანდრო ბედუპაძე
თავისულის მარე

რონ აბუსელიძე
გიორგი ალიაგაშვილი
ივანე ამირხანაშვილი
ბალათშვირ არაბული
ლაშა ბაჭრაძე
ნაირა ბეგიშვილი
ლევან ბრეგაძე
გენრი ღოლიძე
გურამ ღოჩანაშვილი
ზეინა კვარაცხელია
ლანა განველი
გაგა ნახუცრიშვილი
გიორგი სოსიაშვილი
მაია ტურაგვალიძე

ამირანი გამოიცის
საწართვებოს განათლების,
მუნიციპალიტეტის, კულტურისა და სპორტის
სამინისტროსა მსარბაჭით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

პოვინი		პრიტის. ესისტის	
ქეთი მაქაძე ლექსები	3	ზვიად კვარაცხელია გადაკვეთის წერტილები	47
გიორგი ბერულავა ლექსები	7	ახალი თარგმანები	
გაგა გომართელი ლექსები	11	ოლდოს ლეონარდ ჰაქსლი ნორჩი არქიმედე მოთხოვნეა ინგლისურიდან თარგმნა მასა ცერცვაძემ	54
დოკამატურგი			
ანა სანაია	16		
შემდეგი გაჩერება „დიაგონალი“			
პროფესი	40	არტრევი	
ოლანი ბინაძე ნოველები		იოსებ ჭუმბურიძე ნანი – საუკუნის მომღერლის თავმდაბლობა და სიამაყე	82

გარეკანზე – ნანი ბრეგვაძე ზურაბ ნიუარაძის სახელოსნოში – 2018 წელი
(შოთა კალანდაძის ფოტო)

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
განთავსდება ჩვენს ფეისბუქვერდზე: <https://www.facebook.com/ciskari1852>

ქეთი მაქაძე



●
შენ შორს ხარ,
მონატრება კი წვეთ-წვეთობით ემატება
ჩემი დღეების სევდას.
სევდა გავფინე, ქარს კი შენსკენ მოჰქონდა.
ეს ორი დღეა, გაუსაძლისად მენატრებოდი...
ეს ორი დღეა გაუსაძლისად ქროდა ქარიც.

●
სისხლი, რომელიც ღამის სიზმრებს თვალებიდან
ნამნამებზე შავი ტუშის ნაცვლად სდიოდათ.
ტკივილს ნიშნავდა,
რომელსაც ყოველთვის ერთ-ერთი გრძნობდა.
დილას ნამნამებს შავი ტუში უბრუნდებოდა.
სარკე ღამის სიზმრებს ვერ ირეკლავდა, რაც
იმას ნიშნავდა, რომ ტკივილი თორმეტი საათით
იძინებდა.

●
ტკივილები ყოველთვის სარეცელთან იხდიან
იმედებს,
როგორც
ქალი, რომელსაც არ ეძინება და ძალით წვება
დასაძინებლად.

ძალით იხდის დღისგან დამტვერილ ტანისამოსს
 და ძალით იცვამს პერანგს,
 რომელიც, შეგეძლო, შენ ჩაგეცმია.
 თხელ იმედებს ტანზე იფარებს,
 სინათლის გამორთვას ცდილობს, მაგრამ არ ქრება;
 წაკითხვას – მაგრამ წიგნს ვერ შლის;
 შლის წერილებს, რომლებსაც გწერდა,
 მაგრამ ქოთანი, რომელიც გამოძერნა
 ამაოდ იმსხვრევა,
 მასში არსებული ყვავილები კი იატაკზე
 თანმიმდევრულად მიჰყვებიან ერთმანეთს,
 ისევე როგორც ჩვენი ლექსები.
 ალბათ, გვინია არ მიყვარხარ,
 რადგან მხოლოდ ჩემს ტკივილებზე ვლაპარაკობ.
 ჰო, ჩვენ სხვადასხვა ტკივილები გვაქვს.
 ზურგჩანთას არ დაგიმძიმებ...
 მე ვიქნები ცუდად
 და შენ მიყურე...
 მხოლოდ მიყურე!..



შენს ხალებს ვითვლი,
 როგორც მეოცნებე – ღამით ვარსკვლავებს.
 ისინი მინათებენ სიზმრისკენ მიმავალ გზას.
 ვან გოგის ნახატს მიაგავს
 ლურჯ ზეცასაც ვარსკვლავები გამონაყარივით
 აყრია – შენსავით.
 ჰო, მგონია, რომ
 შენს ყელზე მიმოპნეული ციცინათელები დაეძებენ
 ღამის გზას
 ისე, როგორც მე,
 როცა ღამის ძილში მაკოცეთ, ყველაფერს მივხვდი
 მაგრამ არ მითქვამს.
 და ვერც ახლა გეტყვით ამ ლექსით.



კოჭლი სიზმრებიდან დილით მზეს ვეღარ ვამჩნევ.
 ივლისის შემომხმარ მზესუმზირებს ვგავარ.
 არსაით წყალი რომ არ ჩანს.
 ღამით, როდესაც შენს ზენარზე მეძინა,
 ღრუბლისფერ ბალიშზე შენი სიზმრები ეწყო –
 ფერად-ფერადი,
 ვარდისფერი სიზმრებივით.

რომლებიც ღამის ძილს მიუერადებდა.
შენი ვარდისფერი პერანგი მეცვა
და თითქოს შენ ვიყავი.

ასე მარტივად სხვისი სხეული არასოდეს ჩამიცვამს.



როცა მოგენატრები სამოსების სურნელს
შეამოწმე—
ჩემი ექნება.
გაიხსენებ, წვიმაში როგორ მომახურე მწვანე
პერანგი —
ჩვენი არსებობის მელაქნოლია.
მარტოობის მწვანე ტბა, სადაც, თუ ჩაიძირე,
უკან ამოსვლა ძნელდება,
როგორც შენი ქამელეონი, აპრილის მცხუნვარე
მწვანე თვალები.
ყოველჯერზე წვიმებს შეამოწმებ,
ექნება თუ არა ჩემი სურნელი.
ამით მიხვდები, რომ გენატრები.
მე კი ვიგრძნობ შენს სურვილს
და, როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
მზეს გავხედავ.
შენ კი, იქვე მყოფი — ეჭვებით სავსე
მზეს ჩააქრობ,
რომ სიბნელეში ერთად ვიაროთ.




როცა პატარა გოგონა,
სახლში გვიან ღამით მარტო ბრუნდები,
ეს დღეებზე შურისძიებაა,
რადგან დღისით საკმარისზე მეტს ჩაჰავდე ხელი,
გაიყოლე ერთ ჭიქა ყავაზე.
ახლა მხოლოდ შენი ჩრდილი გჭირდება —
გრძელი შავი თმით და ღამისფერი თვალებით.
და შენ და შენ ჩრდილმა ისევ უნდა იპოვოთ ძალა,
დღეებს დაუმეგობრდეთ.



ჩემი გზები ძალიან გრძელი და რთულია,
თუმცა ამ გზებზე
ჩემი წვრილი და თხელი სილუეტი
ყოველთვის გარკვევით მოჩანს.
ნაცრისფერი ჰაერით ივსება საღამო.

სამყაროც ნაცრისფერდება, როგორც ფერფლი.
 დიდ, ცისფერ ფანჯარასთან ვდგავართ
 ჭავჭავაძეზე.
 მწერალი ენევა ერთ ღერ სიგარეტს.
 საშიშიც არაფერია.
 გეთანხმებით,
 მაგრამ მე ჩავიფიქრე ეს სცენა.
 ახლა ამ სცენაზე ორნი ვდგავართ და ვიღაც
 მესამე ყოველთვის ჩვენი მოთამაშეა.
 ღია ცისფერი კაბა მაცვია...
 უკან ვბრუნდები
 და არ ვამოწმებ, მიყურებს თუ არა.
 არც ამაშია ფილოსოფია.
 მაშ, რაშია?
 პირველ პირში წერა სახიფათო რამ არისო,
 ერთმა გოგომ მითხრა.
 ეს გოგონა ჩემი ძლიერი მხარეა.
 მგონია, რომ ზოგჯერ მე ვარ.
 ვფიქრობ, მწერლობაც სახიფათოა,
 რადგან ყველაფრის მოზომვა გინევს –
 თეატრში დაწყებულ სპექტაკლს ჰგავს –
 ცხოვრების პანტომიმაა,
 ანტრაქტის გარეშე.





გიორგი ბერულავა

ჩემს იქით ჩემი სახლია

ჩემს იქით ჩემი სახლია,
ჩემს შემდგომ ზღვათა ფერები,
მაინც ყოველი თალხია,
რასაც რომ შევეფერები.

არც გალავანი მარტყია,
არც ნაპირები სველები,
ვინც მყავდა, ისევ მაკლია,
როგორც შორს წანასვლელები.

ზოგჯერ უტყვი და მარლია,
ზოგჯერ მორევის ბნელებით
ცოდვილობს გული კარლია,
ცხადით და გასამხელებით.

ყველა სიზმარი მარცხია,
ყველა დღე – მონაჩვენები,
დრო სადღაც შეურაცხია
და სადღაც – შენაჩვენები.

არ ვარ წყალობის ამკრეფი,
ელდით ვარ დანაბარები,

ასჯერ ათასი ნაფლეთი
და ისევ განამრთელები.

ჩემს იქით ჩემი სახლია,
ჩემ შემდგომ ზღვათა ფერები,
მაინც ყოველი თალზია,
რასაც რომ შევეფერები.

სიჩუმე

კვლავ მოციმულე სველი ქუჩის სიჩუმე დარჩა,
და თანდაყოლით თანაბარი ფიფქები ბარდნის,
ჩამოიშალა მოფარფატე ფაქიზი ფარდა,
ახალი განცდა უსასრულო ქროლვის და ვარდნის.

ჩემი ოთახი ისევ ჰგავდა მოხუცის ჩანთას –
ეს სამყოფელი სანუკვარი ბინაა მარცხის,
კედელზე ბინდის საუკუნო სიყვითლე გაჩნდა,
სარკმელზე – ცივი მდუმარება ძველმანი ფარჩის.

ილეოდა სევდა გზაზე

როცა ნისლი უხამური მიიღია სველ ფიქალზე,
ვით მალული შეხვედრები უხმაურო განშორებით,
ილეოდა სევდა გზაზე,
იმდვრეოდა სევდა ზღვაზე,
ზღვა ღელავდა გაუვალი სანაპიროს გაყოლებით.

ყავის ლექი მიებინდა ფაიფურის თეთრ ფინჯანზე
მოვის კაბა მოეფარა ჩემს საწადელ შიშველ სხეულს,
ის ნამია მინანქარზე,
ის ნაზია მინანქარზე
და მაინც ჰგავს გარიურაჟებს მეჩერებზე შემოხვეულს.

მოგონება ვარდისფერთა საამებელ ვრცელ ფირმანზე,
კვლავ მტოვებდა უნუგეშოდ, უიმედოდ გარიდებულს,
ილელვებდა უცხო ქალზე,
იმდერებდა უცხო ქალზე,
შორეული ზღვისპირეთის ძველ სიმღერას დავიწყებულს.

როცა ნისლი უხამური მიიღია სველ ფიქალზე,
და, ისევე როგორც წინათ, ბორიალთა დინებებით
ილვრებოდა წვიმა ქარზე,

იცვლებოდა წვიმა ქარზე,
ქარი ქროდა ანაზდეულ გრიგალებზე მინებებით.



უკვე თოვლია, ზამთარია ხმელი და ცივი,
უკვე თოვლია – ზმანებებში გაუნდობელი
მეძახის ჩემი გაზაფხულის პირველი სხივი,
შორეთის გრძივი მოგონების ხმა უთხრობელი,
ასეთი მნირი ზამთარია – ხმელი და ცივი.



შეხედე, როგორ ყვავილობენ, როგორ ეტრფიან,
მზეს და გაზაფხულს, იები და ყოჩივარდები,
თუმც ნამიანი ბაგეებით იმას გეტყვიან,
რომ სიყვარულთან განშორებით გაქრნენ დარდები,
რომ მათი კონა კვლავ გააჩენს ახალ სიყვარულს.



რადგან ყოველი ჩვეულება კვალია რისხვის,
მიწის, რომელიც დაიმკვიდრებს საკუთარ ადგილს,
სიბრძნე მოთმენილ საბოლოო ფიქრებში იცდის
და არასოდეს ემსგავსება ზმანება ნამდვილს,
ჩაქრება, იტყვი, რომ ფერფლია და აღარ იწვის.



კვლავ მახსოვს, როგორ შეველიე სიყვარულს პირველს
და ამისათვის დღენი ჩემი რომ უნდა ვგვემო,
სულ მცირე დროით ვემსახურე მლოცველს და მწირველს,
ის გულწრფელობა მინდა, ისევ კვლავ დავიჩემო,
რომ აღარ ვგავდე შემდარებელს და მიმომხილველს.



იქნებ უბადლო მივიჩნიე უზომოდ ჭრელად
ძველად, როდესაც მდუმარების დავდევი ფიცი,
არ გამოვდექი სილამაზის უებრო მცველად,
რად ვერ ვიგუე, ვერ გავიგე და არა ვიცი...

მე სისხლის ჭავლით ჩემი მზერა შევღებე ძველად.



ცივი თვალების მზერა,
გულს გამოთიშავს ძლეულს,
რატომძაც შენი მჯერა
უკვე მნუხრგამოლეულს.


დარდი, დარდი და დავა,
გერ დავაშორე წადილს,
მივყავარ, სადაც წავა
მომავალს მსგავსში გაცვლილს

მიცნობ!.. მე უკვე სხვა ვარ,
სხვა, ვინც არავის ახსოვს,
სადარად ფარდას ვგავარ,
სადას და ხელით ნაქოსვს.

ზეინი ვიყავი თოვლის,
ვცხრები ნელა და – ბნელა,
სიცხადეს ძონის მძივის
დრომ უცებ გამაშველა.

გიძღვნი ჩემს შთამომავალს,
ვტოვებ მარტოსულს, დახსნილს,
გარდამავალს და მრავალს,
გარდასულსა და განცდილს.

არ მახსოვს, ვის რა უნდა,
ვარ მომთმენელი ყოვლის,
ვიყავი თოვლის გუნდა
სველის და ლეგა თოვლის.



გაგა გომართელი



მზის პორტრეტი

მზის გახუნებული პორტრეტი –
ფერები ლოტრეკის მსგავსია.
ღრუბლებმა მთებს თავი მოკჰვეთეს,

და ზამთრის მოლუშულ ხასიათს

უხდება ეს ჩემი დუმილი.
ყურმილიც დუმილის ტრანსშია,
არ მშია არც ღვინის წყურვილით,

ვიმყარებ სათქმელს და ხვაშიადს.

თვალებმა ნაფიქრი დაკარგეს.
გადამრევს განცდების მოვარდნა,
მოვალ და შენს გულში გადამრგე,

რომ ფსევდოპუმანურ მორალთან

გავწყვიტო ის ბოლო ფესვი და
შემცივდა უდაბნოს ქარივით.
ღარიბი ჯანდაბას ლექსიკა,

ლექსით თუ არა ვარ ღარიბი.

თარიღებს ცხოვრება დატოვებს,
მაღროვე დავცინო სატირას.
შენს ფიქრში დახატულს ვაგროვებ,

და ამ მზის პორტრეტის მაგივრად.
აენთონ ცაზე და იწვოდნენ,
იქ ვგრძნობდე წარსულის ჰარაკირს,
ძვირფასო, მე რწმენა გიწოდე,
შენ კი, რაც გინდა, ის დამარქვი.

არე-ული

გუბეს აყრია ფოთლის გემები,
კიპარისები დგანან წყვილებად,
ცხოვრებისეულ მონაცემებით
ამ ღამითაც არ დამეძინება.
ასე საწყალი და უსუსური
არე ბინდშია გადამღვრეული
ვკითხულობ ლოცვას ნუსხა-ხუცურით
და სულს ჩაესმის არამეული.
ნამნამებს მთვარეს სულ ოდნავ ვახებ,
ვით ჩვილი ზეცას რომ ჰყავს მიკრული,
ჩემს ირგვლივ სუსხით შეღებილ სახლებს
მოსავთ მანტია კერამიკული.
არაფრისმთქმელი ბინდია ჩუმი,
ღრუბლები ჰგვანან კრაზანის ბუდეს,
ლოყის ჩაკბერით ვიგროვებ დუმილს,
რომ მერე ისევ დუმილი მსურდეს.
კაბადონს ნისლი უთრთოლებს კერტებს,
ხეებს სისველის აცვიათ კაბა,
მე, ალბათ, ისევ ფიქრს უნდა ვკვნეტდე
ან ფიქრი მკვნეტდეს მე ისევ, ალბათ.
მოაპადაგებს მინის მკერდს თქორი,
იწვიმებს ღამით აუცილებლად
სარკმლის ანარეკლს შევრჩებით ორნი,
ამ ღამითაც არ დამეძინება.



ბურუსიან სიზმრის უკან ვიმალები,
მჩატე ვარ და თითქოს ცაში გავტყორცნილვარ,
დამწყვდეული სულში ჩუმი გრიგალები
ცხელი სისხლის კალაპოტებს დაკოცნიან.
მძულს, რომ უნდა მარმენიოს შევეფეთო,
მარბენიოს კვლავ ცხოვრების გზებზე უნდა,
მხოლოდ ერთი მაგრძნობინე, დიდო ღმერთო,
უკულმართი ვარ, თუ მიწა გადაბრუნდა,
გულჩვილობა სიბერემდე მომყოლია,
ქარებში ვარ უკვე ბევრჯერ მოყოლილი,

შენ ხომ მაინც იცი, ღმერთო, ობოლი ვარ
 და ამიტომ ვჭვრეტ სამყაროს ობოლივით,
 არაფერი გამაჩინია მოგონილი,
 მძულს, რომ უნდა შევეფეთო მარმენიოს
 და, ფერდდახრულ შემოფენის ფოთოლივით,
 ისევ თავის წრეში უნდა მარბენინოს.
 ბურუსიან სიზმრის უკან ვიმალები,
 მჩატე ვარ და თითქოს ცაში გავტყორცნილვარ,
 დამწყვდეული სულში ჩუმი გრიგალები
 ცხელი სისხლის კალაპოტებს დაკოცნიან.



დაორთქლილ სულში დამწყვდეულ დემონს
 ვუშენებ დილეგს ნაომარ ძვლებით,
 მე აჯანყების მეფობას ვჩემობ
 და პოეტური ცრემლებით ვძლები.
 ცას გავჩენოდი ნიავად ჯობდა,
 ტატნობის კიდის მიღმა მიტყორცნილს,
 რადგანაც ველარც ტკივილებს ვგრძნობ და
 არც ცოდვა მიკვირს ოიდიპოსის.
 ამ საცოდავის, შემყურე ყოფის,
 ღორი რომ სჯობნის ჰომოსაპიენს,
 შურისგან სულში რომ მოსდის ოფლი
 და მოყვასისთვის ღალატს აპირებს.
 მახინჯ გარპიებს ემსგავსა მასა,
 ვამპირებს უკვირთ ადამიანის,
 სიმართლე, როგორც ნახმარი ხასა,
 სიცრუეს დაჰყავს ტაშის გრიალით
 და მე არ ვიცი, ვიბრძვი რა მიზნით,
 თავად საბრალო და გზას ცდენილი,
 გარე სამყარო მიყურებს ზიზღით
 კოლიზეუმის შესასვლელივით.
 გახუნდნენ ლურჯი სალამოები,
 დასჩემდა სათქმელს სიტყვის სიმწარე,
 ისევ საკუთარ ლანდთან მოვედი
 და აღსარებას თავად ვიბარებ.

ეპიტაზია – რაც გონს შერჩა


როგორც ყოველთვის – წყურვილი და დიფსომანია
 დასანანია, რომ არა მაქვს ხილვა მცირედიც,
 მივედი გულწრფელ პორტერეტებთან – აღარ არიან,
 უსათაურო სტრიქონებთან ველარ მივედი.
 ხმაში – სიმჟავე, საქმის კურსში ვითომ – არავინ,

კარავი ფიქრის უბგერებო ინსტრუმენტები,
ვეტევი ყველგან, სადაც განცდებს არ იპარავენ
და, სადაც პარვას განიცდიან, იქაც ვეტევი.
ვინ პოეტები? – ყველა მათგანს ბასრი ბედი კლავს,
მეტი ჰყავთ მტერი – ტაშის მკვრელი ვიდრე მოყვასი
მოდასე ლიქნის ეთიკაა თუ ესთეტიკა,
თუ სული არის მლიქვნელობის მონა მოდასე.
რა მარტივად ჩანს გაგიჟების გზა მუნებური,
ებგური ლამე პანაცეა თრიაქი ნისლის,
მისვლის საბაბი ბევრია და, ჩემს უნებურად,
მიზეზიც ბევრი გამაჩნია იმ გზასთან მისვლის.
ზეპირად გავცდი კორიდორებს ფერდებხორკლიანს,
მოქრიან ცოდვის მარხილები – სული ჰგავს კბოდეს,
გქონდეს ბევრი და არაფერი? – ყოფა მოკლეა,
სჯობს, არაფერი გაგაჩნდეს და სამყარო გქონდეს.
როგორც ყოველთვის, წყურვილი და დიფსომანია
დაუბანია წუთხის ტბორში ბელზებელს სახე,
ვნახე ბევრზე ბევრს როგორ უგავს სული თავიანთ
უსახურ მახებს, ბევრზე ბევრი ამგვარი ვნახე.
სახელს ვერ ვარქმევ კომედიებს ანდა იმ დრამებს,
გამებს სიყრუე შეეჩიათ, ლამე სულს ღეჭავს,
შერჩა გონებას უნესრიგოდ, რამაც კი მხრა მე
და, რაც მე დავხარ, იმ განცდების სითეთრე შემრჩა,
მხოლოდ წყურვილის წყურვილი და არც ერთი გროში,
ომში ქარებთან, რაც კი ვკაფე, ვხედავ მკაფიოდ
უსათაურო სტრიქონები მეფობენ გონში,
სათაურად კი ავირჩიე ეპიტაფია –
„ყველა, ჩემს გარდა“.

განმარტოვება

ვწერდი, ფურცელს დალლილი ფიქრი გადაეფარა,
მჭირდა ის დალამება, როგორც ციებ-ცხელება.
სისხლმა, ბუცეფალივით, შეშლილმა და მჩქეფარემ
თეთრი განმარტოვება ლეკერტებით შეღება.
მჭირდა მე, რაც, ომია,
ფატალური სასრულით,
სტიქიების ტყვე ვარ და დავეხსენი სიწყნარეს.
წყეული ინსომნია, სულის ნერვზე ასხმული,
ცივ სიზმრებში შევარდა,
როგორც ზლვაში მდინარე.
ვებრძვი ცრემლში ჩატეულ სიმწარეთა ნიალვარს,
როგორ ყეფენ ძმობილნი, ვწვრთვნი ქარებს –
ცის დარაჯებს.

ღმერთო, რა სიმჩატეა, ღრუბლებს მხრებს რომ მიადგამ,
მხოლოდ ერთხელ შობილი, გარდაცვლილი მრავალჯერ.
ამაო ნატვრებია რაც კი განსახიერდა,
აღარ მყოფნის ნერვები გამუდმებით ყმუილის.
სადაც შურით ძლებიან, მე იქ მომაშიეთ და
კაცთა მოდგმის ცრემლებით არ მომიჯლათ წყურვილი.
ვიცი, ასე უბრალოდ ყოფას გავითარილებ,
ფიქრში სისხლი ირევა, ხორკლიანი წვეთებით.
ოდნავ, ოდნავ, უფალო, ზეცის კარი გამიღე,
რადგან ისე მცირე ვარ, იქაც შემოვეტევი.





ანა სანაია

Proqsima parade “diagonal” (შემდეგი გაჩერება „დიაგონალი“)

Proqsima parade “diagonal”
(შემდეგი გაჩერება „დიაგონალი“)

ინანო – 28 წლის, მწერალი, პოეტი.
დაჩი – 27 წლის, მარკეტოლოგი.
დემნა – 39 წლის.
დეა – 35 წლის.

დღე |

აეროპორტი El Prat
რეკლამა რუპორში:

Ay, Barcelona, dijo con la voz rota por la emoción, ¡Qué bonita es! ¡Y pensar que cuando yo la vi por primera vez de todo esto que vemos ahora no había casi nada! Qui no ha visto Barcelona, no ha visto cosa buena: esto es así y no requiere más explicación.

ინანო: ჩამოვედით! არ მჯერაა!

დაჩი: არც მე მჯერა, მაგრამ მოგვინევს, დავიჯეროთ.

ინანო: შვილი რომ მეყოლება, ბარსელონას ვარქმევ, ვსიო! მკიდია (იცინის).

დაჩი: მოდი, სასტუმროს ზუსტი მისამართი ამოილე, რომ ტაქსისტს ვაჩვენოთ.

ინანო: არ მჯერა, რომ აქ ვარ (დაჩის ეხუტება)...

დაჩი: მიდი, მიდი, ჩქარა, ტელეფონში გაქვს მისამართი, მე დამიჯდა...

ინანო: ახლავე, ახლავე!

დაჩი: ძაან დავილალე.

ინანო: აი, ვიპოვე! საით უნდა წავიდეთ?! წამოდი, ტაქსიში ჩავსხდეთ და...

ბარსელონაა („ქვინის“ სიმღერას წაიღერებს).

სასტუმრო “happy people ramblas”

იღება „307“-ე ოთახის კარი

ინანო: დიდად კარგი ოთახი ვერაა. გაგვიცვლიან მერე?

დაჩი: ააა... კი... ისე, სურათებში უკეთესი ჩანდა.

ინანო: მერე რა?! მაინც კაია.

დაჩი: სამაგიეროდ, საუზმეზე ენერა, საუკეთესოაო.

ინანო: აქ, ყველა სასტუმროში, უმაგრესი საუზმე აქვთ.

დაჩი: შემდეგში შენ აარჩიე, რომ ბოლომდე კმაყოფილი იყო.

ინანო: აბა, რაა! საუზმის მეტი შენ არაფერი გაინტერესებს.

დაჩი: დასასვენებლად ვარ აქ!

ინანო: მოდი, მოვწესრიგდეთ და გარეთ გავიდეთ. ვეღარ ვითმენ, ისე მინდა, უაზროდ ვიბორიალო ქუჩებში.

დაჩი: მე ცოტა თუ არ დავისვენე, არ გამოვა.

ინანო: მერე პლაზზე ვეღარ გავალთ, თან მშია და თან მანქანა უნდა ავიყვანოთ. ის ადგილიც შორია, სადაც უნდა მივიდეთ.

დაჩი: სულ ცოტა ხანი და წავიდეთ (კოცნის).

დაჩი: ჩემოდანს ხსნის.

დაჩი: ამოვალაგებ ახლა. შენ, რომელ მხარეს გინდა დაძინება?

ინანო: სულერთია, მაგრამ ფანჯრისკენ.

დაჩი: კარგი.

დაჩის უჩვეულოდ მოწესრიგებული აქვს ჩემოდანი.

ინანო: ვამე, რანაირად გაქვს ეს ჩანიკენიკებული?

დაჩი: არ მიყვარს ჩაყრა და არ მიყვარს, სხვა რომ მილაგებს.

ინანო ჩემოდანს ხსნის და ამოლაგებას იწყებს.

ინანო: მე აბაზანაში შევალ და მერე დავალაგებ ბოლომდე.

დაჩი: კარგი, კარგი.

ინანო აბაზანაში შედის. დაჩი ჩემოდანში რაღაცას ეძებს. ბოლოდან ძლივს ამოაცურებს პერანგს, რომელიც მისთვის უჩვეულოდ გაკვანძულია. კვანძს ხსნის და იღებს ყუთს, რომელშიც ბეჭედია. ბეჭედს იღებს და კმაყოფილი დაჰყურებს. აბაზანიდან რაღაც ხმა მოისმის. ბეჭედს სასწრაფოდ მალავს და ტანსაცმლის დალაგებას იწყებს.

დაჩი: ინანო, საჭმელად სად წავიდეთ?

ინანო: რაა?

დაჩი აბაზანის კართან მიდის.

დაჩი: სად ვისადილოთ?

ინანო: არ ვიცი, ტელეფონში რამდენიმე კაფე მაქვს მონიშნული.

დაჩი: ხვალ არ გინდა, მთაზე ავიდეთ? აი, იქ, მთელი ქალაქი რომ ჩანს.

ინანო: შენ, თუ გინდა, ავიდეთ.

დაჩი: კი, მინდა.

დაჩი ბეჭდის კოლოფს დაჰყურებს.

ინანო: იქ მარტო ხედი და ტაძარია ლამაზი.

დაჩი: ხვალ იქ მივდივართ.

ინანო პირსახოცემოხვეული გამოდის.

ინანო: დაისვენე! აბა, ძალიან დავიღალეო?

დაჩი ყუთს ჯიბეში იდებს და კარადაში ტანსაცმლის შელაგებას აგრძელებს.

ინანო: კამპ ოუზე არ წავიდეთ?

დაჩი: დღესვე ვერ მოვასწრებთ.

ინანო ეხუტება დაჩის.

ინანო: დაისვენე და წავიდეთ. რაც დარჩა, მერე მე დავალაგებ.,.

ღია კაფეში

ინანო: ძალაინ მშია. მიყვარს თვითმფრინავის საჭმელი, მაგრამ დღეს ის კვერცხი ვერ გავსინჯვ.

დაჩი: ვნახოთ მენიუ. ეს სულ ესპანური რაღაცებია და გინდა?

ინანო: კი, რატომ არ მინდა. ეს „ტაპას“ რა არის ბოლო-ბოლო?

დაჩი: ეს, როგორი პონტია, იცი? „ხამონი“ (ამათი ვიჩინა) და ყველა საჭმელი ორი კაცის სამყოფი მოაქვთ – 5 ულუფა. გინდა, ავილოთ? აი, მაგალითად ეს!

ინანო: და, რა შედის?

დაჩი: ყველაფერი. ამდენს ვერც შევჭამთ.

ინანო: მიდი, ჩქარა და ერთი „სანგრია“.

დაჩი: „სანგრია“ რა არის?

ინანო: ხილის ღვინო. ძაან მაგარია, არ გაგისინჯავს?

დაჩი: არა.

ინანო: ხოდა, ეგ იყოს ერთი!

დაჩი: ერთი ჭიქა?

ინანო: არა, ჭიქებით არ მოქვთ, დიდი ბოთლით.

დაჩი ესპანურად ეძახის მიმტანს და უკვეთავს.

ინანო: ესპანური კარგად იცი?

დაჩი: კარგად ვიცოდი, ახლა რაღა ვიცი... იმდენი სიტყვა ვიცოდი, ახლა ძლიერ ვიხსენებ. რაც ბარსას ფანი გავიჩითე, მაგის მერე დავიწყე ესპანურის სწავლა, მაგრამ კატალონიური საერთოდ არ მესმის, მეგრულივით არის. აი, რას გაიგებ მეგრულს, თუ არ იცი? ეგრეა ესეც. აუ, ჩქარა მოვა ნეტა საჭმელი?

ამ დროს მიმტანი პურს შემოიტანს.

დაჩი: მგონი, მალე იქნება. აუ, რა კაია.

ინანო: აუუუ, ისე მიხარია, მეტირება. ხვალ ყველგან წავიდეთ.

დაჩი: სულ ყველგან!

ინანო: ჯერ, სადაც შენ გინდა, იქ წავიდეთ.

დაჩი: არა, სადაც შენ გინდა. მე არ ვიცი, სად მინდა.

ინანო: იცი, სულ სხვანაირად ალვიქვამ ახლა ყველაფერს. სანაპიროზეც მზეს ვერ მივეფიცხე ბედნიერებისგან. სულ სხვანაირი ქალაქია, არა?

დაჩი: რაც ვნახე, მაგარია!

ანანო: წინ იმდენი სიამოვნება გელის.

დაჩი: ხვალ წავიდეთ ბარსას მუზეუმში?

ინანო: მანდ არ ვყოფილვარ. კი, მანდაც და სხვაგანაც.

დაჩი: ხვალ რასაც მოვასწრებთ და დანარჩენი ზეგ ვნახოთ.

ინანო: ერთმანთისგან შორს არაფერი არაა, თან მანქანა გვყავს.

დაჩი: ისეთ დაძაბული ვიყავი... უცხოეთში მანქანა არ მიტარებია. სანამ პლაჟამდე მოვედით, ცოტა გამიარა.

ინანო: რა გეშინოდა, კაი, რაა... მელადავები?

დაჩი: არა! სხვა დროსაც მიფიქრია, როგორ უნდა ვატარო-მეთქი უცხო ქვეყანაში.

ინანო: (იცინის) კარგი, რა! მართლა მეუბნები? აბა, მაშინ ინგლისში საერთოდ ვერ ატარებ.

დაჩი: კი, გამიჭრდება. მოკლედ, ეგ შიში მქონდა.

ინანო: იმიტომ იყო, ერთი თვე რო ვჩხუბობდით მანქანაზე?

დაჩი: კი.

ინანო: ვერ ხარ, შენ. მეთქი – რა ჭირს?! და, რისი გეშინოდა?

დაჩი: არ ვიცი. ახლაც ძაან კი არ გავთამამდი. ჩემი მანქანა რომ იყოს, აი, მა-გარს ვისიამოვნებდი.

ინანო: კარგი, რა! შენ, ძალიან მაგრად ატარებ და, ნუ გეშინია, მეც აქ არ ვარ?! რა უაზრო შიშია.

დაჩი: არ მინდა მაგაზე ლაპარაკი... აუუ, რა კაია ცხოვრება! ბედნიერებამ მითხრა, ნუ მექებო. აი, ასე ვარ (ცერა თითი ასწია)!

ინანო ჩანთიდან რაღაცას იღებს. ქექვას იწყებს.

ინანო: ვაიმე!..

დაჩი: რა?!

ინანო: საფულე!..

დაჩი: რაა?

ინანო: საფულე არ დევს!

დაჩი: დაწყნარდი და კარგად ნახე!

ინანო: არ არის!.. მგონი...

დაჩი: მანდ იქნება!

ინანო: ხო, მაგრამ...

დაჩი: აუუუ!..

ინანო: ვაიმეე!..

დაჩი: კარგი! ახლა დამშვიდდი და წესიერად ნახე! ამოალაგე ყველაფერი!

ინანო: არ არის, არა!..

დაჩი: ამოალაგე?

ინანო: არაა-მეთქი!

დაჩი: არააო, ეგრე მითხარი ადრე ჩემს სათვალეზეც, ორი თვის მერე რო იპოვე ჩანთში.

ინანო: აჲაა!..

სათითაოდ იწყებს ამოწყობას. დაჩი კარგად აკვირდება.

ინანო: არაა, არა!

დაჩი: ლადაობ?

ინანო: რას ვლადაობ?

დაჩი: კარგი! უეჭველი მანქანაშია.

ინანო: აუუუუ, მთელი ფული იქ მიდევს!

დაჩი: მოიცა! ადექი, ჩანთა ჩაალაგე და წავედით!

ინანო: სად?

დაჩი: ნახევარი კამერი გვაქვს შეკვეთილი. ისე დაჯექი, რომ ოფიციანტმა არ შეგამჩნიოს და, რო შევა, გავრბივართ! აი, იქით! ორი ნაჭერი პური ჩაიდე ჩანთში, თორემ გული წამივა.

ინანო: (მიმტანს თვალს გააყოლებს, პურს იღებს, ჩანთში დებს და გარბის). დაჩიც მიჰყვება).

სცენა მანქანაში.

დაჩი: ვახ, რაა!

ინანო: შენკენ, კარში, არაა?

დაჩი: აქ როგორ გადმოვარდებოდა, როგორ? არაა! კარგად ნახე?

ინანო: აქ ყველაფერი ვნახე.

დაჩი მანქანიდან გადმოვა და კიდევ კარგად შეიხედავს ფეხების ადგილას.

დაჩი: მომინათე ერთი ტელეფონით!

ინანო უნათებს.

დაჩი: არც აქ არაა. კაროჩე, რაა! ჩანთა მანახე ერთი!

კიდევ ამოაპირქვავებენ ჩანთს.

დაჩი: არც აქ არის!

ინანო: რა უნდა ვქნათ?

დაჩი: ბოლოს სად იყო? სად შეიძლებოდა, დაგვარდნოდა?

ინანო: არ ვიცი. წუ, ალბათ, პლაუზე.

დაჩი: აუუუ!

ინანო: რა უნდა ვქნათ?

დაჩი: მართლა არ ვიცი!

ინანო: მაპატიე!

დაჩი: არა, ძალით ხომ არ გინდოდა, არა?

ინანო: სულ ვამოწმებდი, არ ამომიგარდეს-მეთქი.

დაჩი: მე უნდა მქონოდა! აი, პასპორტები, რაც ჩავიბარე, აქაა.

ინანო: არაუშავს, ყველას შეიძლებოდა, მოსვლოდა.

დაჩი: არა, ხო, არ ინერვიულო!

ინანო: შენც არაფერი შეგიმჩნევია? ან ვინმე საეჭვოდ ხომ არ მოგვიახლოვდა?

დაჩი: არა, საერთოდ არაფერი...

სიჩუმე დიდხანს გრძელდება. ინანო პურს ამოიღებს და დაჩის აწვდის.

დაჩი: არ მინდა!

ინანო ცივად ჩაიდებს ჩანთში.

სიჩუმე... მანქანაში ფანჯრები აწეულია, გარედან ყრუდ ისმის მუსიკისა და პლაუზისკენ მიმავალი ხალხის მხიარულება.

დაჩი: კარგი, ალარ გვინდა! პოლიციაში წავიდეთ და განვაცხადოთ, რომ ბარ-სელონეტას პლაუზე საფულე დავკარგეთ. ამათი პოლიციის იმედი არ მაქვს, მაგრამ, რა ვიცი... ჯანდაბა, რაა!

ინანო: ჩემი ბრალი არაა. გეფიცები, სულ ვამოწმებდი. ბევრ ხალხში, შეიძლება, უცებ ამომაცალეს. მომეცი ჩანთა!

დაჩი: დაანებე თავი, არაა იქ! ასჯერ ვნახე.

ოთახი

ინანო: რა უნდა ვქნათ?

დაჩი: არ ვიცი! განცხადება დავწერეთ... იქ რო შევედი, იცი, რამდენი ტურისტი იყო?

ინანო: მართლა?

დაჩი: ხო. რო კითხო, ძაან მოწესრიგებულია ევროპა.

ინანო: ხო, მაგრამ იმდენი ემიგრანტია აქ... მექსიკელები, არგენტინელები, აფრიკელები...

დაჩი: ქართველებიც ბლომად არიან და ეგენიც არ არიან აქ მარტო დასალა-გებლად ჩამოსულები.

ინანო: ქართველმა თუ ამომაცალა, ქართულ პირადობას რო ნახავს, დამიბ-რუნებს.

დაჩი: შენ, გოგო, სულელი ხომ არ ხარ? ვინ რას დაგიბრუნებს, შენ, რა გგონია, რომ ეს პოლიცია რამეს იზამს? უბრალოდ, სხვა გამოსავალი გვაქვს? რა უნდა ვქნათ, მაგასაც ვერ ვხვდები.

ინანო: ბარათზე რომ ეს კრედიტი დამირიცხეს, რაც ბარსელონისთვის ავი-ღეთ, სულ გამოვიტანე. რას ვიფიქრებდი, რომ ასე მოხდებოდა?

დაჩი: მე რაც ბარათზე მაქვს, ოც ევრომდეა, სულ ეგაა ჩვენი ფული.

ინანო: და, რა უნდა ვქნათ?

დაჩი: არ ვიცი! სასტუმრო როგორ უნდა გადავიხადოთ? თუ გინდათ, რეცეფ-ციაში ხვალ გადაიხადეთო, – მითხრეს და მეც დამეზარა. დალლილი ვიყავი, კარ-გი-მეთქი, ვუთხარი!

ინანო: წავიდეთ, არ ვიცი... (ტირის)

დაჩი: მანქანა? აუ, აუ!..

ინანო: რა მანქანა?

დაჩი: დასაბრუნებელი გვაქვს სასწრაფოდ. მოიცა, ხუთი დღის ფული ხო და-ვუტოვეთ? მაგრამ... არა, იმ ფულს ხუთი დღის მერე დაგიბრუნებთო. უფ! მოიცა, ახლა ცოტა აზრზე მოვალ და წავიდეთ, დავაბრუნით...

ინანო: სასტუმრო?

დაჩი: ნუ, არ ვიცი, ვიყოთ.

ინანო: როგორ?

დაჩი: აბა, სად წავიდეთ? არავის არ ვიცნობთ აქ. ვიყოთ და მერე... მერე... რა ვიცი, გავიპაროთ ბოლო დღეს! აბა, ბილეთები ხუთ დღეში გვაქვს. ვახ! ნუ, იმის გახსენებაც არ მინდა, რომ მთელი წელი ხელფასით უნდა ვფარო აქ წამოსვლის კრედიტი, რომელიც მთლიანად დაკარგე. რბილად რომ ვთქვათ, ტრაკში ვართ!

ინანო: მე დავკარგე? შენც ცოტა ყურადღებით ყოფილიყავი!

დაჩი: ყურადღებით ვიყავი და, რაც მებარა, აგერაა. იდიოტი რომ ვარ, რას მოგეცი ფული, ჩემს თავზე მეშლება ნერვები.

ინანო: მარტი ჩემი ბრალი არაა, შენც იქ იყავი და არაფერი შეგიმჩნევია. ამო-მაცალეს. ასეთი რამ ხდება. უბრალოდ, მე რატომ დამემართა, არ ვიცი! ყველა-ფერი ჩამმნარდა! მე არ განვიცდი, თუ რა გგონია? დამეკარგა. შენ არაფერი არ დაგკარგვია!?

დაჩი: არაფერი არ დამკარგვი! ბავშვობაში პასტა დამეკარგა სკოლაში!

ინანო: ყველაფერი გათვლილ-განერილი რო გაქვს და ცხოვრებისაგან მინიმა-ლურ სიამოვნებას იღებ, მაგისი ბრალია.

დაჩი: შენ ხო არ გაქვს არაფერი გათვლილი, ხოდა, მიდი ახლა, სპონტანურად მიიღე ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნება.

ინანო: აუუ, მკიდია, რა! ქუჩებში სეირნობა, სუნთქვა და ბედნიერება მაინც არაა ფასიანი, წავედი მე!

დაჩი: სანამ სასტუმროდან გახვალ, კონსიერჟს უთხარი, რომ ფული დაკარგე, მაგრამ ოთხი დღე მაინც რჩები, რა იცი, პრობლემები რომ არ შეგექმნას.

ინანო: მისმინე! აბა, რა ვქნა? ვისხდეთ მაშინ აქ ოთხი დღე და, წასვლის დრო რო მოვა, წავიდეთ. ამ პატარა სივრცეში სული მეხუთება, გასვლა მჭრდება. მე რა, მინდოდა და ძალით ვქნენი? შენც კარგად იცი, რომ ზუსტად ერთი წელია, მესიზმრება ის დღე, როცა აქ ჩამოვიდოდით. რაც კრედიტი დაგვიმტკიცეს, მას შემდეგ დღეებს, წუთებს და წამებს ვითვლიდი, რომ შენთან ერთად ვისეირნებდი

და ყველაფერს დაგათვალიერებინებდი; ბედნეირები ვიქებოდით. ცოტა ფული რომ შემეგროვებინა ჩემი მეგობრებისთვის სუვენირების ჩასატანად, დღე სამსახურს რომ მოვრჩებოდი, მერე ბავშვებთან ერთად ბოლო ზარს ვაწყობდი და, ბოლო ერთი თვეა, საერთოდაც ფეხით დავდივარ; არც თეატრში წავსულვარ, არც კაფეში, არც კინოში და არც არსად, ფული რომ დამეზოგა. ჩემზე ძალიან შენ არ განიცდი ამ ამბავს. მინდოდა, რომ ერთხელ მეც ვყოფილიყავი ბედნეირი და ეს დღე არ დადგა! ჰოდა, რადგან აქ ვართ, უბრალოდ გავიაროთ ქუჩაში. აღარ შემიძლია, რა!

დაჩი: კარგი, გავიაროთ! მარტო აქ კი არ ვაპირებ ჯდომას, მაპატიე! ვინერი-ვულე და გაბრაზებულმა რალაც გითხარი, ნუ შემომიტევ ხოლმე, ინანო!

ინანო ზის გაბუსხული.

დაჩი: კარგი, გეყოფა ახლა! მაპატიე?

ინანო: ... (დუმილი).

დაჩი: კაი, რაც არის, არის! ვის არ მოსვლია?..

ინანო: ჩემ დასამშვიდებლად ამბობ მაგას.

დაჩი: ცოტას შენ დასამშვიდებლად და ცოტას – ჩემ.

ინანო: რამეს მოვიფიქრებთ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რას. გული კარგს მიგრძობს.

დაჩი: ძან მიხარია, რომ გული მაინც გიგრძნობს კარგს.

ინანო: არ გინდა, რა!

დაჩი: კარგი, წამოდი და, პირველ რიგში, მანქანა დავაბრუნოთ. აუ, როგორ მიტყდება!

ინანო: ჩემზე ძალიან არ გაგიტყდება. ორი საათია, რაც წამოვიყვანეთ, ფულს არ გამოგვართმევენ.

დაჩი: არა, ბიჭო, მოგართმევენ. რა უნდა მისცე, რომ გამოგართვან?

ინანო: დაწყნარდი, ათასობით ადამიანს ეკარგება საფულე, მაგრამ ცოცხლები არიან და, როგორც ხედავ, ეტყობა, გამოსავალი არებობს. მსოფლიო აპრობირებული მეთოდია და ჩვენც ვიზამთ რამეს!

დაჩი: მერე, ქენი, მე რა შუაში ვარ?

ინანო: ხო, მეც ეგ კითხვა მაქვს – შენ რა შუაში ხარ, ახლა კი არა – საერთოდ!

დღე II

საუზმე

დაჩი ტელეფონს ჩასცექერის, თან წინ უამრავი საჭმელი აქვს დახვავებული და ჭამს. შემოდის ინანო.

დაჩი: პრემიერი გადადგა.

ინანო: რატომ?

დაჩი: რა ვიცი... გადადგა.

ინანო: მართლაა? პირველად რო აქ ჩამოვედი, მაშინაც გადადგა წინა პრემიერი.

დაჩი: თუ არ მოგეწონება, კიდევ ჩამოდი და ესეც გადააყენე, ოლონდ ფულს გაუფრთხილდი, აღარ დაკარგო¹

ინანო: ნორმალურად მასაუზმე და ყვავივით ნუ დამჩხავი.

დაჩი: არაფერი. ახლაც დაველოდე, როდის მოგროვდებოდა რეცეფციასთან ხალხი, რომ აქ შემოვპარულიყავი. წინ კიდევ სამი დღეა. ვინმემ რომ ფულის

გადახდა მთხოვოს, რა ვუთხრა?! მოვა პოლიცია – „ustedes esta detenido“-ო გვეტყვიან და დაგვიჭრენ.

ინანო: ვეტყვი, რომ ფული ამოგვაცალეს, ყველაფერს დავუტოვებ – ჩემს ოქროს ჯვარს, ძენკვს, ჩავალთ საქართველოში და გადმოვურიცხავთ.

დაჩი: როგორ, რანაირად?

ინანო: ვისესხებ, რამეს ვიზამ.

დაჩი: იქნებ არ ამოგაცალეს და უბრალოდ გადმოგივარდა, შენ ისეთი უყურადღებო ხარ...

ინანო: და, შენ, იცი, ვინ ხარ? – მშიშარა ადამიანი, რომელსაც არაფრის თავი არა აქვს და ვერანაირი სიტუაციიდან გამოსავალს ვერ პოულობს, ერთის გარდა – შანსს არ უშვებ, არ გამლანდლო.

დაჩი: და, ჩემი ბრალია აქ რამე?

ინანო: არა, ჩემი ბრალია, მაგრამ არაა საჭირო ამდენი უკმაყოფილება და გაუთავებელი წუნური.

დაჩი: უფლებაც არ მაქვს, უკმაყოფილო ვიყო?

ინანო: გაქვს, უბრალოდ, ვერ უშველი ამით ვერაფერს.

დაჩი: კარგი, კმაყოფილი ვარ ყველაფერით, რა კარგიააა... რა ბედნიერებააა...

ინანო: შარზე ხარ? მე წასვლას ვაპირებ. გინდა? – წამოდი! არ გინდა და, ნუ გინდა!

დაჩი: სად უნდა წამოვიდე? გარეთ ცხელა და საკმაოდ შორია ცენტრამდე.

ინანო: ეს სასტუმრო შენ დაჯავშნე და, რაც შეეხება სიცხეს, ზაფხულია და ცხელა, სამაგიეროდ, ბარსელონაში ვართ – ყველაფერი ზეიმობს, ყველაფერი უნამუსოდ ლამაზია. ქუჩაში გხვდება მიროს ქანდაკებები, პიკასოს ნახატები, გაუდის შედევრები, მაგრამ, რად გინდა?! ბოლიში, განწყობა თუ გაგიფუჭე, მეც სხვანაირად მქონდა დაგეგმილი და, ისე ნუ იზამ, რომ მთავარი გადააყოლო ამას.

დაჩი: მემუქრები?

ინანო: სულ რალაც ერთი დღეა ჩამოვედით და, რომ დავპრუნდებით, სხვა პრემიერი გვეყოლება. ასე რომ, თუ დავშორდებით და ისე ჩავალთ თბილისში, ამითაც არ დაიქცევა ქვეყანა. შენც იპოვი ისეთ „ადამიან სეიფს“, რომელიც ფულს არ დაკარგავს, თუ ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი.

დაჩი: არაა ეგ მნიშვნელოვანი, ვერ ვიტან ამ ტონს, რომლითაც ახლა მელაპარაკები.

ინანო: ალარ მინდა არაფრის ჭამა!

დაჩი: გახსოვდეს, ხვალამდე ვერაფერს ვეღარ შეჭამ.

ინანო: ალარ მინდა, საჭმელად არ ვარ აქ ჩამოსული.

დაჩი: რისთვის ხარ აქ ჩამოსული?

ინანო: მგონი, არ გესმის, რისთვისაც და ვერც გაიგებ! მე წავედი, თუ გინდა, წამოდი, ბოლოჯერ გეუბნები.

დაჩი: მაშინ, მე მაცალე!

სიჩუმე. დაჩი დემონსტრაციულად იწყებს ჭამას. ტელეფონში საინფორმაციოა ჩართული, სადაც პრემიერის გამოსვლას აშუქებენ – „მე ვეცადე, თითოეული მოქალაქის პრემიერ-მინისტრი ვყოფილიყავი, დიახ, საკუთარი თავის საზიანოდ, მიმილია გადაწყვეტილებები, მაგრამ ყოველთვის, მთელი გულით მჯეროდა და მჯერა, რომ ყველა გადაწყვეტილება, ყველა ნაბიჯი იყო ჩემი ქვეყნის, ჩემი სამშობლოს სასიკეთოდ ნაკარნახევი, იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში სიტუაცია უკეთესობისკენ შეგვეცვალა“.

დაჩი: კარგი! ზედმეტი მოივიდა. წამოვალ, ოღონდ ჭამე, გთხოვ! აი, ესაა „ხა-მონი“; ეს ძალიან გემრიელი პურია, დაგიდო ამაზე?

ინანო: არ მინდა! გარეთ გავიპარები და იქ დაგელოდები, რომ არ შემამჩნიონ და ესპანეთის ციხეში არ ამოვყო თავი. იმიტომ, რომ იქიდან არავინ არ გამომიყვანს, თან მე ხო ამას ვიმსახურებ კიდეც?

დაჩი: არაა ცუდი იდეა, თან იქ ისეთი „საკამერნიკები“ დაგხვდებიან, დონა ხი-მენა მექსიკიდან, ასი კილო კოკაინის გასაღებისთვის ნასამართლევი, პა კლიჩკე „ხიმენიტა სალვახე“; ნოვოსიბირსკელი ირა, ბავშვების სუტინიორი... უუფ, ეგენი ისეთ ამბებს მოგიყვებიან, ერთ კვირაში სამი რომანის მასალას ააგროვებ და, სა-ერთოდ, სერიოზულად ხომ არ გეფიქრა მაგ თემაზე?

ინანო: „eres idiota!“ რა კარგია, რომ ეს სიტყვა საერთაშორისოა.

დაჩი: ჩუმად, გაიგო ყველამ!

ქუჩა – paseo de grasia.

დაჩი: მოდი, აქ დავსხდეთ.

ქუჩაში, სკამზე სხდებიან.

დაჩი: გინდა თუთუნი? გაგიხვევ.

ინანო: კი, მინდა. რა ლამაზი ქუჩაა, არა?!

დაჩი: კი, რაც ვნახე, ყველას ჯობია. გაუდის ეს სახლი უფრო მომწონს, ვიდრე ბაილო.

ინანო: წინა ფასადს კარგად დააკვირდი.

დაჩი: მთელი დღეა აქ დავდივართ და არ დავაკვიდრებოდი?

ინანო: შეიძლება შეხედე, მაგრამ არ დააკვირდი.

დაჩი: რუსი ტურისტების ჯგუფს ავედევნე, გიდი უხსნიდა რაღაცებს და და-მაინტერესა.

ინანო: რაღა ოკუპანტს აედევნე?

დაჩი: ძალიანაც მინდოდა, იაპონელებს ავდევნებოდი, მაგრამ მათი ენა არ მეს-მის და ოკუპანტისა მესმის, სამწუხაროდ!

ინანო: აბა, ამ სახლის აივნები რას გაგონებს?

დაჩი: რა ვიცი...

ინანო: თავისქალებს. მთელი სახლი ადამიანის აგებულების კონცეფციითაა შექმნილი.

დაჩი: მაგარია.

ინანო: ხოდა არ დაკვირვებიხარ?

დაჩი: იცი, რა. მზეში ამდენმა სიარულმა ცოტა თვალები ამიჭრელა.

ინანო: ბოდიშს გიხდი ამ ქალაქის ნაცვლად, ცოტა გრძელი ქუჩები მოუვიდათ.

დაჩი: რა გინდა, ვერ გავიგე?

ინანო: მთელი დღეა მოლუშლი დადიხარ, სახე ჩამოგტირის, თითქოს ყველა დამნაშავეები ვიყოთ.

დაჩი: უბრალოდ, დავიღალე.

ინანო: რა თქმა უნდა, დაიღალე, თბილისი ხო არ მოგენატრა?! არაფერი არაა შენი მოსაწონი, ვერც გაუდის ვერ აუშენებია წესიერად.

დაჩი: რა შუაშია, ლამაზია ძალიან. რაც ვნახე, მომწონს.

ინანო: არ მოგწონს, მაგრამ, ხო არ იტყვი, არ მომწონსო?

დაჩი: ბოლო ორი თვეა, ინსტაგრამზე „ბარსელომენო“ რომაა – გვერდი –

ეგ მაქვს დაფოლოვებული, ერთი ფოტო არ გამიმაზია, ლამისაა იმ ფოტოებში შევძვრე. ტელეფონში შეტყობინება რომ მომდიოდა, იმ წამს ვიხანგრძლივებდი, რომ კიდევ ერთ სასწაულ ფოტოს ვნახავდი და მალე იქ ჩავიდოდი, მივიდოდი იმ ადგილას, სადაც ეს ფოტო იყო გადაღებული, მაგრამ, ეტყობა, ეგრე არა ცხოვრება. ეგ იყო მარტო კიბერსიამოვნება, რომელიც არ გადმოდის რეალობაში. რა ტანჯვაა...

ინანო: „ცხოვრება ტანჯვაა“ – ეგ მეორედ აღარ გაიმეორო. ეგ ჩემმა ყოფილმა მითხრა, ანუ მიმანიშნა, რომ მაგ ფრაზის შემდეგ ტანჯვა გააქტიურდებოდა და კი იცი, როგორ დამთავრდა ბოლოს ეგ ამბავი.

დაჩი: რა, არა?

ინანო: ჩემთვის არა! სატანჯველად არ გავჩენილვარ... მე ბედნიერი მინდა, ვიყო და, თუ ეს არ გინდა და არ გაწყობს, გზა გრძელია, როგორც ეს, ისე ცხოვრების გზა.

დაჩი: „გადაცემა ქალური ლოგიკა“ – ყოველ ოთხშაბათს ინანოსთან ერთად. პარა რამ პამ, პარა რა რაააა... კარგი, მაშინ ამიხსენი, შენი პერსონაჟები რატომ იტანჯებიან? რატომ არის შენს მოთხრობებში ამდენი უბედურება, ამდენი საცოდავი ქალი და კიდევ უფრო მეტი საშინელი კაცი?

ინანო: არ არიან არც ისინი ტანჯვისათვის გაჩენილი, უბრალოდ, ასე ხდება. ისინი გარემოების მსხვერპლი არიან. ბევრი რაღაც გვხვდება ცხოვრებაში ცუდი! კარგი, ლამაზი და მშვენიერი – ვეფხვი ირემს რომ პირით ბალახს აწოდებს, ეგეთი ცხოვრება არის მარტო იელოველების წიგნის ყდაზე. რაც ხდება, იმაზე ვწერ. ვიცი, რომ შენც ისე ოცნებობდი აქ ჩამოსვლაზე, როგორც მე. ეს რომ არ მეგრძნო, მაშინ რა მინდოდა შენთან?! მოხდა ის, რაც მოხდა და ამის გამო თავს ხო არ მოვიყლავ?! ხანდახან მგონია, რო ყველაფერი ტყუილია, არაფერიც არ გინდოდა და არც ჩემთან არ გინდა. მგონი, არ მოგწონვარ ისეთი, როგორიც ვარ. არც ჩემი პროფესია არ მოგწონს და, ალბათ არც ის, რასაც ვაკეთებ; არც ჩემი მოთხრობები, ჩემი ლექსები... ჩვენ არ ვართ გულწრფელები. არ იყო საჭირო, მაინცდამაინც აქ ჩამოვსულიყოთ და აქ გარკვეულიყო ეს ყველაფერი. შენ არასდროს არ გითქვამის აქამდე, რომ არ მოგწონს.

დაჩი: გაგიყდი?! როგორ არ მომწონს?! შენ არც გიცნობდი, როცა წაკითხული მქონდა შენი რაღაცები. რო არ მომწონდე, ახლა აქ არ ვიჯდებოდი. შენ ბევრი რაღაც არ იცი და ნუ გააფუჭებ ყველაფერს.

ინანო: რა არ ვიცი, რა?!

დაჩი: გაჩერდი, გთხოვ... რატომ აიჩემე? რა არ მომწონს ან რა არ მომწონებია? კი ბატონი, ბოლო მოთხრობა, რომელიც სექს რობოტებზე გამოქვეყნდა, არ მომენტონა! რატომ დაარქვი მთავარ გმირ რობოტს დედაჩემის სახელი? უურნალში რო დაიბეჭდა, სახლისთვის ვიყიდე და მთელ ხუთ გვერდზე სახელის გადაკეთება მომიწია, ნანას წინ „მა“ დავუმატე, რომ მანანა გამოსულიყო, არ მინდოდა დედაჩემს სხვანაირად ეფიქრა. „დედა, ნახე! ინანომ სექს რობოტს შენი სახელი დაარქვა, რა კარგია არაა?!“

ინანო: ეგ მოთხრობა დაწერილი მქონდა მანამ, სანამ შენ გაგიცნობდი, იდიოტო და ვერც ვიფიქრებდი, რომ ეგეთ კუდებს მოაბავდით შენ ან დედაშენი. ვსიო, წავედი მე!

დაჩი: არა, მოიცავდე! კიდევ ერთი არ მომენტონა – ჩემს მეგობარ დათო მანდარიას ლავ სტორიზე რომ დაწერე, თანაც ისე, რომ არც სახელი შეუცვალე და არც წარმომავლობა. ზესტაფონელიო, პრეზენტაციაზე რომ გაისმა, ყველამ და-

თოს გახედა, მე კიდე მაგრად დამცხა და პირჯვარი თავისით გადამეწერა. მერე ერთი კვირა ვარწმუნებდი – „არა, დავით, რა სისულელეა, ეგ შენზე არაა და არც მე მომიყოლია ეგ ამბავი ინანოსთვის-მეტქი“. იმან გადაგარჩინა, რომ იმერელი ტრიპაჩია და ვიღაცის წიგნში რომ აღმოჩნდა, როგორ და რანაირად არ აღელვებდა, გაუხარდა და იამაყა კიდეც. ისე, რომ მეორე დღეს დედამისს გააუგზავნა შენი წიგნი და ფურცელი ჩაუკეცა იმ გვერდზე, სადაც მაგისი ამბავი იწყებოდა. დედამისი კი ვერ მიხვდა, რა შუაში იყო დათო მარსის კოლონიზაციასთან, ვერც იმას მიხვდა, რატომ გადაიხადა მარსზე დათომ ქორწილი და რატომ დაესიზმრა იმ ღამეს სოფელი საზანო, საიდანაც მარსიანელებმა მოიტაცეს, მაგრამ მე ხომ გავიგე!

ინანო: რა, რა გაიგე? აი, შენი გმირები სულ იტანჯებიანო, რომ ამბობ, დათო მანდარია ხომ არის ბედნიერი?!

დაჩი: ეგ დაცინვაა, ეგ ცინიზმია, ზიზლია, რომელსაც ჩემზე ანთხევ, ჩემებზე, ჩემს მეგობრებსა და მთელ სამყაროზე.

ინანო: საერთოდ არ მწყინს შენგან, ჩემს თავზე ვარ გაბრაზებული, ასეთი იდიოტი რომ აღმოვჩნდი. ველარ ვხვდები, რა გვაქვს საერთო. უკვე იმასაც ვერ ვიხსენებ, რა გვქონდა საერთო, არადა ხო ასე იყო?! ორი დღის წინ ხო ბედნიერები ვიყავით და, ერთი სული გვქონდა, როდის მივიდოდით აეროპორტში, მის ერთადერთ კაფეში დავსხდებოდით, რომელშიც ყველაზე უგემური საჭმელია და აქ გადმოვფრინდებოდით. ორ დღეში როგორ მოხდა, რომ ასე შეიცვალა ყველაფერი? თუ არაფერი არ შეცვლილა, მე მეჩვენებოდა ყველაფერი და ახლა რაცაა, ესაა სიმართლე?

დაჩი: ყველ შემთხვევაში, სტატისტიკას შევქმნით – პირველი წყვილი ვიქნებით, ვინც აქ ჩამოვიდა და ერთმანეთს დაშორდა.

ინანო: აქ ჩამოუსვლელად შეგეძლო, გეთქვა, რომ მიუღებელი ვარ და არ მოგიწევდა ამხელა სატანჯველის გავლა და ამხელა გზაზე თრევა.

დაჩი: ახლა დამშვიდდი და კარგად მომისმინე! მე მომწონს ეს ქალაქი, სულ რომ უდაბნო იყოს აქაურობა, მანიც მომენტონებოდა, იმიტომ რომ აქ კემპ ნოუა. უბრალოდ გავპრაზდი. ზედმეტად? კი ბატონო. გუშინ ისე ვინერვიულე, ვერაფერს ვხედავდი. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არაფერი არ მომენტონა და, შეიძლება, ისე ვერ ალვიქვამ და ვერც გადმოვცემ, როგორც შენ. დღეს დაგინახე, როგორ ჩაწერე შენს სამუშაო ბლოკნოტში – „ქალაქს ყვითელ ფიფქებში გახვევს იასამნისფერ ხეგბის ალყა“. დაფიქტორდი და მივხვდი, მე არ შემიძლია უაბობიანი სიტყვებით წერა, უბრალოდ, ობივატელი ვარ. მე ასე ვიტყოდი: „ქალაქში იასამნისფერ და ყვითელ ყვავილებიანი ხეგბი დაგას, მაგრამ მარტო ყვითელს სცვივა ყვავილები და ტროტუარზეა დაფენილი, მათ შორის მანქანებზეც, რომლების გარეცხვაც მოქალაქეებს ჩვეულებრივზე უფრო ხშირად უწევთ მაგის გამო“. ბევრად კარგად აღწერ ამბებს, ვიდრე ის სინამდვილებია, დაუე ჩემ მოყოლილ რაღაცებსაც შენ უკეთესად ყვები და კიდევ უფრო უკეთესად წერ. ხანდახან ვფიქრობ... მეც ხომ იქ ვიყავი, როცა ეს ხდებოდა და მაშინ ასე საინტერესო არ მომჩვენებია. ბოლოს და ბოლოს გლდანზე გაქვს დაწერილი პოემა, რომელიც ყველაზე მაგარია, რაც წამიკითხავს, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გლდანი მშვენიერია და იმ სიმახინჯეში სხვას კიდევ შეუძლია დაინახოს ის, რაც შენ დაინახე და აზრად მოგივიდა. მე არ მეჩვენება ეგ უბანი ელეგანტურად და, დამიჯერე, მე მარტო არ ვარ. ვერ ალვიქვამ შენნაირად. ამით განვსხვავდებით მარკეტოლოგები პოეტებისგან. შემოიღეთ კანონი ჩვენი განადგურების შესახებ, დაგვხოცეთ და მერე მარტო მწერლები და პოეტები დარჩებით, წერეთ ნოველები თემქასა და ვარკეთილზე, დამილოცნიხართ! თუ რამეა,

ჩემი ძმაკაცი ხუცო გითარგმნის იაპონურად, თან სრულიად უფასოდ.

ინანო: იცინის. დაჩის ჩაეხუტება.

ინანო: (სიყვარულით) იდიოტი ხარ?

დაჩიც ჩაეხუტება. ერთმანეთს კოცნიან.

ინანო: აქ არაა მთლად შესაფერისი ადგილი...

დაჩი: არა უშავს, კატალონიელები გამოსული ხალხია.

კოცნის.

დაჩი: წამოდი სასტუმროში...

დღე III

დილა. სასტუმროს ნომერი. ინანო იცვამს. დაჩი კოცნის და ეფერება.

დაჩი: ჩქარა ჩადი სასადილოში, ინანო ან, მოიცა, ჯერ არ ჩახვიდე...

ინანო: დაჩი!..

დაჩი: კაი, ხო.

ინანო: ადექი!

დაჩი: აქედან რო გახვალ, ლიფტით არ ჩახვიდე, კიბით წადი და ეგრევე კარ-თან მოხვდები. კორიდორის გავლა არ მოგიწევს. ჯერ შენ ჩადი, მერე მე ჩამოვალ. თან მომწერე, რო ჩახვალ, ქვევით რა სიტუაციაა.

ინანო: მაცადე, რა! ასე ვერაფერს ვერ ვაკეთებ და კიდევ უფრო ვიძაბები.

დაჩი: აუ, რამდენ ბოდიალი გიყვარს?

ინანო: ჩქარა წავედი, სანამ კიდევ გვიჩხუბია.

ინანო გადის. დაჩი ცოტა ხანს ფეხის ხმას უსმენს, ვიდრე დარწმუნდება, რომ ინანო წავიდა. დგება. ჩემოდანს ხსნის. პერანგს იღებს, რომელიც დახვეულია. იქიდან პატარა ყუთს ამოღებს, გახსნის. ყუთში ბეჭედი დევს. დაჩი ბეჭედს უყურებს და ლოგინზე ჩამოჯდება, შემდეგ ტელეფონს იღებს ვაიბერით რეკავს.

დაჩი: გამარჯობა. ირაკლი ხართ? ვიცი, ბარსელონაში ცხოვრობ. გეგამ მომცა, ძმაო, შენი ნომერი, ლიკლიკაძემ, ქუთისელი რომაა. კი, კი... ჰო... არა, არა, პლანის ბარიგის არა. მოკლედ, აქ ჩემს საცოლესთან ერთად ჩამოვედი და რაღაც პრობლემებში ვარ, რა... ფული მჭრდება და ბეჭედი მინდა, გავყიდო... კი, ძმა... კი, კი, ბრილიანტისაა. რა ვიცი, რამდენსაც მომცემ, ისე ვარ გაჭედილი ახლა რო... კი, ჩაგიგდებ ფოტოს. კაი, ძმაო, დაგირეკავ, აბა.

უყურებს ბეჭედს, ფოტოს გადაუღებს, ყუთს კეტავს და სწრაფად ჩაცმას იწყებს.

ქუჩა

დაჩი ხის ქვეშ დაყრილი ქვებიდან ერთ-ერთს ამოარჩევს, აიღებს, გაწმენდს და ჯიბები ჩიდებს.

ინანო: რას აკეთებ?

დაჩი: ამ ქვას ყვითელი მარკერით ბარსელონას დავაწერ, უკან მაგნიტს დავაწეპ და ეგაა – მაცივრის მისაკრობი მექნება. გუშინაც ავიღე სამი ქვა სუვენირებად, ჩემი მეგობრებისთვის. შენც ხო არ გინდა შენებისთვის? ლამაზებს აგირჩევ.

ინანო: კარგი იდეაა. კემპ წაუსთან ყველაზე დიდი აიღე სამახსოვროდ?

დაჩი: აუ, არაფერი არ ამიღია. ცოტა წევამ ამიწია, რო დავინახე.

ინანო: ინერვიულე?

დაჩი: ვინერვიულე და თავი მოვიკალი-მეთქი, არ მითქვამს. ჩემთვის ყველაზე ემოციური ადგილია. მანდაა ჩემი ფეხბურთის სიყვარულის ისტორია.

ინანო: სტადიონს კაი ხანი უყურებდი სულელივით.

დაჩი: 2000 წლიდან ვარ ბარსას გულშემატკივარი, ანუ თვრამეტი წელია, ესაა ჩემი სამყაროს ცენტრი. ზოგადად, ფეხბურთის გუნდების გულშემატკივრობა ასე იწყება ან ვიღაც უფროსი მეგობარი გეუბნება, რომ მომწონსო და მერე შენც გევასება და ამუღამებ, ან რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელი გევასება და ის სადაც თამაშობს, იმ გუნდს გულშემატკივრობ. ბავშვობაში ასეა და მერე მიგ-ყვება და მიგყვება. ჩემს შემთხვევაში ორივე იყო – მეგობარმა მირჩია, უბნელმა, რომელიც ყველაზე მაგარი ტიპი მეგონა მაშინ და თან რივალდო თამაშობდა – ვარსკლავი იყო. მერე ნელ-ნელა დავამუღმე და მიგხვდი, რომ მართლა მაგარი გუნდია. პირადად მე ბარსას პოლიტიკა მევასება. ვინც ბარსაში თამაშობს, ძირი-თადად აქ თამაშობდა ბავშვობიდან და მერე გახდა სთარი. რეალი არ მევასება. ახლა რელისა და ბარსას ამბავი კი იცი – რეალი მზა ფეხბურთელებს ყუიდუ-ლობს, იმათ, ვინც უკვე სთარია და ჩემთვის სხვა რამეა მთავრი. აი, ფეხბურთელი ბარსას ფილოსოფიით იზრდება და მერე ხდება სთარი, როგორც არის ინიესტაა ან მესი. რეალი კაშკაშა ვარსკვლავებს ყიდულობს, რა ადვილია... ჩემზე უფროსი თაობის ბარსას ფანების კუმირი იოჰან კრუიფია – ჰოლანდიელი ფეხბურთელი. ჯერ აქ თამშობდა და მერე გახდა მწვრთნელი. მე ვერ შევედი მუზეუმში, თო-რემ უეჭველი ეკიდებოდა მაგ კაცის დიდი ფოტო განსაკუთრებულ ადგილას. იქ, გამოსასვლელში რომ სუვენირების მაღაზია იყო, ინიესტას მაისურები უფრო მოთხოვნადია, ვიდრე მესისა. არა, მესიც ძან მაგარია. ინიესტა აღარ თამაშობს, მაგრამ ძან მაგარი იყო ეგეც, თან ესპანელია ეგ და, ხო ხვდები? ჩემი დირექტორი, ანა იყო ამას წინათ აქ, კომფერენციაზე და კემპ ნაუს ფოტოები ჩამიყარა – ეგრევე შენ გამახსენდიო. აი, ბარსას თამაშის დროს იმას კი არ ვინატრებდი, რომ სტადიონზე ვიჯდე და იქ ვიზუმო გოლი. არა. აი, სადმე, ბარსელონას ვიწრო, ლამაზ ქუჩაზე ვიყო. წარმოიდგინე, აივნის კარი ყველას ლია აქვს და სახლებიდან ტელევიზორის ხმა გამოდის, სადაც ფეხბურთია ჩართულია. უცებ დიაძაბა სიტუ-აცია და – გოლოლ! და სახლებიდან გამოსული არაამქვეყნიური ღრიალითა და კივილით გაივსება მთელი ქალაქი, ქუჩები, სადარბაზოები, სამრეცხაოები. ყველა ბარსელონელი რომ ყვირის, მაგ სიხარულის ყვირილს მოვისმენდი ქუჩაში.

ინანო: ჰოდა, აი, ეს შენ!

დაჩი: რა არის?

ინანო: ჩქარა გახსენი!

დაჩი: ბრელოკია?

ინანო: (თავს უქნევს).

დაჩი: ბარსას მუზეუმიდან? აუუ!..

ინანო: მოგწონს?

დაჩი: ...

ინანო: მინდოდა, რაღაც გქონდა სამახსოვროდ..

დაჩი: ხო, მაგრამ... როგორ იყიდე?

ინანო: რა მნიშვნელობა აქვს?

დაჩი: რანაირად იყიდე?

ინანო: არ მიყიდია.

დაჩი: აბა, მოიპარე?!

ინანო: არა, არა!

დაჩი: შეამჩნევს, რომ ინანოს ჯვარი აღარ უკეთია.

დაჩი: ჯვარი გაყიდე?

ინანო: არა, არ გამიყიდია. ამაში გავცვალე.

დაჩი: გაგიუდი?

ინანო: რა ვიცი...

დაჩი: მადლობა, მაგრამ ექვსევროიან რაღაცაში ოქროს ჯვარი როგორ გაცვალე? ნორმალური ხარ? გაგვეყიდა, თუ ასე გინდოდა და, იცი, რამდენი რამე მოგვივიდოდა მაგ ფულით?

ინანო: მაგდენი არ მიფიქრია.

დაჩი: უნდა გეფიქრა!

ინანო: არ გაგიხარდა?

დაჩი: რა? როგორ არ გამიხარდა? ეს არის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც მიმიღია, მაგრამ არა ამ ფასად.

ინანო: რა ფასად? შენ რატომ ღელავ ერთი. მე არ დამენანა.

დაჩი: აუუ... მშივრები დავწონიალობთ მთელი დღეები. არ ვიცი, რა! ვახ, ვეღარ ვფიქრობ უკვე, რა გავაკეთო? ახლა მართლა მარტო ღმერთის იმედზე ვარ!

ინანო: მომისმინე! ეგ ჩემი ნივთი იყო, მე რა არ ვიცოდი, რომ ძალიან ძვირფასია? რომ მომნათლეს ანუ ხუთი წლიდან ეგ ჯვარი მეკეთა, მაგრამ არის რაღაც მომენტები, როცა ყველაფერი გავიწყდება კი არა და... იქ რომ მივედით, პირველად გაიღიმე სამი დღის განმავლობაში და ისეთი თვალებით უყურებდი სტადიონს, „ანდაჟდი ვამერიკეში“ რო ბიჭი ნამცხვარს უყურებს, ეგრე! იმ წამს ვიფიქრე, რომ, მიუხედავად ჩვენი ჩხუბისა, მე ჩემს გრძნობებთან მართალი ვიყავი. არ ვიცი, გული აგიჩუყდა, თუ რა მოგივიდა, ისე სუნთქავდი, ვიფიქრე, ეტირება-მეთქი და აქეთ გამოვედი, ჩემი არ მოერიდოს-მეთქი. მარტო დაგტოვე, რომ კარგად დაგეთვალიერებინა, მერე მაღზიაში შევვარდი და კონსულტანტს ვუთხარი: აი, ეს მომეცი და ამაში გიცვლი-მეთქი.

დაჩი: მადლობა, მაგრამ არ იყო საჭირო. იქიდან ქვაც რომ წამომელო ან ხის ტოტი, ეგეც საკმარისი იქნებოდა.

ინანო: შენ, ვერ გაიგე, რა გითხარი?

დაჩი: გავიგე.

ინანო: არა, ვერ გაიგე! ჩემი ნივთი იყო და, რაშიც მინდა, გავცვლიდი და, საერთოდაც, თუ მომინდებოდა, ვინმეს ვაჩუქებდი. უმაღლერი ხარ! ამ საჩუქრის ამბავს თუ ასე შემოატრიალებდი, არ მეგონა, მაგრამ, შენ ხომ შეგიძლია, რომ ჭკუიდან გადაიყვანო სხვა და ვერ შეირგო ის, რაც გაქვს და ბედნიერს გხდის. მარა არა! ჩემი ბრალია ყველაფერი. სურვილმა მძლია, რომ გამეხარებინე და, რა მივიღე? არც შენ არა ხარ კმაყოფილი და მეც კარგად გავილანდე.

დაჩი: უცხო ქვეყანაში ვართ უფულოდ! რამე რომ დაგვემართოს, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგას გავყიდიდით და ცოტა წაგვადგებოდა.

ინანო: არაფერი არ დაგვემართება! არაფერი აღარ დაგვემართება იმაზე უარესი, რაც დაგვემართა. იმდენი მოახერხე, შენი დანახვა აღარ მინდა!.. და, რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, კიდევ ორი დღე მომიწევს ავიტანო ეს ჯოჯოხეთი.

დაჩი: წყალი გინდა?

ინანო: არაფერი არ მინდა! მარტო ის მინდა, ჩქარა მოვიდეს 22 რიცხვი, რომ აქედან წავიდე და აღარასოდეს აღარ გნახო, როგორმე დავივიწყო ის საშინელე-

ბა, რაც გამომატარე.

დაჩი: მაპატიე..

ინანო: მაგაზე ნერვიულობ? დამშვიდდი! შენ გაპატიებ, აი, საკუთრ თავს ამ შეცდომას არ ვაპატიებ. არა, ხომ შეიძლება ერთხელ ყევლაფერი ისე მოხდეს, როგორც მე მინდა, მაგრამ – არა! არა! ეტყობა, მართლა ტანჯვისთვის ვარ გარჩენილი და თავს ტყუილად ვიმედებ, ვითომ ყველაფერი კარგადაა. რა დავშავე? რა კარმიული ვალი მაქვს ასეთი? რა ცოდვა მიმიძლვის ამისთანა, რომ ასე ვისჯები? არა, ალბათ, ესეც საჭირო იყო, აბა, აქამდე ვერ მივხვდი, ვინც ხარ. უნდა დამთვრებულიყო ეს ილუზიები, რომ გვერდით ის ადამიანი მიდგას, ვისი იმედიც შეიძლება, მქონდეს.

ინანო საპირფარეშოსკენ მიდის.

დაჩი: სად მიდიხარ?

ხელს მოჰკიდებს.

ინანო: აქ შევდივარ და შემეშვი!

დაჩი გარეთ დგას, ძალიან მოშლილი.

ინანო სხვა განწყობით გამოვა.

ინანო: კაცების ტუალეტში ვიღაც ინოლა გურგულიას სიმღერას უსტვენს.

დაჩი: რას ამბობ?

ინანო: კაცების ტუალეტში ვიღაც ინოლა გურგულიას სიმღერას უსტვენს. შედი და ნახე.

დაჩი: რა ვიცი, რატომ უნდა შევიდე, მეორე ხმას ხომ არ მივცემ?

ტუალეტიდან გამოდის დემნა. დაინახავს დაჩის.

დემნა: დაჩი!..

დაჩი: დემნა!..

დემნა: რას შვები, ბიჭო, ჩამოხვედი?

დაჩი: აუუუ, როგორ გამისწორდა შენი ნახვა. ვერ მოგწერე, არ ვიცოდი, ზუსტად როდის ჩამოდიოდი.

დემნა: მე გირეკავდი, ვოთსაპი აგიფეთქე. გწერდი – მეთქი სადა ხარ. ჩვენ გუშინ ჩამოვედით.

დაჩი: ინტერნეტთან ვერ მოხხდი, არც ფეისფუქი გამიხსნია. არა, მეც ვიფიქ-რე, მივწერ-მეთქი, მაგრამ ზუსტად არ ვიცოდი, როდის მოდიოდი და... ეს ინანოა, გაიცანი.

დემნა: სასიამოვნოა, დემნა.

დაჩი: რას შვები, ბიჭო?

დემნა: რა ვიცი, მე და დეა ჩამოვედით, აქვეა ჩვენი სასტუმრო. დეა შოპინგობს. სამი საათია, მაღაზიიდან არ გამოსულა, მეთქი გავივლი ცოტას. საღამოს ერთად გავიდეთ, სადმე ვივახშმოთ, არ გინდათ? თრიპედვაიზერზე ვნახე ძაან მაგარი რესტორანი თავისი ხამონებითა და პაელათი.

დაჩი: ვაა, რა კაია.

დემნა: ხოდა ერთ საათში გელოდებით, აბა. აი, ესაა მისამართი (ტელეფონს აჩვენებს). მიდი, ჩაინერე გუგლმეპსში და მოხვალ ეგრევე. იცი, სადაა? ამ ქუჩას რო გაცდები 6 კუბიკი, სადღაც, ეგრევე მაცხნივ შედიხარ და მერე – მარჯვნივ. სასტუმრო “kasa de note”-ს გვერდითაა.

დაჩი: კარგი ბატონი!

დემნა: წავედი, აბა, დროებით. ინანო, სასიამოვნო იყო შენი გაცნობა.

ინანო: ჩემთვისაც.

დემნა გადის.

ინანო: ვინ იყო ეს კაცი?

დაჩი: ჩემი თანამშრომელია. ვიცოდი, რო ესეც მოდიოდა, მაგრამ მერე სად გამახსენდა, ისეთ დღეში ვიყავი... ძაან კაი სმენა გქონია, შენ!

ინანო: ხო. ამბობენ.

დაჩი: ხოდა, ჩათვალე, დღეს ძალიან მაგრად გვიჭამია და კარგად დაგვილევია.

ინანო: ვისთან ერთადაა აქ? ცოლთან?

დაჩი: არა, რა ცოლთნ, შეყვარებულთან.

ინანო: რამდენი წლისაა?

დაჩი: დემნა? ასე ოცდაათის ან ორმოცდახუთის მაინც იქნება.

ინანო: ოცდაათის თუ ორმოცდახუთის, ვერ გავიგე.

დაჩი: მაგის ფარგლებში, რა. მეტი არ იქნება.

ინანო: მერე, რა დროს მაგის შეყვარებულია?

დაჩი: ჩუმად! სახლიდანაა გამოპარული. არ იციან მაგისმა მშობლებმა, შეყვა-რებულთნ ერთად რომ წამოვიდა. იციან, რომ თანამშრომლებთან ერთდაა.

ინანო: ვინ თანამშრომლებთან?

დაჩი: არარსებულ თანმშრომლებთან, ანუ ჩვენთან. აბა, რა გგონია, რატომ დაგვატიუჟა ვახშამზე?

ინანო: გეხვეწები, ნუ მიყვები ასეთ რაღაცებს, ვეღარ ვუძლებ.

დაჩი: წავიდეთ, ჩქარა და გამოვიცვალოთ. ისე მშია, თვალებში მიბნელდება.

რესტორანი “Feroz”

დემნა, დეა, დაჩი, ინანო

დემნა: მეგობრებო, ამ სანგრით მინდა აქაურობას გაუმარჯოს! ამ ქალაქს, ამ ქუჩებს, ამ სილამაზეს, რომელიც ჩემთვის რატომდაც დეპრესიულიცაა.

დაჩის და ინანოს პირი საჭმლით აქვთ გამოტენილი.

დაჩი: გაუმარჯოს, ჩემო დემნა. ძალიან გამიხარდა, რო აქაც შეეხვდით ერთმა-ნეთს, თორემ ახლა თბილისში სამსახურიდან ვიქნებოდით ლანჩჩე გამოსულები სმარტის ლობიანისტვის.

დემნა: აუ, ბიჭო, აუ... მაგას მე, ხო იცი, ვაფშე აღარ ვეკარები...

ინანო: გაუმარჯოს ამ ქალაქს.

ამ დროს მიმატანი მოვა და ეპანურად რაღაცას უხსნის.

დემნა: რაო, დაჩი?

დაჩი: ანუ ეს ნიორი უნდა წაუსვათო და მერე, აი, ეს ზეთი გემოვნებით მოას-ხით ამ პურის ნაჭრებს და მერე პომიდორიო, აი, როგორც შვება, ეგრე დაადეთ და კატალონიური ბაგეტი გამოვაო.

დემნა: ხედავ, როგორი მარკეტინგული ხრიყი აქვთ? სანამ კერძები შემოვა, კლიენტურა უნდა გაართონ. ძალიან მაგარია ეს კლასიკური სანგრია, რა.

დაჩი: იმ დღეს იყავი ქორწილში?

დემნა: კი. ჩვეულებრივი კი არ იყო, სამეფო ქორწილში ვიყავი.

დაჩი: შეიკერე კოსტიუმი?

დემნა: კი, შევიკერე. მთელი ჩემი საძმაკაცო ვიყავით. სამნი წავედით ერთად, მეოთხემ მე მერე, ტაძარში მოვალო. ვდგავართ ტაძართან და ეს ოთარა არ გა-იჩითა იქ? ამ სიცხეში ჩოხა შალის აცვია, ფეხზე – აზიაცკები. დავიწყეთ მისი დაცინვა და დაბულინგება. უცებ გავიხედე და მოდის ჩემი ბიძაშვილი. ლაშა-გი-

ორგი, ხო იცი შენ?

დაჩი: როგორ არ ვიცი.

დემნა: აი, ეგ – ჩოხაში და ცხენზე ამხერებული დროშით ხელში. აქ რა გინ-და-მეთქი, – ვეუბნები. დემნა, ძმობილოო, შენ არ გეკადრება, უნდა იცოდე, რომ ჩვენ – ფალიანები – ოდითგანვე მეფის ერთგული მედროშები ვიყავით და ახლა მე უნდა ალვადგინო ეგ ტრადიციაო. მე როგორ დავიცინე ამის მერე, ხო ხვდები? ჩემ გვერდით დაჯდა სუფრასთან, მერე, ქორწილში. საზოგადოება კარგად რო შეთვრა, ჩხუბი ატყდა – ტრადიცია აქაც არ დაირღვა. ჩემი ბიძაშვილი მეუბნება: დემნა, ძმიბილოო, დამრთე ნება, რომ ჩემს ძმებს დავეხმაროო. მივიდა და ხუთ წუთში დაიშალნენ ეს ტიპები, დასხდნენ სუფრასთან. მოვიდა და ვეკითხები, მარ-თლა შენი მეგობრები არიან-მეთქი? ქრისტიანულად ყველა ჩვენი დაა და ყველა ჩვენი ძმააო. რა უთხარი-მეთქი? ძმებო, დლეს ბეჭნერების სუფრაა და ეშმაკი განსაკუთრებულად გვებრძვის. მოდი, ხვალისთვის გადადეთ ეგ საქმე და გან-გეშორებათ ბოროტიო. ცოტა ისე შევხედე და – დემნა, ძმობილოო, ეშმაკი მეც მებრძვის და შენც გებრძვისო... მეტი საუბარი აღარ გავუგრძელე. გუშინ დილით ვსქროლავ ფეიბუქს და უცბად მიგდებს წლის საუკეთესო სასიძოებიო და ლაშა-გიორგი არაა პირველი სიაში? აუუუ ისე გამეცინა... მართლა ეგეთია, არ თამა-შობს არაფერს.

ინანო: დეა, შენ სად მუშაობ?

დეა: მე?

დემნა: დეა მინანქრის სპეციალისტია.

დეა: მეც ვეტყოდი...

დემნა: არ გინახავთ ამის ინსტაგრამი? უდევს ნამუშევრების ფოტოები

ინანო: დეა, მაჩვენე, აბა. მიყვარს მინანქარი და ისეთი ლამაზი საყურეები მაქვს.

დეა: (აჩვენებს ტელეფონში) აი, მარტო საყურეები არა, ყველაფერს ვაკეთებ. ეს დიდი გულსაბნევები გავაკეთე ბოლოს.

ინანო: დეა! რა ლამაზია! აი, ესაა შემოქმედება.

დეა: ესენი მასიურებია. ყოველდღიურად ვერ გაიკეთებ.

ინანო: არა, რას ამბობ, ეს უნდა გამოფინო.

დემნა: ვაპირებთ, რომ დეას გამოფენა გავაკეთოთ.

დეა: ადრეც მქონდა, 2004-ში.

ინანო: (ტელეფონში) აი, ეს რა ლამაზი ჯვარია.

დეა: მოგწონს? ამეებს ვყიდი, ზოგს მაღაზიაში ვაბარებ.

დაჩი: ინანომ ჯვარი დაკარგა დლეს.

დემნა: რას ამბობ, კაცო? სად?

ინანო: არ ვიცი... პლაჟზე, ალბათ.

დეა ჩანთიდან იღებს პატარა კოლოფს, რომელსაც “deas julri” აწერია.

დაჩი: ვა, ვა, როგორი პრენდი გქონია.

დეა: რამდენიმე წამოვილე სახელოსნოდან. აი, აირჩიე, უნდა გაჩუქო!

ინანო: არა, არა! ვაიმე, რატომ?.. მაგიტომ არ მითქვამს.

დემნა: დაჩი, უთხარი ინანოს, არ გვაწყენინოს.

ინანო: არა, არა, რა!

დეა: აი, ეს, შენ! შავი ტყავი მაქვს, ამაზე ჩამოგიკიდებ ახლავე.

ინანო: აუუუ, მაღლობა! კაი, რაა.

შემოდის მიმტანი, შემოაქვს მთავარი კერძი და მაგიდის შუაში დებს.

მიმტანი: vuestra paella con produqtos del mar!

დემნა: gracias siniorina.

დაჩი: მე აღარ შემიძლია.

დემნა: ესაა მთავრი კერძი, გადაიღე, რა.

ინანო: მე მინდა.

დაჩი: ირიბად გახედავს.

დაჩი: დემნა, კიდევ ერთი სანგრია. მინდა მე.

დემნა: ახლავე. diskulpeme! აუუ, აქ ხომ არავინ არ გისმენს, ამათ და იტალიელებს აქვთ ეს თვისება, ისე ხმამაღლა ლაპარაკობენ, თან იმდენს, რომ, შეიძლება, გაგიჟდე. აუუ, ბიჭო, ნოემბერში მივდივარ კამბოჯაში, მართლა.

დაჩი: კამბოჯაში რატომ? მივლინებით?

დემნა: არა, არა, ისე იაფად ვნახე ბილეთები, რაღაც აქცია იყო და...

დაჩი: ვა, ვა! მაგარია. ძალიან მაგარია.

დემნა: ევროპაშიც ყველგან ვარ ნამყოფი და აზიაშიც. ახლა, ყირგიზეთს თუ არ ჩავთვლით, არსად არ ვყოფილვარ, განსაკუთებით ეგეთ ეგზოტიკურ ქვეყანაში. თქვენ ნამყოფები ხართ მანდეთ?

დაჩი: ააა..

ინანო: კი!

დაჩი: კი? კი?! კი!

ინანო: ხელს უჭერს, თითქოს რაღაცას ანიშნებს. ტელეფონს რთავს და მაგიდის ქვემოდან, ისე, რომ არავინ შეამჩნიოს, რაღაცას კრეფს.

დემნა: სად? სად?

ინანო: ინდოეთში.

დაჩი: ტელეფონს იღებს.

დემნა: ბომბეიში?

ინანო: არა ჯაპურში. მე ერთი რადიოპიესა მაქვს. მაგის პრეზენტაცია იყო იქ ინგლისურ ნაზე და ერთად წავედით.

დაჩი: ხო...

დემნა: მაგარია, არა?

ინანო: საოცრებაა.

დეა: მე წაკითხული მაქვს შენი რადიოპიესა.

ყველა დეას შეხედავს.

დეა: ფსიქოტაქსიში რომ ჩაჯდება ხულიეტა ქარქაშახე და ამ ფსიქოლოგს უყვება, რომ მიდის ქმრის საყვარელთან, სადაც თავისი ქმარია და, რომ უნდა მოკლას, ხო?.. ხო ეგაა შინაარსი?

დემნა: დეა? რა?

დეა: არაფერი.

ინანო: კი, ეგაა.

დეა: ხო და ძალან მომენონა.

დემნა: მაპატიე, მე არ მაქვს წაკითხული.

ინანო: არა უშავს, არც მიფიქრია.

ხოდა, მოკლედ, ინდოეთზე ვაგრძელებ მოყოლას. ჯერ თბილისიდან ბაქოში ჩავთრინდით, ბაქოდან – ყატარში, ყატარიდან – კერალაში... ვაიმეეე, ვგიჟდები კერალაზე, არუდარტი როის რომანი მახსენდება სულ, ხოდა კერლადან – ჯაიპურში. მოკლედ, ამდენი მოგზაურობის მერე ხვდები სხვა სამყაროში, რომელიც დროში მოგზაურობას ჰგავს, თან გგონია, რომ ყველაფერმა ტრანსფორმაცია გა-

ნიცადა, იმიტომ, რომ ყველაფერი სხვანაირია, ყველა სხვანაირია, მაგრამ, ამავ-დრულად, რაღაც გაუცნობიერებლად არის ძალიან ახლოს შენთან ყველაფერი.

დაჩი: დაჩის ხელს ჰკრავს ჩუმად.

დაჩი: ჲმმმმ, ხო ფიქრობ, რო... ეს სად მოვხვდიო. მანქანები იქ არ არის, ფეხ-ბურთი იქ არ არის.

ინანო ფეხს აბიჯებს.

დაჩი: ხო, მაგრამ... ეს ტროპიკული მცენარეები, ბანანი, ბანანი, ბანანი არ თავდება.

ინანო: რო ჩავედით, ღამე იყო და ბანანი იქ სად დაინახე?

დაჩი: ხოოო, ღამით არა, მაგრამ ხო გათენდა?! დღისით დავინახე ბანანი.

ინანო კიდევ მაგრად ჩაარტყამს ფეხში.

დაჩი: ყველაფერი ძალიან კარგი იყო, ყველაფერი სასწაული იყო, მაგრამ, აი, რიქშამ რო გადამიარა ფეხზე...

დემნა და დეა ერთად: რაააააა?!?

დაჩი: კი არადა, სპილომ.

ინანო: ვაიმე, არა, რიქშამ გადაუარა შემთხვევით. იქ ხო მთელ ქალაქში ერთი შუქნიშანი აყენია... არანაირი მოძრაობის წესები, არაფერს არ იცავენ. რიქშაში რო ჩავჯექით, თვალები დასუჭული მქონდა, სანამ დანიშნულების ადგილამდე მიმიყვანდა, მაგრამ ეგ საერთოდ არ მაღლელვებდა.

დემნა: საჭმელი მართლა ისეთი აქვთ, რო ვერ შეჭამ?

დაჩი: არა, მე ვჭამდი.

ინანო: ძან გემრიელი საჭმელი აქვთ, ბევრი სუნელებით. მე ძალიან მომენტონა.

დაჩი: მე არ მომენტონა დილის საუზმე, სადაც ბანანი მოგვიტანეს კვერცხით.

ინანოც და დაჩიც დროდადრო ტელეფონს უყურებენ.

ინანო: ხოდა ღამე ხო მიგვიყვანეს სასტუმროსთან. წარმოიდგინე, პატარა ქა-ლაქში მიდიხარ მანქანით, სადაც სულ რაღაც ათი მილიონი კაცი ცხოვრობს, ლამპიონები თითქმის არ ანათებს. ქუჩაში, რა თქმა უნდა, არავინ არ დადის, მაგრამ, სამაგიეროდ, ადამიანებს მუყაოს საწოლები აქვთ გაკეთებული და ძირს წვანან. ხო იცი, ზამთარში არაბულ ტახტზე რომ გძინავს გემრიელად, თბილი საპანი რომ გაქვს ამოგებული, ეგრე აქვთ ყუთები წაფარებული და სძინავთ გა-ლიმებულებს. აი, ძალიან, ძალიან, ძალიან მაგარ სიზმარს რო ხედავ, ეგრე.

დემნა: ვააა, მაგარია! ყველა ამბობს ინდოეთზე, რო სასწაულიაო.

დაჩი: ხოო, ნამდვილად ასეა.

ინანოს ტელეფონი ურეკავს, ვაიბერის ზარია.

ინანო: ვაიმე, ბოდიში. ერთი წუთი გავალ.

გადის ტუალეტისკენ.

დაჩი: დეა, ძან დიდი მადლობა. მთელი დღე ტიროდა, დღეს ჯვარი რო და-კარგა.

დემნა: კარგი, რაა, რელიგიურია?

დაჩი: ბიჭო, არ არის რელიგიური, ვაიშნავიზმითაც არის დაინტერესებული, ინდოეთში რომ ვიყავით, ყველა ტაძარში შევიდა, არადა ბევრგან უცხოელებს არც კი უშვებდნენ. მამამისი საერთოდ იუდეველია, თუ არ ვცდები.

დემნა: კაი, რას მეუბნები?!

დაჩი: ეს კონკურენტული ჯვარი მე მგონი ბიძამისმა გამოუგზავნა ციხიდან, ადრინდელ, ბავშვობის ამბავს გიყვები.

დემნა: ისე, ფოტოებში არ ეტყობოდა, რო ესეთი კარგი გოგოა.

დაჩი: ბოდიში, ერთი წუთი გავალ, გავხედავ.

სცენა საპირფარეშოში.

დაჩი: რას შვრები?

ინანო: ბაკურმა დამირეკა.

დაჩი: რაო მერე?

ინანო: არაფერი ისეთი, ბოლო მოთხრობაზე, ხო გახსოვს, ბუბასთან რა ამბავი მქონდა? ვუთხარი, არ გამოაქვეყნო, თუ ისე გადააკეთებ, როგორც შენ ამბობ, თორემ აზრს სულ დაკარგავს-მეთქი. არა, ნუ, მაინც თავისას ანვებოდა და აღარ გავუგრძელე ლაპარაკი, ისე წამოვედი.

დაჩი: მერე?

ინანო: არაფერი, მაინც გამოუქვეყნებია, ოლონდ სხვისი სახელით და გვარით და რაღაცები შეუცვლია კიდევ. ველოდები ახლა, ბაკური გადმომიგზავნის მე-ილზე.

დაჩი: ყველაფრის მკადრებელი ნაბიჭვარი რო იყო, ვიცოდი და შენც გეუბნებოდი, მაგრამ არაო და მაგაზე ძაან ბევრჯერ გვიჩჩუბია, მაგრამ ასე თუ მოიქცეოდა, არ მეგონა, თან შენ რომ წამოსული ხარ ახლა და ვერაფერს ეტყვი...

ინანო: ახლა რა უნდა ვქნა?

დაჩი: ახლა რა უნდა ქნა და უნდა გავიდეთ აქედან მშვიდად, ხალხი გველო-დება.

დარბაზში ბრუნდებიან.

დემნა: აი, ახლა ჯაიპურის რაღაცებს ვათვალიერებდი გუგლში, აი, კამბოჯის მერე, ზამთრში ვერა და გაზაფხულზე უეჭველი წავალ მეც. მე უკვე გადავიხადე, მეგობრებო, და შეგვიძლია, წავიდეთ. აქვეა მეტროს გაჩერება, ჩავიდეთ. თქვენ რომელ ქუჩაზე ცხოვრობთ?

დაჩი ტელეფონში ჩაიხედავს და უპასუხებს: – კარე დე როჯერ დეიურია.

დემნა: ანუ ორი გაჩერების მერე ჩავდივართ ჩვენ, თქვენი მეზუთე გაჩერებაა აქედან. არა, მოიცა...

დაჩი: რა იყო, ხო მშვიდობა?

დემნა: აქვე საქანელაა, არ გინდათ? წამოდით, რა.

დაჩი: რა საქანელა?

დემნა: ბიჭო, ცხენები და ეტლები რო ტრიალებენ, წავიდეთ, რა.

ინანო: წამოდი, წავიდეთ.

დემნა: ხუთი წუთის ბაზარია.

დაჩი: წამო, ჰა!

ინანო: დეა, შენ გინდა?

დეა: მგონი, კი.

წამოიშლებიან და კარისკენ მიდიან.

დემნა (გზაში): „ერთი, ორი, სამი, ერთი, ორი, სამი, ტრიალებს...“

მეტროში.

დემნა: აი, ჩვენი მეტრო, მარმარილოსია ყველაფერი. საბჭოთა კავშირში სხვა-ნაირი არც შენდებოდა. რა არის ახლა აქ? – მონკუპულია ყველაფერი, გაჩერები-დან გაჩერებამდე წუთ-ნახევარში მიდიხარ.

ინანო: ანუ არ ვარგა?

დემნა: არ ვიცი, არ ვიცი. არა, ზოგადად, შეიძლება, უფრო პრაქტიკულია ეს. რა მასალითაა აშენებული, ვერ გეტყვი, მაგრამ, ფაქტია, რომ ჩვენი უფრო ძვირ-ფასია. მარჯანიშვილის მეტროში რომ ჩადიხარ, ეს ამხელა მარჯანიშვილის თავი რომ დაგყურებს ჯერ მარტო...

დეა: მე მომწონს.

დემნა: რა მოგწონს, მითხარი. ბოლოს თბილისში როდის იყავი მეტროში?

დეა: არა, მე ამ მეტროზე ვთქვი.

“proxima parada katalonia“ – ისმის ხმა მეტროს დინამიკში.

დემნა: მეგობრებო, უნდა დაგემშვიდობოთ, სულ მალე

შევხვდებით თბილისში. ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან ერთად გატარებული სალამო.

დაჩი: აუ, ძაან დიდი მადლობა, დემნა, ვახშმისთვის და ვაფშე ყველაფრისთვის.

დემნა და დეა გაჩერებაზე ჩადიან. ვაგონში ქუჩის მუსიკოსი ამოდის, დინამიკს დგამს, სადაც გიტარა აქვს შეერთებული, ზედ ქუდს დადებს და დაკვრას იწყებს.

დაჩი: გამოგიგზავნა ბაკურმა?

ინანო: გამომიგზავნა, მაგრამ მერე ვაი-ფაი აღარ მქონდა და ვეღარ ვნახე.

დაჩი: მაგას შიგ ხო აქვს?

ინანო: გეხვეწები, ახლა არ დაიწყო, რა... მე მოვაგვარებ ყველაფერს.

დაჩი: რა ვალი გაქვს მაგისი ასეთი, გამაგებინე! რატომ უნდა აპატიო და კიდევ რატომ უნდა შერჩეს ეს?

ინანო: რატომ მამხედრებ მის წინააღმდეგ? უარესად რატომ განმაწყობ? ისე-დაც ხომ იცი, რომ ძალიან გაბრაზებული ვარ, ვნერვიულობ, იმასაც ვერ ვხვდები, როცა ჩავალ, რა უნდა ვქნა.

დაჩი: იმედია, ისევ ასე სულელივით არ მოიქცევი და ყველაფერს ეტყვი.

ინანო: როგორ მელაპარაკები?

დაჩი: რო მახსენდება მაგისი ამპარტავანი პახოდკა, გეგონება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იყოს ბიჭი. დაიბრიქება და რაღაც სისულელებს ლაპარაკობს, როგორ ემესიჯება კულტურის მინისტრს ფეისბუქით მთელი ლამე და როგორ გვიყვება, პრემიერ-მინისტრმა დილა კრუასანით და ყავით დაიწყო თუ გუდის ყველით და თონის პურით დაამთავრაო და თან ამ ყველაფერს რომ ყველა ხოლმე, პირს ანკლაპუნებს, შენ არ შეგიმჩნევია?

ინანო: არა!

დაჩი: ეს ჩვეულებრივი წკლაპუნი კი არა არის, ესაა თავში ავარდნილი წკლაპუნი. ამით გეუბნება, რომ ის უფროსია და შენ – არავინ. რა იქნებოდით ჩემ გარეშე, რა გეშველებოდათ, მე რომ არ დავბადებულიყავიო? – აი, ამას გულისხმობს.

ინანო: მე მაგაზე საერთოდ არ მედარდება. ვისაც უნდა, იმას სწეროს, რაც უნდა, ის ქნას. ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ. უბრალოდ, ახლა ეს ძალით გააკეთა, უნდა, რო, გამაღიზიანოს, რომ მე თვითონ ვთქვა, აქედან მივდივარ-მეთქი და წამოვიდე.

დაჩი: საიდან უნდა წამოხვიდე, ნორმალური ხარ? ეგ წავიდეს მაგ რედაქციიდან. შენ რომ არ ყოფილიყავი, ეგ საერთოდ ვინ იყო? გლდანის ნაგავსაყრელზე კატები ჭამდნენ. შენ მიათრიე და დასვი იქ, სადაც ახლა გდია. შენი წიგნის პრეზენტაცია რომ იყო, კანაპეები დაახვავა დიდ თეფშზე, მხრებზე ჟაკეტმოსხმული

ტურასავით მივიდა და მიუცუცქდა პრემიერს და ლამის ხელით აჭამა. გვერდი-დან არ მოშორებია, როგორმე ფოტოებში მასთან ერთად მოხვედრილიყო. იცოდა, ტელევიზიაში ან გაზეთში ეგ კარდი გამოჩნდებოდა ყველან და, მე რომ ეგ გითხარი და გაგაფრთხილე, ქსეთია-მეთქი, ააააარა, რას ლაპარაკობ, მაგას ეგ როგორ იკადრებსო. ახლა ხო მიხვდი, ვინცაა. უი, ისე, ახალი პრემიერი დაინიშნა და, ალბათ, ძან ნაწყენია, ამას რა შეეტენება კიდეო!

ინანო: მთლად ეგრეც არ არის, იმანაც ბევრი რამე გააკეთა ჩემთვის. არ მიყვარს ეს დაუნახაობა. უმადურობა ყველაზე დიდ ცოდვად მიმაჩნია დედამიწაზე. ძალიან გთხოვ, ნულარ მეჩეუბები, ისედაც ძალიან განვიცდი ამ ამბავს. იმედგაც-რუება საშინელებაა, განსაკუთრებით ისეთი ადამიანისგან, ვისიც გჯერა, ენდობი, ყველაფერს ანდობ.

დაჩი: და ბოლოს აღმოჩნდება, რო მთხლეა.

ინანო: არა, ჩემი ბრალიც არის, მე არასდროს არ მითქვამს, რა მინდა. იმანაც ჩათვალა, რომ არაფერი არ მინდა. ახლა რაღაც პრეტეზიას რომ გამოვთქვამ, ძალიან უკვირს და, იმის მაგივრად, მიხვდეს, რომ მართალი ვარ, „რა ხდება, შენ ძან პრეტეზიული გახდი ამ ბოლო დროსო“ – მეუბნება.

დაჩი: ხოდა, მოკლედ, ცუდი ადამიანია, რა.

ინანო: კარგი, გეხვეწები, შენ სულ ეჭვიანობდი მაგაზე. სულ!

დაჩი: საიდან მოიტანე?

ინანო: ხო ეჭვიანობდი?! ცდილობდი, რომ ცუდად მეფიქრა მაგაზე. მილიონ-ჯერ გითხარი, რომ გეია და თან ცოლი ჰყავს, ორი შვილით.

დაჩი: აი, ხო ვამბობდი, მთხლეა-მეთქი, შენ კიდე – არაო.

ინანო: მე ეგრე ვლაპარაკობ შენს მეგობრებზე ან ეგრე ვექცევი?

დაჩი: ჩემი მეგობრები არასდროს გამიკეთებენ ეგეთ რამეს!

ინანო: იდეალური არავინ არაა. დღეს შენი მეგობარი ხმას არ ალებინებდა თავის საცოლეს. კარგი იყო ეგ?

დაჩი: აუფ, შეადარა!

ინანო: ხოდა ნორმალურად რომ მიგაჩნია ეგ, მაგაშია მთელი უბედურება.

დაჩი: რა გამოსვლა იყო ეგ, ვითომ ინდოეთში რომ ვიყავით?

ინანო: (გამოაჯავრებს) „მთელი ევროპა მოვლილი მაქს, სად არ ვყოფილვარ, ოხ, ეს იტალიელები, ნე ნე!“ – ამ ტონმა შემარყია.

დაჩი: შენ, გოგო, სულელი ხომ არ ხარ? კაცმა დაგპატიუა, პატივი გცა, შენზე მითხრა, რა კაი გოგოა, ფოტოებში კი არ ეტყობოდაო...

ინანო: დიდი მადლობა, მაგრამ ეგ საკუთარ შეყვარებულს არ სცემს პატივს და მე მითუმეტეს.

დაჩი: შარზე ხარ? რაც ჩამოვედით, გადავირიე, გავგიუდი, ალარაფერი აღარ მინდა. დღეს, იცი, რა გავაკეთე?.. არ მინდოდა, ეს მეთქვა, მაგრამ ნუ, რა აზრი აქვს! რომ ჩამოვედით, ბეჭედი ჩამოვიტანე, შენთვის ხელი უნდა მეთხოვა... იმ მთაზე თუ ჯანდაბაზე! მაგრამ, რომ ალარ გვეშიმშილა, დღეს გავყიდე, ქუთაისელ ბარიგას მივყიდე, რომელიც აქ ცხოვრობს, მაგრამ, მორჩა, ვსიო! ეტყობა, არა-ფერს არ აქვს აზრი და უნდა დამთვრებულიყო და დამთვრდა. ეს რა საშინელი ქალაქია, რატომ გიყვარს ასე, საერთოდ ვერ ვხვდები.

ინანო: ბარსელონა რა შუაშია? ამის ბრალია, რომ ეგეთი ხარ? შენ ვერასოდეს გაიგებ, რას ნიშნავს ჩემთვის ეს ქალაქი. მე ძალიან ბევრი ფობია და შიში მქონ-და. ვერც ლიფტში შევდიოდი, ვერც მაღლა ავდიოდი და ვერც თვითმფრინავში ვჯდებოდი. ჩემმა დეიდაშვილმა წამომიყვანა აქ და პირველად მაშინ ჩავჯექი

თვითმფრინავში. ყვითელი შარფი მეკეთა და ზუსტად იმის ფერი ვიყავი შიშით. გადავლახე რაღაცნაირად, დავძლიე! ქალაქს რომ მოვუახლოვდით, ზევიდან გად-მოვხედე და დავინახე იდეალურად ოთხუთხედი ფიგურები. სათამაშოს ჰგავდა – შუაში ქუჩა კვეთდა დიაგონალურად. ამ ქუჩასავით გავავლე ხაზი ჩემს ცხოვრებას შუაში და იქით დარჩა შიშით სავსე ყოფა და აქეთ – დაძლეული გამარჯვება. ამიტომ მიყვარს განსაკუთრებით ბარსელონა. ამ ქალაქმა თავისუფლება მაჩუქა.

დაჩი: შენი ბრალია ყველაფერი, რაც მოხდა!

ინანო: ჩემი ბრალია ყველაფერი. მე რომ გავჩინდი, მაშინაც არანაირი შეცდომის დაშვების უფლება არ მქონია. უნდა ვყოფილიყავი მაღალი, უნდა ვყოფილიყავი კარგი, უნდა ვყოფილიყავი ლამაზი, უფლებაც არ მქონდა, რომ რამე შეცდომა დამეშვა, უფლება არ მქონდა, ისეთი ვყოფილიყავი, როგორიც მინდოდა. ისეთი უნდა ვყოფილიყავი, როგორიც სხვებს მოსწონდათ. უნდა მოვქცეულიყავი ყველაზე კარგად, უნდა მესწავლა საუკეთესოდ. ექვსი წლიდან მასწავლეს უმაღლესი მათე-მატიკა და არასდროს გამიპროტესტებია, იმიტომ რომ ამის უფლება არ მქონდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ გოგო გავჩინდი. სქესობრივად ისედაც დაჩაგრული ვიყავი და იმის გამო, რომ ქალი ვარ, წამერთვა შეცდომის დაშვების უფლება. შეცდომას მარტო კაცები უშვებენ. შეცდომა – ესაა ფუფუნება და, თუ მაინც დაუშვი, ცუდი ხარ, ყველაზე ცუდი, ამას ველარ გამოასწორებ. ქალების შეცდომები არ სწორდება. დედაჩემი და მამაჩემი რომ დაშორდნენ, დედაჩემმა სხვა ადამიანად აღზრდა დაიწყო ჩემი. მამაჩემმა კიდევ ისეთად, როგორიც მას უნდოდა. ამას ერთმანეთის ჯიბრზე აკეთებდნენ, თორემ მე კი არავის ვაინტერესებდი. დედაჩემმა ანანო დამარქვა. მამაჩემმა ებრაული სახელი; მამისთვის იუდევლი ვიყავი, რომლებიც ქრისტიანებზე ამბობდნენ, ჯოვანხეთში დაინვებიანო და დედაჩემთან – ქრისტიანი, რომლებიც ამბობდნენ, ესაა ჭეშმარიტებაო. დედაჩემი უფლებას არ მაძლევდა, სათვალე მკეთებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მჭირდებოდა – არ გაიგონ, რომ თვალთ გაკლია, რას იფიქრებენ ჩემზე. ხომ შემეძლო, ამ მდგომარეობაში მაინც დამერეკა მათთან და დახმარება მეთხოვა, მით უმეტეს, არ უჭირთ, მაგრამ – არა! იმიტომ, რომ მე არ მაქვს შეცდომის დაშვების უფლება, იმიტომ, რომ მარტო ჩემი შეცდომაა ისეთი, რომელიც ვერასდროს გამოსწორდება.

“proqsima parada diagonal” – ისმის მეგაფონში. ვაგონი ჩერდება.

ინანო: დიაგონალზე ვართ. მე წავედი.

დგება და უცებ გადის ვაგონის ღია კარიდან, ისე, რომ დაჩი შიგნით დარჩება. ვაგონი დაიძრება, ფანჯრიდან ჩანს, როგორ ყვირის დაჩი, მაგრამ ვაგონის დაძვრის ხმა გადაფარავს. ინანო ჩამოჯდება, სკამზე ზის, უკან მთელ კედელზე წერია “Diagonal”.

დღე IV

სასტუმროს ნომერი

სწრაფად იღება ნომრის კარი, შემოდის ინანო. ჩანთას და ტელეფონს დებს. ტელეფონი რეკავს. ინანო არ პასუხობს. აღებს კარადას. საწოლზე ტანსაცმელს

ალაგებს. გამოაქვს ჩემოდანი, იწყებს ლაგებას. მობილური არ ჩერდება. ინანო სწრაფად კეცავს ყველაფერს. ტელეფონი ისევ არ ჩერდება. ინანოს აბაზანიდან გამოაქვს ნივთები. ნომრის ტელეფონი იწყებს რეკვას. ინანო არ იღებს ტელეფონს. კარზე კაკუნია. ინანო კარს აღებს. აწვდიან საფულეს. ინანო ხელს აწერს ფურცელზე. კეტავს კარს. ათვალიერებს საფულეს. დაკეტავს ჩემოდანს. მიდის კარისკენ. გასვლის წინ მოტრიალდება და საფულეს ლოგინზე აგდებს. გადის ნომრიდან.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი





ოლანი ტინაძე

პაქტუსებსაც სტკივათ

ბუხარი, რომელშიც ცეცხლს არას-დროს ვანთებდით, ყოველთვის, ყველა-ზე მეტად მათბობდა. არა მარტო მე, არამედ ყველას ჩვენს ოჯახში. მისი სქელი კედლები თაროთი ბოლოვდებოდა, რომელზეც შეგეძლო, რამე და-გედო და მერე დაგვიწყებოდა – სად წაიღე ეს „რამე“. ოჯახში ერთადერთი რაღაც არსებობდა, რასაც იმ თაროზე თუ დადებდი, არავითარ შემთხვევა-ში არ დაგავიწყებოდა. მას მოჰკონდა ჩვენთვის სითბო უცეცხლო ბუხრიდან, ისევე როგორც – პური, კარტოფილი, მაკარონი და ვაშლისჯემიანი კანფეტები, თუმცა ვაშლისჯემიანი კანფეტები იშვიათად.

ჩვენს სახლში ყველაფერი ჩემს მშობლებს ჰგავდა. გარეგნულად დიდ შენობას მეტისმეტად პატარა, მამას თვალებივით წვრილი და დაბურული ფანჯრები ჰქონდა; ოთახის კედლებზე დედას კაბებივით ალაგ-ალაგ და-ხეული და ფერგაცლილი შპალერი იყო გაკრული; დედას გრძელ ხელებს მია-გავდა შესასვლელში გაჭიმული სარეცხი თოკი, რომელიც, დედას მსგავსად, ათასი რამის სიმძიმეს უძლებდა, ისევე როგორც კარები, რომელიც ყოველ გა-ლება-დახურვაზე საწყალობლად წიოდა

– უძლებდა ყვირილს, ლანძღვას, საყ-ვედურებს და, ამის მიუხედავად, მზად იყო, ყოველი ხმაურიანი მიჯახების შემდეგ თავიდან გაღებულიყო; სასადი-ლო მაგიდა მამასავით დიდი და საშიში იყო. საშიში მაშინ იყო, როცა მის სიდი-დეს ვერ ვიყენებდით და მის გარშემო შემომსხდარნი დამფრთხალი თვალე-ბით ვუყურებდით ოთხი თეფშით ვერ-შევსებულ სიცარიელეს. ამ დროს მამა, რომელიც გადამწვარ ნათურას ჰგავდა, იტყოდა:

– დღეს, რატომდაც, არ მშია! – და დედა, რომელიც ბევრი რეცხვისგან სისუფთავეშენარჩუნებულ თეფშს მია-გავდა, დაამატებდა:

– დღეს, რატომდაც, არც მე მშია!

და მე და ჩემი ძმა ორ-ორ ულუფა წვნიანს მივირთმევდით მაღიანად. სა-იდან უნდა გვცოდნოდა, რომ ხანდახან მშობლებიც იტყუებიან.

ერთხელ მამამ ის გააკეთა, რასაც ყოველდღე აკეთებდა – მუქი ლურჯი პალტო ჩაიცვა და სახლიდან დაუმშვი-დობებლად წავიდა, იმიტომ რომ მამა ყოველთვის ბრუნდებოდა და თან მოჰკონდა ზამთრის სუსხი, გაზაფხულის

სითბო, შემოდგომის სიგრილე და ზაფ-ხულის სიცხე. აქა-იქ გამოაყოლებდა ხოლმე დამწვარ პურს, გამდნარ კარაქ-სა და ამჟავებულ მაწონს, მაგრამ, რაც უნდა მოეტანა, ჩემი ძმა მაინც სიხარულით ეგებებოდა და კისერზე ეკიდებოდა. ჩემს ძმას მამა მართლა უყვარდა. მე... მე მეტისმეტად ადრე შევნიშნე, რომ მამას დედა არ უყვარდა. ეს მაშინ მოხდა, როცა მამას ხმა ერთ დილით ჩემს სიზმარში შემოიჭრა. მისი ხმის სიმაღლემ გამაკვირვა, ხანგრძლივობამ დამაფიქრა, შინაარსმა შემაშინა, მერე დედას ტირილმა დამაბნია და ასევე – საკუთარმა ბოდვამ: „ძლიერი უნდა იყო, უნდა გაუძლო!“ და მეც ამ ბოდვამ დამასუსტა.

ერთი კვირა საერთოდ არ მესმოდა მამას ხმა. ერთი კვირა დედა საერთოდ აღარ გვებრძოდა. არ ანაღვლებდა, თუ სალებავაცლილ იატაკს დავსვრიდით, ფანჯრებს პირის ორთქლით დავასველებდით ან ძველ ნივთებს გავჩერეკ-დით, თუმცა ერთი კვირის შემდეგ, უნაკლოდ გახეხილტაფასავითსახიანმა დედამ, სკოლიდან დაბრუნებულს მითხრა:

– ფეხსაცმლის გახდა არ დაგავიწყდეს! – და მეც, ფეხსაცმლის ყველაზე დიდი სიხარულით გახდის შემდეგ, გაბრწყინებული სახით შევაჭერი ჩაბნელებულ ოთახში, თუმცა მალე მივხვდი, რომ ჩაბნელებულ ოთახს ჩემს სახეზე მეტად ბუხრის თაროზე დალაგებული, მამას მოტანილი ქაღალდის ფულის ბანკოტები ანათებდა.

იმ სალამოს ოჯახში ყველას შიოდა.

ჩემი ძმა ჩვეულებრივი ბავშვი იყო. ძალიან გვიან მიხვდა სიმართლეს, მე კი, რატომლაც, მიუხვედრებლობის უნარით არავინ დამაჯილდოვა. ეს, ალბათ, ასაკის ბრალიც იყო – მასზე ექვსი წლით უფრო სევდიანი, გულჩათხრობილი და მელანქოლიური ვიყავი და, როცა მის ბედნიერ თვალებს ვუყურებდი,

მუდამ იმას ვნატრობდი: ეს ექვსი წელი არასდროს მომატებოდა, მაგრამ სურვილები არასდროს მისრულდებოდა.

დროთა განმავლობაში, რაც უფრო ხშირად ჩხუბობდნენ დედა და მამა, მით უფრო ხშირად ანათებდა ჩვენი ბუხრის თარო. მამა დედასთან ჩხუბის შემდეგ უფრო თბილად გვექცეოდა. ალბათ, იცოდა, რომ დედა გვექცეოდა ცივად. მას ჩვენთვის ვაშლისჯემიანი კანფეტები მოჰქონდა და ნებას გვრთავდა, ბუხრის თაროდან ხურდა ფული აგველო.

საერთოდ ბუხრის თაროდან ფულს ყველა ვიღებდით და მისით „ვჯადოქრობდით“.

დედა ჩვეული გულგრილობით აიღებდა და ფულს – სპილენძის ქვაბად, გულგრილობას კი დროულ სიხარულად აქცევდა.

მე ოდნავი სიმორცხვით ავიღებდი ხოლმე ფულს და – სპექტაკლის ბილეთებად, სიმორცხვეს კი ნიჭიერი მსახიობებისადმი მიძღვნილ აღტაცებად გადავაქცევდი.

ჩემს ძმას თვითონ მამა აძლევდა ფულს და ისიც მაშინვე გემრიელ ნუგბარად გადააქცევდა ხოლმე, სიხარული ან აღტაცება კი ისედაც ჰქონდა.

დედამ უთხრა მამას:

– როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? მამამ დედას უხეში პასუხი დაუბრუნა:

– რას მებოდიალები?

დედას მამასგან უკვე აღარაფერი სწყინდა.

– მე გებოდიალები ხო?! ბავშვები მაინც შეიცოდე!

მამა გაბრაზდა:

– რა ჭირთ შესაცოდი?! რა აკლიათ?!

დედა განრისხდა:

– რა აკლიათ?! შენ რა გგონია, ყველაფერი აქვთ, რაც სჭირდებათ?!

დედა ძალიან ბევრს ლაპარაკობს,

ცხოვრებაში პირველად. ალბათ, იმიტომ რომ მამა უკვე აღარ უსმენს. დედას ამხელა წინადადებები არასდროს უთქვამს, მითუმეტეს, ადრე არასდროს უთქვამს ბოლო ფრაზა:

— ნეტავ, მოვკვდებოდე!..“

დედა ჩუმდება, მე კი ჩემი ძმის დაწყნარებას ვცდილობ. წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ დედები სიკვდილსაც წატრობდნენ შვილების ჯანმრთელობასა და ბედნიერებასთან ერთად. დედას შვილის სიკვდილი რომ ენატრა, შეიძლება, ეს უფრო ადვილად გაეგო, რადგან მისთვის დედის ფიქრები და სურვილები ყოველთვის შვილებს უნდა უკავშირდებოდეთ, ახლა კი, როცა დედას ფიქრები და სურვილები წამით მოგვწყდა და ასეთ ცუდ რაღაცას დაუკავშირდა, ნელ-ნელა შემომეპარა შიში იმისა, რომ ჩემს ძმას ის ექვის წელი ემატებოდა. არა ერთბაშად, არამედ ნაწილ-ნაწილ, ცალ-ცალკე და დედაზე უფრო ის შემეცოდა.

მე და მამა დილით:

— დილა მშვიდობისა, მამა.

— ოჭ, მიდიხარ სკოლაში?..

მე და მამა საღამოს:

— საღამო მშვიდობისა, მამა.

— რა ხდება სკოლაში?

— არაფერი ისეთი...

დუმილი.

და წლები იგივე დიალოგებით.

მე და მამა ხუთი წლის შემდეგ, როცა თვალი უკვე შეეჩინა მამას მოტანილ და ბუხრის თაროზე შემოდებული ფულის სინათლეს:

— რა პროფესიას ირჩევ, შემახსენე!

— მსახიობობა მინდა.

— მსახიობობა? ექიმობა გადაიფიქრე?

— არც არასდროს მომიფიქრებია.

— მაშინ ახლა მოიფიქრე.

— მე მსახიობობა მინდა.

— მე — ექიმობა!

— მაგრამ, შენ არ აპარებ!

— ჩემი შვილი ხომ აპარებს? შვილზე უკეთესს ვის უნდა ვურჩიო?

— „საკუთარ თავს!“ — გონიერაში ვამბობ მისი კითხვის პასუხს, ენაზე კი სიცარიელე მრჩება. საკუთარი თავი მარ-

თლა ასეთი მნიშვნელოვანია? თუ ის არ გიყვარს, არც არავინ გიყვარს. თუ საკუთარი თავი არ გიყვარს, იმათი არ გესმის, ვისაც უყვარსარ. გამოდის, მარტო რჩები და ოჯახში, სადაც ცოლებმარი და ერთი დაძმა ცხოვრობს, მარტო არავინ უნდა რჩებოდეს, მაგრამ ჩვენ დავრჩით.

ერთხელ მამა ის გააკეთა, რასაც ყოველდღე აკეთებდა. მუქი ლურჯი პალტო ჩაიცვა და სახლიდან



დაუმშვიდობებლად წავიდა. ალბათ, იმიტომ რომ უკან ყოველთვის ბრუნდებოდა.

სკოლიდან დაბრუნებულმა მე და ჩემმა ძმამ ერთად ვისადილეთ, მერე ცალ-ცალკე ვიმეცადინეთ და დასაძინებლად ადრე დავწექით. საწოლში კარგად მესმოდა, როგორ ხეხავდა დედა რაღაცას და, სანამ მის დასახმარებლად ავდგებოდი, უკვე ჩემს პირველ პრემიერაზე მოსულ ხალხს უკრავდი თავს სიზმარში. სიზმარშიც კი ისეთი განცდა მქონდა, თითქოს რაღაც არასწორად მოხდა, რაღაც დაირღვა, რაღაც შეიცვალა.

მხოლოდ მეორე დღეს გავიგე, რომ ამ ერთხელ მამამ ის გააკეთა, რაც არასდროს გაუკეთებია – მუქი ლურჯი პალტო ჩაიცვა, სახლიდან დაუმშვიდობებლად წავიდა და უკან აღარ დაბრუნდა.

მე და დედა გაოცებულები:

- სად წავიდა?
- არ ვიცი, შვილო.
- გეშინია?
- ...
- რისი უნდა გეშინოდეს?
- ...
- არ უნდა გეშინოდეს!
- ...
- ძლიერი უნდა იყო!
- ...
- უნდა გაუძლო!
- ...
- დედა უნდა იყო!
- ვარ კიდეც!
- ვიცი, დედა!..

ჩვენი სახლი მამაზე ძლიერი აღმოჩნდა. მისმა ფანჯრებმა, მამას თვალებისგან განსხვავებით, ჩვენ ყურებას გაუძლეს. დიდმა და საშიშმა მაგიდამაც გაუძლო სიცარიელესა და გაუვსებლობას. მხოლოდ მან ვერ შეძლო იმავეს გაკეთება – გაიქცა, თითქოს ამით დაგ-

ვეხმარებოდა. ვერ მიხვდა, რომ პირი-ქით გამოუვიდა, მაგრამ ჩვენ მივხვდით, რომ მისმა წასვლამ გამოგვაფხიბლა და, მგონი, მართლა დაგვეხმარა.

დედამ ბუხრის თაროზე, იქ, სადაც მამა ფულს აწყობდა ხოლმე, ყავისფერ ქოთანში ჩარგული მწვანე კაქტუსი შემოდგა. ახლა, როცა რამე გვჭირდება და ინსტინქტურად ხელს ბუხრის თაროზე ვაფათურებთ, ჩვენი შეცდომები გვჩვენებენ, გვტკენენ და თავს გვახსენებენ.

ყოველ ჯერზე, როცა კაქტუსი მჩხვლეტს, ვგრძნობ, რას გრძნობდნენ დედა და მამა. სულ ვნანობ, ნეტავ, კაქტუსი აქამდე დაგვედგა ბუხრის თაროზე. მერე ხომ მივხდებოდით, რომ კაქტუსები ძლიერები არიან, მაგრამ კაქტუსებსაც სტკივათ. თუ ოდესმე მამა დაბრუნდება, ბოდიშს მოვუხდი იმის გამო, რომ ჩვენს ოჯახში ძალიან ბევრი სიცარიელე და ცოტა სიყვარული იყო, მაგრამ, მამა არ დაბრუნდება!

ჩიტებს გიში თუ გაეკარება

იმავე ქალაქიდან; იმავე გზით; იმავე ქალაქში; იგივე მარშუტკა – იგივე მძღოლით (განა ისინი ყველა ერთმანეთს არ ჰგვანან?!); იგივე გამყიდველი ხელში ანიმაციის ცნობილი გმირების გასაფერადებელ ურნალს მაჩიწებს – ბავშვს უყიდეო.

– ბავშვი არ მყავს! – ნაჩქარევად ვეუწნები და მასაც გამოწვდილი ხელი უკან მიაქვს.

იგივე გაჩერება; იგივე სახლი; იგივე დახვედრა ნაცრისფერ კართან, იგივე დედა მუქ ლურჯ კაბაში... ნუთუ ადამიანი ერთ ხელში არ იცვლება?! შეიძლება, ძველ ჩვევებს ეპლაუჭება, თუმცა ზოგ მათგანს ჩაბლაუჭება არ აკავებს და ქრება, შედეგად კი მხოლოდ ნაოჭები გრჩება.

დედა ჩანთების სახლში შეტანაში მეხმარება.

იმავე მაგიდაზე გაშლილი სუფრა. წინასწარ დავურეკე, მოვდივარ-მეთქი.

იგივე კედლები – იგივე სიძველით (შპალერზე გამოსახული ყვავილების გაქრობამდე გაცრეცილა); იგივე კატა (ფანჯრის რაფაზე განოლილი) – იმ ბავშვობას მახსენებს, რომელშიც კატა არ მყოლია. დედას ჩემი წასვლის შემდეგ აჩუქა მეგობარმა. ეტყობა, იფიქ-რა, მარტომობას გადაატანინებსო. უბ-რალოდ, მარტომობა აატანინა!..

იგივე მზერა; იგივე მონატრება თვალებში; იგივე უთქმელად გამხელილი პატიგება ერთნოლიანი განშორების გამო.

– ხშირად უნდა ჩამოხვიდე ხოლმე! – იგივე დატუქსვანარევი ხმა.

თვალწინ ყველა კადრი მიცოცხლდება, სადაც დედა მტუქსავს და ყველა ერთმანეთს ჰგავს. ალბათ, ამიტომ ვიკრებ გამბედაობას იმის სათქმელად, რატომაც ჩამოვედი.

– ახალი ამბავი მაქვს! – იმავე მოლოდინის მზერა: – აჩის სახლიდან წამოვედი! – იგივენაირად მოცეცებული თვალები უფრო მეტის გასაგებად. – მისი ცოლობა აღარ მინდა!

იგივე კედლები; იგივე მაგიდა; იგივე კატა ფანჯარასთან; იგივე დედა – ზის, გლოვის ახალი მიზეზით გაოგნებული და პირველ სიტყვას ეძებს ხმის ამოსა-დებად.

ეძებს.

ვერ უპოვია.

სამ დღეს თითქმის სრული მდუმარებით ვატარებთ. მხოლოდ მაშინ ველაპარაკებით ერთმანეთს, როცა სუფრასთან ჩვენთვის საჭირო საკვები ჩვენგან ძალიან შორსაა.

ორივე სუფრის თავში ვზივართ. მე ერთ მხარეს, დედა – მეორე მხარეს. უხმაუროდ ვჭამთ.

ერთ საღამოს დედა ვეღარ ითმენს და საძინებულ ოთახში მაკითხავს.

– რამე დაგიშავა? ხომ არ დაგარტყა? გილალატა?

დედას კითხვებს თავის გაქნევით ვპასუხობ. ყოველ უარყოფაზე სიმშვიდის განცდა ემატება.

– აბა, რა გინდა? – მოთმინებადა-კარგული მეკითხება და თვალებში მაშტერდება, თითქოს ისევ ის დროა, მაღაზიაში გამყიდველის შემოთავაზებული არც ერთი ფეხსაცმელი რომ არ მომენტონა.

– ხვალ სოფელში წავალთ. ჰერს გამოიცვლი; სხვანაირად დაფიქრდები... – ჩემი თანხმობის მიღებამდე დგება და ოთახიდან გადის. თითქოს ისევ ის დროა, მაღაზიაში დედამ ის ფეხსაცმელი რომ მიყიდა, რომელიც არ მინდოდა.

სოფელში ჩვენს სახლს გარშემო მინდვრიანი ეზო აქს. მწვანე ბალაზზე ვწევარ და ვერაფრით ვიყურები მაღლა. თვალები მტკივა. თვალებს იქამდე ვხუჭავ, სანამ კარის გაღების შეუმჩნეველ ხმას მეზობლის კისკისი არ გადაფარავს.

იგივე ქალები – იმავე თვალებით აივანზე სხედან და ხელში ახლადმოდუღებული ნაჩქარევად დალეული ყავის ფინჯენები უჭირავთ.

– ახლა ამოაბრუნე, – ეუბნება დედას მეზობელი. დედას ამის სწავლება რად უნდა?! მერამდენე რიტუალია, ალბათ, ვერც ითვლის. მთელი სიცოცხლე, მგონი, საკუთარი ცხოვრების ყავის ნალექში ძებნაზე მეტი არაფერი უკეთებია.

– გზას ვხედავ... – მესმის მეზობლის ხმა. – ვიღაც მოდის ან მიდის... – დედა დაძაბული უსმენს. – დიდ ტკივილს ვხედავ... დიდ განსაცდელს... დანგრეულ ოჯახს... – მეზობლის ქალი ეშხში შედის.

ვწევარ; ვუსმენ; ვფიქრობ...

რა სწრაფად ვრცელდება სოფლად ქალაქში მომხდარი ამბები.

ერთკვირიანი პაუზის შემდეგ ტელე-

ფონს პირველად ვრთავ. განა დარწმუნებული ვარ, რომ აღარ დამირეკავს, არა, უბრალოდ, ახლა სალაპარაკოდ მზად ვარ.

— დედაშენთან ხარ, ხო? — აღელვება მხოლოდ კითხვის ინტონაციაზე ეტყუბა. — იმიტომ არ ჩამოვდივარ, რომ დრო მოგცე... დარჩი რამდენ ხანსაც გინდა...

— სამუდამოდ აქ ვრჩები! — კატეგორიული ვარ, როგორც მაშინ, რომ ვამბობდი: „თანახმა ვარ!“

— აზრს შეიცვლი!... შეგაცვლევინებ!.. — მთხოვს, როგორც მაშინ, როცა მითხრა: „გამომყევი ცოლად!“ — ოღონდ ზარებზე მიპასუხე ხოლმე, კაი? — დიდხნიანი დუმილია, როგორც მაშინ, როცა სალაპარაკო არაფერი გვქონდა.

— ხშირად ნუ დამირეკავ! — ვეუბნები და ვუთიშავ. მის შვებას ვგრძნობ. ტელეფონს ტუმბოს თავზე ვდებ, მერე იმავე გრძნობით ვალაგებ ჩანთაში ნივთებს ხვალ სოფლიდან გასამგზავრებლად. იგივე გრძნობა შემდეგია: ეს არც ბოლო წასვლაა და არც ბოლო დაბრუნება იქნება!

იგივე მიზანი; იგივე დრო; იგივე გზა; მე და დედა გაჩერებამდე მეზობლის ურმით მივდივართ — წაგიყვანთო, თვითონ შემოგვთავაზა. პატარა გოგონებივით დავთანხმდით. სასაცილოა. ვიცინით კიდეც. მარტუტკის მძლოლი ჩემს ჩემოდანზე უაზროდ გვეხუმრება. აქ ასეთი არ უნახავთ. სასაცილო არაა? ვიცინით... მერე რა!

იგივე ხედები; იგივე ხეები; იგივე სახლები... მარშუტკა ჩაკეტილ ზოლში მოძრაობს თითქოს. გზის ერთ მონაკვეთზე ჩიტები მოფრინავენ ჩვენთან ერთად, მერე მიმართულებას იცვლიან. მაინტერესებს, სად წავლენ, მაგრამ ჩიტებს უკან მხოლოდ გიჟი თუ გაეკიდება.

ჩვენს არყოფნაში კატას მეზობელი აჭმევდა. საჭმლის ნამცეცები იატაკზე

ყრია... დედა კატას ეფერება; მე ოთახში შევდივარ.

— კარი არ დაკეტო! — მაფრთხილებს დედა. — სალაპარაკო მაქვს! — ველოდები, როდის შემოვა. აგვიანდება... ან დრო ჩემთვის იწელება.

დედა საწოლის კიდეზე ჯდება. სულ სამოცი კილოა. ოთახის ბოლოდან უფრო პატარა ჩანს.

— არ შეიძლება ქმრის ასე უმიზეზოდ მიტოვება... — სანამ გააგრძელებდეს და გულს მატკენდეს, მინდა, დავასწრო, მინდა, მეც ვატკინო გული.

— და ცოლის მიტოვება შეიძლება?

იგივე სამკუთხედი; იგივე ქაოსი; იგივე ტირილის ხმა დედას საძინებლიდან; იგივე გოგო საწოლზე ფეხებმოკეცილი ზის და იძახის: „მამა წავიდა!.. მამა წავიდა!..“

სამკუთხედი გაქრა. მხოლოდ ერთი გრძელი მონაკვეთი დაგვრჩა მე და დედას. ერთი ბოლო მე მიჭირავს, მეორე — მას. გვინდა და ერთმანეთთან ვერ მივსულვართ.

— ეგ ახლა სალაპარაკო არ არის! — თვალებს დაბლა ხრის და მერე ისევ ძველი იერი უბრუნდება. მე აღარაფერს ვამბობ; ის აგრძელებს: — აჩი კარგი ბიჭია. არ ღირს მისგან წასვლა, თან თუ არაფერი დაუშავებია. ახლა გიჭირს, მერე მიეჩვევი...

— დედა, არ მიყვარს! — ამ სიტყვებს ისე ვამბობ, თითქოს დარწმუნებული ვარ, რომ დედას მიზეზად ეყოფა.

— გძულს? — მეკითხება მაშინვე.

— არა, არა, რატომ უნდა მძულდეს!

— თავს ვაქნევ. — უბრალოდ არ მიყვარს და მორჩა!

— მომინდომა ახლა ამან სიყვარული!

— ხმას აუწია: — არ გიყვარს, ნუ გიყვარს. დიდი ამბავი! იმას ხო უყვარხარ? კეთილი ინებე და სახლში წადი!

ცოტაც და ამეტირება. ჩემს აცრემლებულ თვალებზე გული უჩუყდება.

— მისმინე, უნდა დაბრუნდე! ადამიანის არსად წასვლას აზრი არ ექნება,

თუ უკან არ დაბრუნდება. ვიღაცის-
თვის მაინც უნდა დაბრუნდე, თუ სა-
კუთარი თავისთვის არა; ვინმესთვის
მაინც უნდა დაბრუნდე, ვინც იცი, რომ
გელოდება!..

— მე შენთან დავბრუნდი! — ვუთხარი
პატარა ბავშვივით, რომლესაც საკუთა-
რი უმწეობის ეშინია.

— ჩემთან ჩემი ქმარი უნდა დაბრუნ-
დეს! — ისე წარმოთქვა, თითქოს შემ-
თხვევით გამვლელს ცხვირწინ კარს
უჯახუნებდა. მერე დაამატა: — სიყვა-
რულს ნუ გამოეკიდები, თუ ღმერთი
გნამს. ხო ხედავ, მაინც არაფერი შე-
უძლია.

მარტო დამტოვა. საწოლზე ოთხად
მოვიკუნტე. ფიქრები ყველა მხრიდან
შემოვილაგე და „მამა წავიდას“ წაც-
ვლად, გასამეორებელ საზეპიროსავით,
ახალი ფრაზა ამოვიჩემე: „მთავარია,
დაბრუნდე. სხვაგვარად ჩიტებივით
ვიფრენთ და ჩიტებს კი უკან მხოლოდ
გიუ თუ გაეკიდება!“


ეს ფრაზა იმდენჯერ გავიმეორე
გონებაში, ბოლოს გული ამერია.

იმავე ქალაქიდან; იმავე გზით; იმა-
ვე ქალაქში; იგივე მარშუტკა — იგივე
მძლოლით (ოლონდ ახლა მართლა!).

სადგურზე მარშუტკიდან ჩავდივარ
თუ არა იგივე გამყიდველი ხელში ანი-
მაცის ცნობილი გმირების გასაფერა-
დებელ უურნალს მაჩეჩებს — ბავშვს
უყიდეო.

— ერთს ავილებ! — რკინის ლარიანს
საფულეში იდებს და სიცხისგან მოჭუ-
ტული თვალებით სხვა მგზავრის მო-
ძებნას იწყებს. ბავშვიან ქალზე აჩე-
რებს მზერას.

ჩანთებით აჩის მანქანისკენ მივდი-
ვარ... აჩი მანქანიდან გადმოდის... ჩან-
თების წალებაში მეხმარება. მე უკან
მივყვები... არაფერს ვამბობ... ვფიქ-
რობ: „როგორ გრძნობს უურნალების
გამყიდველი ქალი სხვის სხეულში ჯერ
არდაბადებული ბავშის არსებობას?“





ზოად ჭვარაცხელია

გადაკვეთის წერტილები

სახიფათო ჰაერი...

„ჩემი ნაწერების გმირები იყრიბებიან და მასამართლებენ. კარგი თემაა“, – ჩაინჯერს მიხეილ ჯავახიშვილი 1924 წელს უბის ნიგნაკში და შემდეგ გაირკვევა, რომ ამ სურვილს ასრულება არ უწერია. მწერლის ფიზიკურმა განადგურებამ შეინირა ძალზე საგულისხმო და შთამბეჭდავი ჩანაფიქრი, რომლის საშუალებითაც ერთი ყდის ქვეშ ვნახავდით თემიურაზ ხევისთავსა და გივი შადურს, ჯაყო ჯივაშვილსა და კვაჭი კვაჭანტირაძეს, მართალ აბდულასა და მარგო ყაფლანიშვილსა და ყველას... უკლებლივ ყველას, ვინც ავტორს საპრალდებო სკამზე დასვამდა და გაასამრთლებდა.

მართლაც, ორიგინალური თემაა, მითუმეტეს თუ მაშინდელი, საბჭოთა ლიტერატურის თემატიკას გავითვალისწინებთ, ოღონდ მხოლოდ საბჭოთას, რადგან იმ დროისთვის, უფრო ზუსტად, 1915 წელს, სალამანკაში უკ-

ვე გამოცემულია მიგელ დე უნამუნოს „ბურუსი“, სადაც სწორედ ასეთი ამბები ხდება. რომანის მთავარი მოქმედი პირი აუგუსტო პერესი ყველანაირად ცდილობს, გაექცეს ავტორს, არ დაემორჩილოს, დაუმტკიცოს, რომ დამოუკიდებელია. ამისთვის თვითმკვლელობასაც კი გაბედავს, მაგრამ ავტორის ნება შეუვალია: იგი ჯერ სუიციდს აუკრძალავს პერსონაჟს („თავს მართლა ვერ მოიკლავ, რაკილა ცოცხალი არა ხარ, უფრო სწორად, არც ცოცხალი ხარ და არც მკვდარი, უბრალოდ არ არსებობ... იმიტომ არ არსებობ, რომ გამოგონილი არსება ხარ, შენ არ ხარ შენ, შენ ხარ მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი და კიდევ იმათი, ვინც შენი ცხოვრების, შენი თავგადასავლებისა და ბედუეულმართობის შესახებ ჩემ მიერ დაწერილ ნაწარმოებს კითხულობს“), შემდეგ კი, არც მეტი არც ნაკლები, სიკვდილს გადაუწყვეტს. ყველაზე ამაღლელვებელია სცენა, სადაც ბრალმდებელი პერსონაჟი ავტორს შენყალებას ევედრება:

- მე სიცოცხლე მწყურია, დონ მი-
გელ, სიცოცხლე მწყურია, სიცოცხლე!..
- აკი თავის მოკვლას აპირებდი?!
- ოჟ, არა, გეფიცებით, სინიორ დე
უნამუნო, თავს აღარ მოვიკლავ, არ მო-
ვიკლავ! არ გამოვესალმები ამ ღვთისა
თუ თქვენ მიერ ნაბოძებ სიცოცხლეს,
გეფიცებით... ახლა, როცა ჩემი მოკ-
ვლა გადაწყვიტეთ, უკვე სიცოცხლე
მომინდა!..“

მაგრამ დონ მიგელი გადაწყვეტილების გადათქმას არ აპირებს: „შეუძლებელია! ასე მიწერია და ველარაფერს გა-
დავასწორებ! შენ აღარ იცოცხლებ. არ ვიცი, მეტი რა გიყო და, როცა უფალმა
ღმერთმა არ იცის, რა გვიყოს, მაშინ
გვკლავს ხოლმე“.

პირველი შეკითხვა, რაც ამ სი-
ტყვების წაკითხვის შემდეგ გვიჩნდება,
ალბათ ესაა: იცნობდა თუ არა მიხეილ
ჯავახიშვილი უნამუნოს რომანს? ზუს-
ტი პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს,
ყოველი შემთხვევისთვის ქართველი
მწერლის ლიტერატურულ წერილებსა
და ჩანაწერებში ვერსად ნახავთ მიგელ
დე უნამუნოს. გვხვდება იმდროინდელი
გერმანელი, ფრანგი, რუსი მწერლები,
მათი თხზულებებიდან დამოწმებული
ციტატები, მაგრამ დონ მიგელი არ-
სად ჩანს. ამის მიზეზი, სავარაუდოდ,
ისიც შეიძლება იყოს, რომ XX საუკუ-
ნის 10-20-იანი წლების ესპანურ ლიტე-
რატურას ათწლეულების დაგვიანებით
გაეცნო ქართველი მკითხველი. დიდად
არც საბჭოთა რუსეთის ლიტერატურუ-
ლი ჟურნალ-გაზეთები და გამომცემ-
ლობები დაინტერესებულან უნამუნოს
შემოქმედებით. მეტიც, ერთხანს თავის
სამშობლოშიც იდევნებოდა მწერალი,
რადგან მკაცრად შეაფასა ესპანეთის
ხელისუფლებაში სამხედრო დიქტა-
ტორის – პრიმო დე რივერას მოსვლა,
ხოლო მას შემდეგ, რაც რომის პაპმა
საჯაროდ დაგმო მისი „ქრისტიანობის
აგონია“, უნამუნოს სახელის ხსენებას
ევროპაშიც ფრთხილად ეკიდებოდნენ.

აქედან გამომდინარე, სამართლიანი
ეჭვი შეიძლება გამოითქვას იმის შესა-
ხებ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი არ იც-
ნობდა მიგელ დე უნამუნოს რომანს.

განსხვავებული ვითარებაა გაბრიელ
გარსია მარკესისა და ოთარ ჭილაძის
შემთხვევაში. ამიტომაც კრიტიკოსე-
ბი ხშირად ადარებენ კოლუმბიელი და
ქართველი მწერლის რომანებს – „მარ-
ტონის ასი წელიწადი“ (1967 წ.) და
„ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ (1976
წ.). ორივეგან ერთი გვარის (ბუენდიე-
ბისა და მაკაბელების) საუკუნოვანი ამ-
ბავია მოთხრობილი და მათი ცხოვრება
გააზრებულია, მთელი ქვეყნის, კაცობ-
რიობის თავგადასავლად – მარადიული
ვნებებით, ტკივილებითა და გამოსავ-
ლის ძიებით.

ეს ისაა, რასაც აშკარად ამჩნევენ
და ალნიშნავენ ლიტერატურის მკვლე-
ვარები, თუმცა, შეიძლება, ბევრს არ
მიუქცევია ყურადღება, რომ ჭილაძის
პირველი რომანი „გზაზე ერთი კაცი
მიდიოდა“ (1972 წ.) და მარკესის მესა-
მე რომანი „პატრიარქის შემოდგომაც“
(1975 წ.) ჰგავს ერთმანეთს. ქართულ
ენაზე დაწერილ წიგნში ზღვა უკან იხ-
ევს, დაპყრობილი, გადაგვარებული და
ზნეობამოშლილი ქვეყნიდან ნაბიჯ-
ნაბიჯ მიიპარება, თან ისე, რომ ფხი-
ზელ და ჯიუტ მეთვალყურეს, კისერ-
ზე თოკის გორგალგადაცმულ ბედია-
საც კი გააცურებს; მარკესის რომანში
კი დაპყრობილი და გადაგვარებული
ქვეყნის დიქტატორი თავის დაუძინე-
ბელ მტრებზე, გრინგოებზე ყიდის ზღ-
ვას, რითაც კიდევ უფრო უახლოვდება
„სიკვდილის ნავის დაძონძილ იალქანს“.

რა შეიძლება დაერქეას ამგვარ დამ-
თხვევებს, როცა ლიტერატურული რუ-
კის სხვადასხვა წერტილში მცხოვრები
მწერლები თითქმის არ იცნობენ ერ-
თმანეთს, არადა, მათი პერსონაჟების
განცდა, ხასიათი და თავგადასავალი
ასე იკვეთება?

მოგვიანებით ამ ამოუხსნელ დამ-

თხვევებს ერთ-ერთ ინტერვიუში თავად ოთარ ჭილაძე ახსნის, უფრო სწორად, უურნალისტის შეკითხვაზე – „არ არსებობს მწერალი, მეორისგან რომ არ იღებდეს რაღაცას. თქვენთვის ვინ არის ასეთი „მეორე“, ასე უპასუხებს：“

„ასეთი „მეორე“ ძალიან ზოგადი ცნებაა. ასეთი „მეორეა“ ყველა, ვინც წაგიკითხავს; შეიძლება არც წაგიკითხავს, მაგრამ გაგიგია ან არც გაგიგია, მაგრამ მისი ბაცილა ჰაერში დაფრინავს და, გინდა არ გინდა, შენზეც ახდენს გარკვეულ ზემოქმედებას. ლიტერატურული ატმოსფერო ამგვარი ბაცილებითა გავსებული და ჩვენც, თავზეხელალებული სულელები, ერთმანეთს ვეჯიბრებით, ვინ უფრო ღრმად ჩაისუნთქავს ამ „სახიფათო“ ჰაერს...“

როცა მპვდარი დიქტატორი ცოცხალია

1. თავისი მთავარი დასაყრდენისა და თანამებრძოლის ჩამოცილება რომ გადაწყვიტა, სტალინმა „მეგრელთა საქმის“ მომზადება ბრძანა. საქმის ფიგურანტები თანამდებობიდან მოხსნეს და დააპატიმრეს. კვალი უეჭველად „ყველაზე დიდ მეგრელამდე“ – ლავრენტი ბერიამდე უნდა მისულიყო, მაგრამ ამ დროს პროლეტარიატის ბელადი კუნცევოს აგარაკზე, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა და ამ ამბავმა მატარებლის სატვირთო ვაგონში მყოფ ბრალდებულებს გზაში მიუსწრო. აბაშის რაიკომის მდივანმა სევერიან ებრალიძემ ვაგონის კუთხეში გაკეთებული ჭუჭრუტანიდან სამგლოვიარო წესით მოწყობილი ერთ-ერთი სადგური შენიშნა, ეს ამბავი პატიმრების მოსკოვიდან თბილისში მოულოდნელ გადმოყვანას დაუკავშირა და თანამგზავრებს ამცნო: რაღაც დიდი ამბავია ჩვენს თავს, მე მგონი, სტალინი უნდა იყოს მკვდარიო. ამის გაგონებაზე დახურულ სივრცეში გამოკეტილი და თვეობით ნატანჯი პატიმრები ჯერ განცვიფრდნენ, შემდეგ კი

დაუნდობლად, წიხლებით შედგნენ კოლეგას, ესაო და, რა წამოგცდა, ამის თქმა კი არა, გაფიქრებაც როგორ გაბედეო.

2. შეთქმულება დომინიკის რესპუბლიკის დიქტატორის – ტრუხილიოს წინააღმდეგ დიდხანს მზადდებოდა. ამ პროცესში, სასულიერო პირებთან ერთად, ქვეყნის პრეზიდენტი, მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირებიც იყვნენ ჩაბმული. მათ შორის – ტრუხილიოს წათესავი, თავდაცვის მინისტრი პუპო რომანიც, რომელიც შეთქმულებს დაპირდა, დიქტატორის გვამს თუ მაჩვენებთ, სამხედრო მობილიზაციას გამოვაცხადებ, ჯარს გამოვიყვან და რეუიმისგან გავათავისუფლებ ქვეყანას. ტრუხილიოს მკვლელობის შემდეგ ყველაფერი თითქოს გეგმის მიხედვით უნდა მომხდარიყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში გენერალი პუპო რომანი ყოველთვის იმის საწინააღმდეგოს აკეთებდა, რაც უნდა გაეკეთებინა. „რა მოხდა, პუპო? რატომ არაფერი გააკეთე? რატომ დაიმალე? გეგმა ხომ გვქონდა? შეთქმულთა ჯგუფმა თავისი წილი შეასრულა. გვამი მოიტანეს, როგორც ითხოვდი. რატომ არ შეასრულე დანაპირები, პუპო?“ – სასოწარკვეთილი ძმის შეკითხვებზე მას პასუხი არ ჰქონდა. მარიო ვარგას ლიოსა რომანში „ვაცის ნადიმი“ რამდენიმე სიტყვით, ზუსტად და შთამბეჭდავად გადმოსცემს თავისი პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას: „(ეს იყო) პირუტყვული შიში, ტრუხილიოს მკვლელობის დღიდან მასზე რომ ამხედრდა“.

ორივე შემთხვევაში თითქმის ერთნაირი სურათია: დიქტატორი, რომელიც სულ ახლახან ქვეყანას აზანზარებდა, ცოცხალი აღარ არის. ეს, როგორც საქმეში ჩახედული ექსპერტები იტყვიან ხოლმე, ზედაპირული ვიზუალური დათვალიერებითაც დასტურდება. ერთ შემთხვევაში ამაზე მეტყველებს პომპეზური სამგლოვიარო ნიშნები და მოვ-

ლენინის ლოგიკური ჯაჭვი, მეორეგან – თვითონ დიქტატორის გვამი. მაშინ რა არის დაუჯერებელი? რატომ უჭირს ადამიანს (მით უმეტეს ისეთ ადამიანს, ვინც ამ დიქტატორის მსხვერპლია), ირწმუნოს სიმართლე და, სიხარულით თუ არა, შევებით მაინც შეხვდეს მტრის განადგურებას? იქნებ ისაა მიზეზი, რომ სისხლიანი რეჟიმის წინაშე დაუცველისა და განწირულის გონება ურყევ, უცვლელ მოცემულობას სანდო წყაროდ ვერ იღებს, ვერ იაზრებს, ერთი შეხედვით, მარტივ ჭეშმარიტებას.

შეიძლება, დიქტატორი მოკვდეს! შეიძლება კი არა, ადრე თუ გვიან, ყველა დიქტატორი კვდება, მაგრამ თუ დიქტატორის ძლევამოსილი ხატი გონებაში დარჩა, ის მხოლოდ ფორმალურადაა გვამი, რადგან კვლავაც (და, ალბათ, უფრო მეტი ძალის სხმევითაც კი) განაგრძობს ხალხზე ზემოქმედებას, ახალ-ახალი თაობების დათრგუნვასა და დამონებას.

ასე იყო აქამდე, ასეა ახლაც. ისინი ყველა გზით ცდილობენ ჩვენს გონებაში შემოძრომას და იქ დამკვიდრებას. ცოცხლები და უფრო მეტად – მკვდრები. ნივთიერად ძალაუფლებადაკარგული ყველაფერს იყენებენ ამისთვის – სათავისოდ მოქცეულ ისტორიას, ძალაუფლების მოყვარულ კაცებს, კონტექსტს, სადაც, წესრიგის სახელით, თავისუფლების შეზღუდვა/წართმევა გამართლებულია.

„მეგრელთა საქმეს“ გადარჩენილმა სევერიან ებრალიძემ კიდევ სამი ათეული წელი იცოცხლა (გარდაიცვალა 1982 წელს, ზუგდიდში) და იმ დრამატული, საბედისწერო ეპიზოდის გახსენებისას, შინაურებთან იტყოდა ხოლმე: ციხის ჯალათების აუტანელ წამებას ისე არ უმოქმედია ჩემზე, როგორც იქ, მატავებელში მომხდარმა ამბავმა იმოქმედაო; ლიოსას რომანის პერსონაჟი – გენერალი პუპო რომანი ტრუხილიოს დაკრძალვის ცერემონიაზევე დააპატიმრეს, დიდხანს აწამებდნენ, მაგრამ მას უკვე დაემარცხებინა

„პირუტყვული შიში“, თავის უმოქმედობასა და ამ მიზეზით ციხეებში ჩაყრილი დომინიკელების გამო პასუხისმგებლობაც აეღო და სიკვდილსაც ღირსეულად ელოდა: „გენერალი ხოსე რენე რომანი ბედნიერი შეეგება ტყვიების უკანასკნელ ჯერს“.

ზოთა ჩანთლაქე და ვუდი ალენი

ლექსი 1958 წელს დაიწერა. მოდით, ერთად აღვიდგინოთ ის განწყობა:

ღამე, განათებულ ოთახში სართულებად დაწყობილი წიგნები და ფიქრში გარბენილი დრო. ოდესლაც გაცნობილი უცნობი სახეები, სიხარულიც და ტირილიც რაღაცის გამო. მძიმე, უცნაური სიყვარული, უამრავი სიყვარული, გაქანების წყურვილი და მაინც უძრაობა; სადღაც დაკარგული ლექსების რვეული და ფიქრი – ლექსებიც ქათმებივით მოამრავლო; მერე სტუდენტობა, „გარეშე“ წიგნების კითხვა, აუდიტორიის კარში არშესვლა, კიროვის ბალი და ზოოპარკი, ვერამოვსებული ვარაზის ხევი... საუბარი, კამათი...

და უცებ:

აღმფრთოვანებელი ფილმები
ჰოლივუდის,
იტალიური ფილმები,
მათ ერთ ფილმს ჩვენი ორი უდრის,
მაინც ჩვენია პირველი.

მთავარი წინაა, უფრო სწორად,
შემდეგ სტრიქონშივე:

მათი გმირების გადმოსვლა
ეკრანიდან,
პარტერის პირველ რიგში დასხდომა,
ფილმის დამთავრება, დავა მეკარეს
თან,
თბილისის ქუჩებში გასხლტომა.
და მერე მათგან თბილისის
მოწონება,

ალარ დაბრუნება ეკრანზე.
თბილისის ქუჩებში მათი წონიალი,
ფიქრი: თბილისში ვერ გავძლებ.

გმირები, კი ბატონო, მაგრამ მეც მასე-
თი ვარო, – არ მალავს ლექსის ავტორი.
– ეკრანის ერთ-ერთი გმირი ვარ, ეკრან-
ზე საქმოსანი მოვკალი (იგრძნობა, რომ
საბჭოთა კავშირში ცხოვრობს ავტორიც
და პერსონაჟიც), მისი ასული მიყვარდა
და, ვიცი, არ შემრთავდა, თუმცა კი მას-
თან საქმროსავით ვიყავიო. მოკლედ, ეს
საქმე მკვლელობით დამთავრდა, დამნა-
შავე ვიყავი და მკვლელობისთვის რომ
პასუხი არ მეგო, სასწრაფოდ გადმოვედი
ეკრანიდან.

დასკვნა შთამბეჭდავია: – მე ახლა
სასჯელს ვერავინ მომისჯის, ვერავინ
გაბედავს რაიმე დამწამოსო. – და, ალ-
ბათ, მართალიცაა, რადგან პერსონაჟი
ეკრანული, გამოგონილი და დადგმული
სივრცე მიატოვა და რეალურ სივრცეში
ითხოვა თავშესაფარი.

„კინოს მეწამული ვარდიც“ (1985
წ.) იმაზეა, თუ როგორ შეიძლება გა-
დაიკვეთოს რეალური და გამოგონილი
სამყარო. ფილმის მთავარი პერსონაჟის
– სესილიას ცხოვრება ერთფეროვანი
და მოსაწყენია. მთელ დღეს მიმტანად
მუშაობს, რომ თავიც ირჩინოს და უმუ-
შევარ, სმასა და ბანქოს თამაშს გადა-
ყოლ ქმარსაც ჩაუთვალოს გროშები.
დროდადრო შეურაცხყოფის მოთმენაც
უწევს და, როცა ერთხელაც, შინ დაბ-
რუნებული, ქმარს ვიღაც ქალთან ერ-
თად შეუსწრებს, გადაწყვეტს, წავიდეს.

სესილიას ერთადერთი შვება და სი-
ხარული კინოსეანსებზე სიარულია. იქ
განცდილ შთაპეჭდილებებს თავის მე-
გობარს უზიარებს და მერე ისე მოხდე-
ბა, რომ ამ განცდებისგან აღტაცებული
და დაბნეული, საქმეს თავს ვერ გაარ-
თმევს – კლიენტთან შეკვეთა დროუ-
ლად ვერ მიაქვს, ჭურჭელი ემტვრევა
და სამსახურსაც კარგავს.

ამ დროს კინოთეატრში პანიკაა – პერ-
სონაჟები უსაქმოდ არიან, მაყურებელი
ბილეთებში გადახდილი ფულის დაბ-
რუნებას მოითხოვს. კინოთეატრის დი-
რექტორი ფილმის პროდუსერს სთხოვს
დახმარებას (ამასობაში, ტომ ბაქსტერი
ჯერ ჩიკაგოს, შემდეგ კი სენტ ლუისის,
დენვერისა და დეტროიტის კინოთეატრე-
ბის ეკრანებიდან უჩინარდება). საქმეში
ბაქსტერის როლის შემსრულებელი გილ
შეპარდიც ერთვება (აქამდა, ჩემმა პერ-
სონაჟმა რეპუტაცია არ შემილახოსო).

ეცდება, სესილიას დაუახლოვდეს, რა-
თა ტომი ჩამოაშოროს და უკან, ფილმში
დააბრუნოს.

– „კაიროს მეწამულ ვარდს“ უჩვენებენ.
ცხელ გულზე, გაბრაზებული, დათ-
რგუნული და დამცირებული სესილია
მთელ დღეს ეკრანთან გაატარებს. ქა-
ლის ემოცია და თავგამოდება შეუმ-
ჩნეველი არ დარჩება მისი კუმირის –
ტომ ბაქსტერისთვის, რომელიც გადაწ-
ყვეტს, სესილიას გამო ფილმი მიატო-
ვოს და შავ-თეთრი სივრციდან ფერად
სამყაროში გადმოვიდეს.

„კი მაგრამ, შენ ხომ იქ უნდა იყო?“
– გაოცებული და აღტაცებულია სე-
სილია. – „არა, მეყოფა, ეს მოსაწყენი
ფილმი უკვე 2000-ჯერ ვითამაშე“, –
უკან არ იხევს ტომი.

შემდეგ ასე ვითარდება სიუჟეტი:
ორივენი გამოიქცევიან კინოთეატრი-
დან, მიღიან საცეკვაოდ, ტომი შამბა-
ნურზე პატიუებს, სიყვარულს ეფიცე-
ბა, თუმცა მისი ყოველი საქციელი, მის
მიერ ნათქვამი ყველა სიტყვა მხოლოდ
ფილმის სცენარით საზრდოობს და
შორს დგას რეალობისგან – ომისშემ-
დგომ კრიზისა და უმუშევრობაში ჩა-
ძირული ნიუ ჯერსის ყოფისგან.

ამ დროს კინოთეატრში პანიკაა – პერ-
სონაჟები უსაქმოდ არიან, მაყურებელი
ბილეთებში გადახდილი ფულის დაბ-
რუნებას მოითხოვს. კინოთეატრის დი-
რექტორი ფილმის პროდუსერს სთხოვს
დახმარებას (ამასობაში, ტომ ბაქსტერი
ჯერ ჩიკაგოს, შემდეგ კი სენტ ლუისის,
დენვერისა და დეტროიტის კინოთეატრე-
ბის ეკრანებიდან უჩინარდება). საქმეში
ბაქსტერის როლის შემსრულებელი გილ
შეპარდიც ერთვება (აქამდა, ჩემმა პერ-
სონაჟმა რეპუტაცია არ შემილახოსო).

ბოლოს ასეც ხდება: ქალი არჩევანს
რეალურ შეპარდსა და გამოგონილ ბაქ-
სტერს შორის რეალურის სასარგებლოდ
გააკეთებს, იმ იმედით, რომ მსახიობი მას
ჰოლივუდში წაიყვანს, მაგრამ შინიდან
ჩემოდნით წამოსულს კინოთეატრთან

ეტყვიან: როგორც კი გმირი (ბაქსტერი) „კაიროს მენამულ ვარდში“ შებრუნდა, იმ წამსვე ფილმის მთელი სამუშაო ჯგუფი პროდიუსერიან-შეპარდიანად ჰოლივუდისკენ გაემართაო.

ხომ ენათესავება ერთმანეთს ეს ორი შესანიშნავი ნაწარმოები – შოთა ჩანტლაძის 1958 წელს და ანტონი ლექსი და ვუდი ალენის „კაიროს მენამული ვარდი“, რომელიც ეკრანებზე 1985 წელს გამოვიდა?! შესაძლოა, ეს ნათესაობაზე მეტიც იყოს და საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა გავლენებსაც დაუწყონ ძებნა, მაგრამ ამის გასაბათილებლად რამდენიმე ობიექტური მიზეზი არსებობს: ჯერ ერთი – საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ამერიკელ რეჟისორს არ ეცოდინებოდა ქართველი პოეტის შემოქმედება; მეორეც – ლექსის წერის დროს არც შოთა ჩანტლაძისთვის იქნებოდა ხელმისაწვდომი ვუდი ალენის ფილმები თუნდაც იმის გამო, რომ რეჟისორის პირველი ფილმი „ჩარლზ ფელდმანი“ 1965 წელს გამოვიდა, თუმცა საქმეში უფრო ღრმად ჩახედულმა ადამიანებმა, შეიძლება, ამ ორი ნაწარმოების ორი მეტისმეტად საინტერესო წინაპარი შემახსენონ.

ჩვენთვის უცნობია, რა გახდა შოთა ჩანტლაძისთვის ამ ლექსის შთაგონების წყარო, მაგრამ იქამდე დემნა შენგელაისა ავანგარდისტულ რომანში – „ტფილისი“ (1925) უკვე აედგათ ძეგლებს ფეხი, ჩარლი ჩაპლინიც გადმოსულიყო აფიშიდან და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსაც ხელში ეპყრა პოემის გაშლილი პერგამენტი. მეტიც, სახელოვანი რუსი პოეტისა და გრანიტის კვარცხლბეკიდან ჩამოსული მეფისნაცვალის სენტიმენტალური გაბაასების შემსწრენიც ვიყავით მთვარიან ღამით ტფილისის აბანოში, სადაც ვორონცოვი, მწუხარების ნიშნად, თავის ბრინჯაოს ხელს უჭერდა ა. ს. პუშკინის მკლავს: „ალექსანდრ სერგეევიჩ, ალექსანდრ სერგეევიჩ! სად გაჰქრა, ნეტავ, ეს იტალიანური ოპერა,

ქართველი წარმტაცი კნეინები, ეს რაუტები, ჯვარი მამობა და თავადი პოეტები?!.“ – და იქვე პოეტ-გენერალსაც მოიკითხავდა ნალვლიანად: – „ეს გლუხარიჩიც რომ დაიკარგა!“

ვუდი ალენი კი არ მალავს, რომ „კაიროს მენამული ვარდი“ ლუიჯი პირანდელოს მოდერნისტული კომედიით – „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი“ (1921) და ბასტერ კიტონის უხმო კომედიური ფილმით – „შერლოკი უმცროსითა“ (1924) ინსპირირებული, მაგრამ მთავარი მაინც ის ძალა, იდუმალი კავშირები და უხილავი ძაფებია, რომელიც სრულიად განსხვავებულ ორ ხელოვანს ისე ანათესავებს ხოლმე, რომ წარმოდგენაც არა აქვთ ერთმანეთის შესახებ.

„მე იძულებული ვარ აქ ლექსი დავამთავრო, ჰოლივუდის ფილმზე მაგვიანდებაო“, – ამბობს შოთა ჩანტლაძე ფინალში და ჩვენ ეჭვი გვიპყრობს, ვინ იცის, იქნებ ახლაც დადის ჰოლივუდური ფილმიდან გადმოსული პერსონაჟი თბილისის ქუჩებში ან უახლოეს სანებში აპირებს ეკრანის დატოვებას.

წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ერთ დღესაც, ვარაზისხევში, „დიდი გეტსპიდან“ გადმოსული ლეონარდო დიკაპრიო რომ გამოჩნდეს!..

პონსტანტინე გამსახურდია და მარტინ კაზი

ერთხელ, წლების წინ, საღამო ხანს ჭავჭავაძის გამზირზე უაზროდ მოყიალეს გოგი ანთელავა შემხვდა შვილიშვილთან ერთად – აუზზე დამყავს და, შენც თუ ზევითკენ გაქვს გზა, წამოდიო. ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ, შევთანხმდით, რომ ანატოლ ფრანსის ნოველებს მოგვიტანდა უურნალისთვის და ისიც მითხრა, მარტინ პაჟის წიგნს ვთარგმნი, თითქმის ბოლოში გავედი და ერთი ძალიან საინტერესო დეტალი აღმოვაჩინე.

მარტინ პაჟი თავის რომანში „წვი-

მის შესახებ“ ჩინეთის ერთი იმპერატორის ამბავს გვიყება, რომელსაც ჭამა ძალიან უყვარდა და ერთხელაც შეჯიბრება გამართა ახალი მზარეულის შესარჩევად. იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ ქვაბებით, ხორცით, ხილითა და მწვანილით დახუნდლული მზარეულები. უველა ცდილობდა იმპერატორის გულის მოგებას, მაგრამ იმას, ბავშობიდანვე საუკეთესო კერძებს დაჩვეულს, უკვე აღარაფერი მოსწონდა, უველა საჭმელი მობეზრებული ჰქონდა. უცებ მის წინაშე ღარიბულად ჩაცმული მზარეული წარსდგა, ხელში შუშის პატარა ჭურჭელი ეჭირა. „რა გაქვთ ამ შუშაში?“ – ჰკითხა იმპერატორმა. – „წვიმის წყალი, თქვენობრნყინვალებავ“, – მიუგო მზარეულმა და სახტად დარჩენილ დამსწრეთა თვალწინ თავისი განაფული ხელებით მოამზადა ომლეტები, ორცხობილას საფენში შემწვარი წვიმის ნაჭრები, დესერტად კი წვიმის – კრემ-ბრიულე.

იმპერატორმა არნახულად მოილხინა, მადლობა გადაუხადა მზარეულს ახალი, უჩვეულო კერძისთვის და... რადგან სურდა, დარწმუნებული ყოფილიყო, რომ, მის გარდა, ვერავინ ვერასდროს იგემებდა ამ კერძებს, მზარეულის სიკვდილით დასჯა ბრძანა.

აბა, თუ მიხვდები, ვის ჰგავს, ვინ გახსენდებაო, – გამომცდელად, ლიმილით მკითხა პატონმა გოგიმ.

როგორ არა-მეთქი. რა მაგარია!

– ხო გავს გამსახურდიას?

ჰო, რაღაცით ნამდვილად ჰგავს იმ მთავარ სიუჟეტს, კონცეფციას, რაზეც „დიდოსტატის მარჯვენაა“ აგებული და ეს ეპიგრაფშივე ჩანს: „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“, ოღონდ რომანში მკლავის მოჭრის ლეგენდარულ ამბავს ხელისუფალის მარტივი ეგოცენტრული მიზეზი კი არ უდევს საფუძვლად,

არამედ მძაფრი ადამიანური ვნებები. სასიყვარულო სამკუთხედი, გადაყენებული ხუროთმოძღვრის ინტრიგები და ყველაფერი ის, რაც თან სდევს თავისუფალი ხელოვანის წარმატებას: შური, სიძულვილი, მარტოობა.

ამასთან ერთად, მარტენ პაუის „იმპერატორი“ უზენაესი ხელისუფალია და მზარეალს მისი ადამიანური ბუნების ჩვენება არც უნდა და არც სჭირდება; კონსტანტინე გამსახურდიას მეცე გიორგი კი ვაჟკაციც არის და მშიშარაც, კეისარს ებრძვის და ეშინია ხვიარის ფესვებისა და თავის აღსარებაში არც იმას მალავს, მრავალი ცოდვა რომ მიუძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე კაცს, მაგრამ ისიც დაეფიცება, რომ თავისი ქვეყნისთვის არასოდეს უღალატია.

კიდევ ერთი დეტალია: იმპერატორი კლავს მზარეულს და მასთან ერთად კვდება წვიმისგან დამზადებული საუცხოო კერძების საიდუმლო; კონსტანტინე გამსახურდიას მეცე გიორგი გასცემს ხუროთმოძღვრისთვის მკლავის მოკვეთის ბრძანებას, მაგრამ არსაკიძის მიერ აგებული სვეტიცხოველი რჩება მარადიული ხელოვნების სიმბოლოდ (სამაგიეროდ, არსაკიძის სიკვდილის შემდეგ კვლავაც აღზევებულ ფარსმან სპარს მიაქვს საფლავში რკინისმკვნეტელი ხმლების საიდუმლო).

კონსტანტინე გამსახურდია და მარტენ პაუი – ესეც კიდევ ერთი გადაკვეთის წერტილი. მსგავსებები და ის განსხვავებები, რომლის პოვნის სურვილიც მსგავსების აღმოჩენისთანავე გიჩნდება. ისე, ხომ გახსოვთ, ორი თითქმის იდენტური ნახატი რომ ქვეყნდებოდა გაზეთებში მინაწერით, იპოვეთ ამდენი და ამდენი განსხვავებაო. ვინმერ მართლა უნდა მოიცალოს, ჩამოუაროს ამლიტერატურას და ეგ მსგავსებები და გადაკვეთები სათითაოდ ამოკრიბოს. შთამომავლობა არ დაუვიწყებდა.



ოლდოს პაქსლი

ნორჩი არქიმედე

ინგლისელი მწერალი და ფილოსოფოსი ოლდოს ლეონარდ პაქსლი (1894-1963) თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც ლიტერატურისა და თეატრის კრიტიკოსი. 1918-1923 წლებში მან გამოაქვეყნა ლექსების კრებული; 20-იან წლებში, იდეური პოზიციით, ახლოს იდგა „დაკარგული თაობის“ მნერლებთან. მას ეკუთვნის მრავალი რომანი, ისტორიული ბიოგრაფია, მოთხოვნა, ესე, მოგზაურობის ჩანაწერი, ფილოსოფიური ტრაქტატი და სხვა. მწერალს სახელი გაუთქვა 20-30-იან წლებში შექმნილმა რომანებმა – „ყვითელი ქრომი“, „მასხრული ფერხული“, „ის უნაყოფო ფოთლები“, „კონტრაპუნქტი“, „ბრძა გაზაში“, „საოცარი ახალი სამყარო“. სხვადასხვა წლებში მწერალი შვიდჯერ იყო ნომინირებული ნობელის პრემიაზე.

მკითხველს ვთავაზობთ ოლდოს პაქსლის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხოვნის „ნორჩი არქიმედეს“ ქართულ თარგმანს.

იმ ადგილის შერჩევა საბოლოოდ მშვენიერმა ხედმა გადაგვაწყვეტინა. სახლს უნაკლო ნამდგილად არ ეთქმოდა – ქალაქიდან კარგა მოშორებით იდგა და ტელეფონიც არ ჰქონდა. ქირა საკმაოდ მაღალი იყო, კანალიზაცია – ერთობ უბადრუკი. მთვარიან ღამეებში უხეიროდ ჩასმული მინები ისე ზანზარებდნენ ფანჯრის ჩარჩოებში, თავი სასტუმროს ომნიბუსში გეგონებოდათ; ელექტრული სინათლე რატომდაც წამდაუნებულ ქრებოდა და ხმაურიან წყვდიადში გვჭოვებდა. სახლს სააბაზანო დიდებული კი ჰქონდა, მაგრამ არ მუშაობდა ელექტრული ტუმბო, რომელსაც ტერასაზე დადგმულ ბაქში დაგროვილი წვიმის წყალი ზემოთ უნდა ამოექაჩა. შემოდგომობით სასმელი წყლის ჭარებოდა. დიასახლისიც ერთი ცრუ და თაღლითი ვინმე გამოგვდგომო-

და, მაგრამ ასეთი ნაკლოვანებანი ხომ ყოველ ნაქირავებ სახლს აქვს, ყველგან, მთელ მსოფლიოში. იტალიის კვალობაზე ისინი სულაც არ იყო სერიოზული. მე მინახავს ბევრი სახლი, ყველა ეს და კიდევ სხვა მრავალი ზადიც რომ ჰქონია და ის ღირსებებიც ჰქლებია, ჩვენსას რომ გვატანინებდა. ამ ღირსებებს წარმოადგენდა სამხრეთის მხარეს გაშენებული ბაღი და საზამთრო და საგაზაფხულო ტერასები, ვრცელი გრილი ოთახები – შუა ზაფხულის ხვატს რომ არ გაგრძნობინებთ, კოლოებისგან თავისუფალი მთის ჰერი და ბოლოს, ის დიდებული ხედი.

ხედი და რა ხედი! უფრო კი ხედების წყება. ის ხომ ყოველდღიურად იცვლებოდა; ადამიანს შინიდან გაუსვლელად იპყრობდა ჰეიზაჟის დაუსრულებელი ცვლილების შთაბეჭდილება: მას შეეძ-

ლო მოგზაურობის მთელი ხიბლი მისთვის დამახასიათებელი დაქანცულობის გარეშე შეეგრძნო. შემოდგომის დღეებში ყველა ხეობა ნისლით ივსებოდა და აპენინის მწვერვალები უცნაურად ამოიმართებოდნენ ხოლმე წყნარი ვერცხლისფერი ტბის გაღმა. იყო დღეები, როცა ნისლი ლამის ჩვენი მთის თხემამდე აღწევდა. ის ისეთ მსუბუქ ფანტაზიაში გვხვევდა, რომ გვეჩვენებოდა, თითქოს ნისლისფერი ზეთისხილის ხები, ჩვენს ფანჯრებს ქვემოთ, ხეობისკენ გადახრილი, თავიანთ სულიერ არსში იმაღლებოდნენ და იმ პატარა, დაბინდულ სამყაროში, რომელშიც აღმოვჩენილიყავით, მხოლოდ მყარი და მყაფიო საგნები – ორი მაღალ-მაღალი შავი კვიპაროსი მომწყვდეულიყო. ისინი გორაკიდან ასი ფუტის დაყოლებაზე, ერთ პატარა, შვერილ ტერასაზე ამოზრდილიყვნენ. ჰერკულესის სვეტების¹ ეს წყვილი – შავნი, წაწვეტებული და მყარნი, იდგნენ იქ, ნაცნობი სამყაროს დასალიერზე; მათ ქვეშ ფერმკრთალი ღრუბელილა მოჩანდა, ირგვლივ – მხოლოდ დაბინდული ზეთისხილის ხები.

ეს ზამთრობით, გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი დღეები მუდამ ულრუბლო იყო ან, ხატოვნად რომ ვთქვათ, ორთქლის ნაირგვარი ვეება მოტივტივე ფორმებით აღბეჭდილი, ფორმებით, რომლებიც შორეულ, დათოვლილ მთებს ზემოთ თოვლივით ნელ-ნელა იშლებოდნენ ელვარე, ღია ლურჯი, უზარმაზარი

ცის ნაჭრების მოძრაობის საპირისპიროდ და ცის სიმაღლეზე ღმერთების ნაკვეთი და ჯერაც დაუსრულებელი გაბერილი ქსოვილები, გედები, ჰაერის მარმარილოები, მანამ დაღლილნი, სანამ შექმნიდნენ, მთვლემარები მიჰყებოდნენ ქარს და თან ფორმას იცვლიდნენ. მზე ამოდიოდა, მათ მიჰყებოდა და იმნამსვე დაბლობში ჩანოლილი ქალაქი უფერულდებოდა, ჩრდილში თითქმის იკარგებოდა, ის კი, როგორც ვეებერთელა თვალი პატიოსანი, გორაკებს შორის თითქოსდა საკუთარი შუქით ბრწყინავდა. თუ მახლობელ დაბლობს ჩახედავდით, რომელიც ჩვენი მთის თხემიდან ქვემოთ, არნოსკენ გაშლილიყო, გადაიხედავდით ქვემოთ, მუქი კალთიდან იმ გორაკისაკნ, რომლის უშორეს შვერილზეც აღმართულიყო სან მინიატოს² ტაძარი; თვალს მოჰკრავდით თავისი ქვის სვეტებზე გრაციოზულად დამჯდარ უზარმაზარ გუმბათს, ოთხკუთხა სამრეკლოს, სანტა კროჩეს³ წაწვეტებულ კოშკსა და სინიორიას⁴ მოჩარდახულ კოშკს – სახლების ლაპირითების ხლართში ამომართულს, გამორჩეულსა და ბრწყინვალეს, როგორც ძვირფასი ქვებისგან ნაკვეთ მცირე რამ საგანძურს. ეს მხოლოდ წამიერად, შემდეგ კი მათი შუქი კიდევ ერთხელ ქრებოდა და მოგზაური სხივი ინდიგოსფერ გორაკებს იქით, განცალკევებულ, ოქროსფერ თხემს ირჩევდა.

იყო დღეები, როცა ჰავლილი

1 ჰერკულესის სვეტები – ჰერკულესის (ჰერაკლეს) სვეტები – ორი ერთმანეთის მოპირდაპირე კლდე ახლანდელი გიბრალტარის ორსავე მხარეს. ბერძენთა რწმენით, ჰერაკლემ, რომელიც გერიონის ხარების მოსატაცებლად მიღიოდა, აფრიკის უდაბნოები გაიარა და უკიდურეს დასავლეთ საზღვარს მიაღწია. იქ ვიწრო სრუტის ორსავე მხარეს, თავისი მეათე გმირობის უკვდავსაყიფად, ქვის ორი უზარმაზარი სვეტი (ორი კლდე) აღმართა.

2 სან მინიატო – (იტალ. • San Miniato) ქალაქი იტალიაში, ტოსკანას რეგიონის პიზას პროვინციაში.

3 სანტა კროჩე – სანტა კროჩეს ბაზილიკა (იტალ. *Basilica di Santa Croce*) – ფრანცისკანული ეკლესია ფლორენციაში, ცნობილი ჯოტოს ფრესკებით და გამოჩენილი იტალიელების საფლავებით.

4 სინიორია – ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო.

თუ მოახლოებული წვიმების გამო ნოტივდებოდა და ყველა შორეთი უჩვეულოდ ახლო და სუფთა გეჩვენებოდათ. ზეთისხილის ხეები შორეულ ფერდობებზე ერთმანეთისგან განცალკევდებოდნენ, შორი სოფლები უწატიფესი სათამაშოებივით მშვენიერნი და სულის-შემძვრელნი მოჩანდნენ. ზაფხულობით, დროდადრო, ჭექა-ქუხილის მოახლოებისას, ელვარე და მზით განათებული მასები შავსა და მკვრივ მეწამულ მასებს უპირისპირდებდნენ, გორაკები და თეთრი სახლები კი ისე ანათებდნენ, თითქოსდა უსასოოდ, მკვდომარე ფუფუნებაში, რაღაც საშინელი უბედურების ზღვარზე იმყოფებოდნენ.

როგორ და რანაირად არ იცვლებოდნენ გორაკები. ყოველდღიურად, ყოველ საათს, ლამის სულ გადასხვა-ფერდებოდნენ ხოლმე. ზოგჯერ, თუ ფლორენციის დაბლობს გახედავდით, ცის გასწვრივ მხოლოდ მუქლურჯ სილუტს შენიშნავდით.

პეიზაჟს სილრმე არ გააჩნდა; იყო მხოლოდ ბრტყელი დაკიდული ფარდა ზედ მიხატული მთების სიმბოლოებით და მერე, თითქმის უეცრად, როცა ღრუბელი გადაივლიდა ან, როცა მზე რაღაც დონემდე ცაზე დაეშვებოდა, ეს ბრტყელი სახილველი თავისთავად იცვლებოდა და იქ, სადაც უწინ მხოლოდ მოხატული ფარდა მოჩანდა, ახლა ერთმანეთის უკან მთების წყებათა წყება აღიმართებოდა. მათი ფერი თანდათან იცვლიდა ტონს და ყავისფრიდან, ნაცრისფერისა თუ მწვანე ოქროსფერიდან ღია ლურჯში გადადიოდა. იმ მომენტამდე, სანამ ერთ მთლიან მასად შეერწყმოდნენ ერთურთს, ისინი საკუთარ ნაწილებად იყვნენ დაშლილნი. ფიეზო-

ლე,¹ რომელიც ჩვეულებრივ მონტე მორელის² ერთადერთ მწვერვალად მოჩანდა, ახლა ნარმოგვიდგებოდა მთების სხვა მასივის შვერილად, რომელიც უფრო დიდი მეზობლის უახლოესი ბასტიონებისაგან ღრმა და დაჩრდილული ველით გამოყოფილიყო.

შუადღისას, ზაფხულის პაპანაქებაში, პეიზაჟი ბუნდოვანდებოდა, იფშვნებოდა და თითქმის უფერულდებოდა მზის ქვეშ. გორაკები ცის მოცახცახე ფოჩებში იკარგებოდნენ. შუადღე რომ გადავიდოდა, მაშინ კი პეიზაჟი კვლავ ცოცხლდებოდა, გაუცხოება ეკარგებოდა და არაფრობიდან კვლავ თავის ფორმა-სა და სიცოცხლეს იბრუნებდა და მისი სიცოცხლე, როცა გრძელი შუადღისას მზე ნელ-ნელა ეშვებოდა, ყოველწუთი-ერად სულ უფრო სისხლსავსე ხდებოდა და მისი შუქი თავისი მსახური, გრძელი, მუქი ჩრდილებით, ასე ვთქვათ, მიწის ანატომიას აშიშვლებდა. გორაკები – მათი დასავლური ციცაბო კალთების ბრწყინვალება და მზის შუქს მოკლებული ყოველი ფერდობი ღრმად იჩრდილებოდა და მკვრივი, ამოზნექილი და მყარი ხდებოდა. პატარ-პატარა ნაკეცები და ღრმულები, მიწაზე რომ მოჩანდნენ, იშლებოდნენ. მთის მწვერვალიდან აღმოსავლეთისკენ, ემას³ დაბლობის გასწვრივ დიდი, თითქმის ვერტიკალური, მუდმივად მზარდი ჩრდილი ეცემოდა; მთელი ქალაქი გარე-მომცველი ველის სიკამპაშეში ჩამუქებული წვებოდა და, როცა ჰორიზონტზე მზე იღეოდა, შორეული გორაკები მის თბილ შუქში ლივლივებდნენ მანამ, სანამ მათ განათებულ ფერდობებს მუქყვითელი ვარდების ფერი ედოთ, მაგრამ ველები მალევე ივსებიდნენ საღამოს ლურჯი ბურუსით, რომელიც ზევითკენ იზრდე-

1 ფიეზოლე – (იტალ. •Fiesole) – ქალაქი იტალიაში, ფლორენციის პროვინციაში, ტოსკანას რეგიონში.

2 მონტე მორელო – მთა ფლორენციის ველზე (დაახ. 935გ.), მდებარეობს ფლორენციის ჩრდილო-დასავლეთით..

3 ემა – პატარა მდინარე ფლორენციაში.

ბოდა და იზრდებოდა. დასახლებული ფერდობების დასავლეთის ფანჯრებში ცეცხლი ქრებოდა, მხოლოდ მთის თხემები რჩებოდნენ განათებულნი და ბოლოს ისინიც ქრებოდნენ. მთები კვლავ უფერულდებოდნენ და მქრქალი საღამოს ცაზე ბრტყელ ნახატად ერწყმოდნენ ერთმანეთს. ცოტა ხანში ღამებოდა კიდეც და, თუ მთვარეც სავსე იყო, ჩამკვდარი სცენის აჩრდილი კვლავ აჩნდა ჰორიზონტს.

ეს ფართო პეიზაჟი, თავისი ცვალება-დი სილამაზით, ყოველთვის ინარჩუნებდა ადამიანურობისა და შინაურულობის თვისებას. ეს მას, ჩემი აზრით, მაინც აქცევდა საუკეთესო პეიზაჟად, რაც კი ოდესმე შემხვედრია. დღიდან დღემდე ადამიანი მის ნაირგვარ სილამაზეში მოგზაურობდა, მაგრამ მოგზაურობა ჩვენი წინაპრების მოგზაურობის მსგავსად ხომ ყოველთვის ციკლიზებულ სამყაროში მოგზაურობას გულისხმობს? ტოსკანას სანახებს, მის ყოველ მთას, დამრეც ფერდობებსა და ლრმა ველებს უფრო მეტად მისი მკვიდრი ამშვენებენ. მათ დამუშავებული აქვთ მიწის ყოველი მტკაველი, რისი დამუშავებაც კი შესაძლებელია. მათი სახლები მჭიდროდაა ჩადგმული მთის თხემზეც კი და მათი ველები დასახლებულია. აქ მთის თხემზე მყოფი მარტოხელა კაცი არ ჰგავს უდაბნოს განდეგილს. ადამიანთა კვალი ქვეყანაში ყველგან იძებნება – ამას კრაფორტი აღიქვამთ, როცა ირგვლივ მიმოიხდავთ და კაცს უჩნდება იმის განცდა, რომ უკვე საუკუნები და ათასწლეულებია, რაც ეს მისია – დამორჩილებული, დაქვემდებარებული და გაადამიანურებული. ველური, უკაცრიელი მიწები, ქვიშრობი და ხშირი ტყები აქ იშვიათია, მათი მონახულება სულს კი ალენს, მაგრამ მხოლოდ დროებით, მაგრამ ასე მოშორებულ ადგილას, ღვთაებრივთან ერთად, ეშმაკეული ზემოქმედებაც საცნაურია. მცენარეთა და სხვა არსებების ვეგეტატიური ცხოვრება უცხო და მტრულია ადამიანებისთვის. ისინი თავს

ლალად მხოლოდ იმ ადგილებში გრძნობენ, რომლებიც გაითავისეს, რომელთა შემოგარენზეც ბატონობენ და, სადაც მათი დასახლებები რიცხვობრივად აჭარბებს და ამეტებს ვეგეტატიურ არსებებს. ტოსკანური პეიზაჟის პირქუში ტყეებისგან განძარცვული და განაშენიანებული ტერასები მთის მწვერვალებამდეც კი გაადამიანურებული და უსაფრთხოა. მათ, ვინც მის შუაწელზე ცხოვრობს, ზოგჯერ ესურვილებათ შორი, უკაცრიელი, უსიცოცხლო ან უცხოელებით დასახლებული რომელილაც ადგილის ნახვა, მაგრამ ამ სურვილს მაღლევე იკლავენ და სიხარულით უბრუნდებიან ცივილიზებულ და ათვისებულ ადგილს.

მე მივხვდი, რომ სახლი მთის მწვერვალზე საცხოვრებლად იდეალურია, ვინაიდან აქ, ამ უსაფრთხო და გაადამიანურებული პეიზაჟის წიაღში, კაცს შეუძლია სრულად განმარტოვდეს, თუკი ეს მას სურს. მეზობლები აქ იდეალური და საუკეთესონი არიან, რადგან თავისთვის იკეტებიან და მათ თვალს ვერასოდეს მოჰკრავთ.

ჩვენი უახლოესი მეზობლები (ცხადია, ფიზიკურ სიახლოვეს ვგულისხმობ) ჩვენთან ძალიან ახლოს ცხოვრობდნენ. ჩვენ გვეჭირა, შეიძლება ითქვას, ორი რიგი ერთსა და იმავე სახლში. ერთი იყო გლეხკაცის ოჯახი, რომელიც გრძელ, ქვემო შენობაში ცხოვრობდა. მისი შენობის ნაწილს საცხოვრებელი ფართი, ნაწილს კი ვილაზე მიდგმული საჯინიბო, საწყობები და ბოსელი შეადგენდა. დანარჩენი მეზობლები – პერიოდული მეზობლები, მხოლოდ კარგ დარში დროდადრო რომ ამოდიოდნენ ხოლმე ქალაქიდან, ვილის მებატრონები იყვნენ, რომელთაც თავიანთთვის დაეტოვებინათ უზარმაზარი L-სებური სახლის უფრო პატარა ფლიგელი – მხოლოდ ერთი დუჟინი თუ ცოტა მეტი ოთახებისა, ჩვენთვის კი დანარჩენი თვრამეტი თუ ოცი დაეთმოთ.

ეს იყო უცნაური წყვილი – მოხუ-

ცი ქმარი, უსახური, ჩამომჭკვნარი და მოპარბაცე, სულ ცოტა, სამოცდაათი წლის იქნებოდა. სენიორა კი ასე ორ-მოცამდე – დაბალი, საკმაოდ ფაშფაშა, კოტიტა ხელ-ფეხითა და დიდრონი, მუქზე მუქი შავი თვალებით, რომელთაც ის კომიკოსის მთელი ოსტატობით იყენებდა. მისი სასიცოცხლო ენერგია, თუკი მის გამოყენებას შეძლებდით და აიძულებდით, რაიმე სასარგებლო საქმეს მოხმარებოდა, მთელ ქალაქს გააწვდენდა, მაგალითად, ელექტრონულ შუქს. მე თუ მკითხავთ, ფიზიკოსები, ატომისგან ენერგიის მიღებაზე რომ მუშაობენ, ბევრად მოგებულნი დარჩებიან, თუკი საამისოდ უახლოეს სახლს მიადგებიან და იქაურ სანგვინური ტემპარამენტის დიასახლისებში დაგროვილ სასიცოცხლო ენერგიას მოიხმარენ. ეს ენერგია საზოგადოებრივი და სამეცნიერო ორგანიზაციების ამჟამინდელი უნიათობის გამო ჩვეულებრივ ასე სამნუხაროდ იხარჯება სხვათა საქმეებში ჩარევაში, ემოციური სცენებში გამართვაში, სიყვარულზე ფიქრსა და მის მოპოვებაში და მამაკაცთათვის ცხოვრების იქამდე გართულებაში, რომ მათ შრომის უნარი წაერთვათ.

სენიორა ბონდი თავის მოჭარბებულ ენერგიას, ყველაფერთან ერთად, მდგმურების გასავათებაშიც ხარჯავდა. მოხუც ჯენტლმენს, შეუბლალავი რეპუტაციის ვაჭარს, რომელსაც სამუშაოსთვის თავი უკვე დაენებებინა, ჩვენთან ურთიერთობა ეკრძალებოდა. სახლის სანახავად რომ მივედით, იქაურობა ცოლმა დაგვათვალიერებინა. ეს სწორედ მან, თავისი მომხიბისულელობის უხვი ჩვენებით, თვალების შეუდარებელი ტრიალით აქო და აქო ელექტრული ტუმბო და ხოტბა შეასხა სააბაზანოს, რომლის გათვალისწინებითაც, როგორც გვიმტკიცებდა, უწვეულოდ ზომიერი ქირა შემოგვთავაზა. როცა ვიხილავდით საკითხს, გამოგვეძახებინა თუ არა ინსპექტორი სახლის გასასინჯად, მან ისე დაბეჯითებით გვთხოვა, ტყუი-

ლად ნუ გადაყრით ფულს ამ ზედმეტობაშიო, თითქოსდა ჩვენი კეთილდღეობა მხოლოდ მისი საქმე ყოფილიყო. „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ პატიოსანი ხალხი ვართ. აზრად არ მომივა უვარგისი ბინა დაგითმოთ. მენდეთ!“ – გვითხრა მან და თავისი მიმზიდველი, ტკივილის გამომხატველი დიდებული თვალები ისე მომაპყრო, თითქოსდა მთხოვდა, ჩემი ეჭვიანობით მისთვის შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა. მან ინსპექტორზე მსჯელობა შეგვაწყვეტინა და იმის მტკიცებას მოჰყვა, რომ ჩვენი ბიჭუნასთანა ულამაზესი ანგელოზი ჯერ არ ენახა. ამით დასრულდა ჩვენი გასაუბრება სენიორა ბონდისთან და საბოლოოდ გადავწყვიტეთ, სახლი გვექირავა.

„რა მომხიბვლელი ქალია“, – ვთქვი მე, როცა სახლი დავტოვეთ, ელიზაბეტი კი, მგონი, ამაში მთლად დარწმუნებული არ იყო.

მერე ტუმბოს ეპიზოდიც დაიწყო.

იმავე სალამოს, როგორც კი სახლში შევედით, ელექტრობა ჩავრთეთ. ტუმბომ ძალზე სახასიათო ხმა კი გაუშვა, მაგრამ სააბაზანოს ონკანებში წყალი არ წამოედიდა. ერთმანთს ეჭვით გადავხედეთ.

„მომხიბვლელი ქალია, არა?“ – წარბი აზიდა ელიზაბეტმა.

მოვისურვეთ, სახლის მეპატრონებს დავლაპარაკებოდით, მაგრამ მოხუცმა ბატონმა რატომლაც ვერასოდეს შეძლო ჩვენი მიღება, სენიორა კი, როგორც წესი, ან შინ არ იყო, ან თავს შეუძლოდ გრძნობდა. ჩვენ მათ ბარათებს ვუტოვებდით. ისინი არ გვპასუხობდნენ. ბოლოს და ბოლოს მივხვდით, რომ ერთ შენობაში ჩვენთან ერთად მცხოვრებ სახლის მეპატრონებთან დაკავშირების ერთადერთი გზა ფლორენციაში ჩასვლა და იქიდან მათთვის სასწრაფო შეკვეთილი წერილის გაგზავნა იყო. ისინი იძულებული გახდებოდნენ, ორ სხვადასხვა ქვითარზე მოეწერათ ხელი და, იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ ორმოცი სანგიმით მეტსაც გადავიხდიდით, მესამე დამადასტურე-

ბელ დოკუმენტზეც, რომელიც შემდეგ უკან დაგვიბრუნდებოდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი წერილები თუ ჩანაწერები, რომლებიც მათ იმის თქმის უფლებას მისცემდა, რომ კომუნიკაცია არ შედგა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენს საჩივრებზე გვიპასუხეს. სენიორა, რომელიც ყოველ წერილს თავად წერდა, გვიმტკიცებდა, ტუმბო რომ არ მუშაობს, ეს სავსებით ბუნებრივია და ცისტერნები ხანგრძლივი გვალვის გამოა ცარიელიო. მე კვლავ უნდა გამევლო სამი მილი საფოსტო ოფისამდე იმისათვის, რომ დამერეგისტრირებინა ახალი წერილი, რომელშიც სენიორას შევახსენებდი, რომ გასული ოთხშაბათის კოკისპირული წვიმის გამო ბაკები არათუ სავსე, გადავსებულიც კი იყო. პასუხად მან მომწერა, საბანაო წყალი არ არის კონტრაქტით გათვალისწინებული და, თუკი ის ასე ძლიერ გსურთ, რატომ არ შეამოწმეთ ტუმბო, სანამ სახლს იქირავებდითო? ქალაქში კიდევ ერთი წასვლა დამჭირდა იმისათვის, რომ გვერდითა ბინაში მოსახლე სენიორასთვის შემეხსენებინა თავისი ფიცი, მის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ შეგვარეოდა და მეცნობებინა მისთვის, რომ სახლში სააბაზანო ოთახის არსებობა საბანაო წყალსაც თავისთავად გულისხმობს. ამაზე სენიორამ გვიპასუხა, რომ მას არ სურდა მიწერ-მოწერა პქონოდა ისეთ ხალხთან, რომლებიც მას ასე უხეშად მიმართავდნენ. ამის შემდეგ უკვე ადვოკატს მივმართე. ტუმბო ორი თვის თავზე, მხოლოდ მას შემდეგ გამოცვალეს, რაც სენიორას ალსრულების ფურცელი გადაეცა. ეს ყველაფერი არც თუ ისე ცოტა დაგვიჯდა.

ერთ დღესაც, როცა ეს ამბავი დასასრულისკენ მიღიოდა, მოხუც ჯენტლმენს გზაზე გადავეყარე. ის თავის ძალლს ასეირნებდა, უფრო სწორად, ძალლი ასეირნებდა მას – საითაც ძალლი გაიცეოდა, მოხუცი ბატონიც იქით მიჰყვებოდა და, როცა ის იმისათვის ჩერდებოდა, რომ დაეყნოსა ან მიწა აეჩეჩა, ან რომელი-

მე ჭიშკრის სვეტის პირდაპირ თავისი სავიზიტო ბარათი თუ შეურაცხმყოფელი გამოწვევა დაეტოვებინა, სადავეს ხელჩავლებულ მოხუც ბატონს მისთვის მოთმინებით უნდა ეცადა. გვერდით რომ ჩავუარე, გზის პირას იდგა, ჩვენი სახლიდან რამდენიმე ასეული იარდით ქვემოთ. ძალლი იმ კვიპაროსიდან ერთ-ერთის ფესვებს ყნოსავდა, ფერმის შესასვლელის ორივე მხარეს რომ აღმართულიყვნენ; შემომესმა ძალლის ისეთი მხეცური ღრენა, თითქოს მას რაღაც შეუწყნარებელი შეურაცხმყოფა მიაყენეს. მოხუცი სენიორ ბონდი, რომელსაც ძალლი სადავით ეჭირა, არ იძვროდა. მას სწორი ნაცრისფერი შარვალი ეცვა, მუხლები ოდნავ მოხროდა, ტროსტს დაყრდნობოდა და ნალვლიანი და დაბნეული იქაურობას ათვალიერებდა. თვალის სკლერები ძველი ბილიარდის ბურთებივით გაუფერულებოდა. ნაცრისფერ, ღრმად დანაოჭებულ სახეზე დამთრგუნველად ედო წითელი ცხვირი. თეთრი, ბოლოებთან შეყვითლებული აჩეჩილი ულვაშები მრუდი კაცს სევდას მოჰკვრიდა. შავ ყელსაბამზე უმსხვილესი ბრილიანტი ეკეთა – ალბათ, ის, რითიც სენიორა ბონდი მოიხიბლა.

რომ მივუახლოვდი, ქუდი მოვიხადე. მოხუცი დაბნეულად მომაჩერდა და გავცდი თუ არა, მაშინვე მიცნო.

„მოიცადეთ!“ – გამომძახა მან. – „მოიცადეთ!“ და აჩეარებით დამედევნა. – „მოიცადეთ!“ – ძალლი, რომელიც სრულიად მოულოდნელად გაიტაცეს, ერთგვარ უხერხულ მდგომარეობაში მყოფი (ის ამ დროს სამაგიეროს მიგებით იყო დაკავებული იმ შეურაცხმყოფისათვის, კვიპაროსის ფესვებზე რაც დახვდა), თავს უფლება მისცა, პატონს მიჰყოლოდა. მეტად გაოცებული კი იყო ამით, მაგრამ მაინც დამორჩილდა პატრონს: – „მოიცადეთ!“

გავჩერდი.

„ჩემო ძვირფასო ბატონო,“ – მომართა მოხუცმა ჯენტლმენმა, პალტოს გადანაკეცზე ხელი წამავლო და მეტისმე-

ტად უამურად ჩამბერა სახეში. – „მინდა მოგიბოდიშოთ“, – თან ირგვლივ მიმოისედა, თითქოს შიშობდა, ვინმეს არ მიეყურადებინა: – „მინდა მოგიბოდიშოთ იმ უბადრუკი ტუმბოს გამო“, – განაგრძო მან. – „მერწმუნეთ, საქმე რომ მხოლოდ ჩემს ხელთ ყოფილიყო, მე მას მაშინვე მოვაგვარებდი, როგორც კი გვთხოვეთ. ცამდე მართალი იყავით – სააპაზანო ოთახი უეჭველად საბანაო წყალსაც გულისხმობს. თავიდანვე ვიცოდი, რომ, თუკი თქვენ სასამართლოს მიმართავდით, აუცილებლად წავაგებდით. ეგეც არ იყოს, ასე მგონია, კაცი თავის მდგმურებს შეძლებისდაგვარად კარგად უნდა მოქეცეს, მაგრამ ჩემი ცოლი“, – აქ მან ხმას დაუნია. – „ფაქტია, რომ მას უყვარს ასეთი რამექი, მაშინაც კი, როცა იცის, რომ ტყუის და არაფერი გამოუვა და კიდევ, ის იმედოვნებდა, ამის თქმასაც გავპედავ, რომ თქვენ თხოვნით დაიღლებოდით და თავად მოაგვარებდით ამ საკითხს. თავიდანვე ვუთხარი მას, რომ ჩვენ უნდა დაგვეთმო, მაგრამ ამის გაგონებაც კი არ სურდა. როგორც ხედავთ, მას ეს სიამოვნებს, თუმცა უკვე მიხვდა, რომ ტუმბო უნდა შეაკეთოს. ორ-სამ დღეში თქვენ გექნებათ საბანაო წყალი. მე კი მაინც ვიფიქრე, მეთქვა თქვენთვის, როგორი...“ – სიტყვა გაუწყდა. – ნაგაზი, რომელიც იმ დროისათვის დაბნეულობისაგან გამორკეულიყო, უცრიად დაიძრა და დაიღრინა. მოხუცი ჯენტლემინი, სადავის მოქაჩით, გაუბედავად შეეცადა, დაეკავებინა ცხოველი, შემდეგ ნებაზე მიუშვა და იძულებული გახდა, თავადაც მიჰყოლოდა.

„როგორ ვწუხვარ, რომ ეს პატარა გაუგებრობა...“ – განაგრძობდა ის, როცა მშორდებოდა, მაგრამ სიტყვა აღარ დასცალდა. – „ნახვამდის!“ – თავაზიანდ გაიღიმა და დამნაშავის გამომეტყველება მიიღო – თითქოს უცბად გაახსენდა მივიწყებული მოვალეობა, რომლის განმარტების დროც არ ჰქონდა. – „ნახვამდის!“ – ქუდი მოიხადა და ძალლს მიუბრუნდა.

კვირისთავზე წყალი მართლაც წამოვიდა. ჩვენი პირველივე ბანაობის დღეს სენიორა ბონდი, მტრედისფერმონაცრისფრო ატლასის კაბითა და მთელი თავისი მარგალიტებით მოპრანჭული, კარს მოგვადგა და დაგვიძახა.

„დამშვიდდით?“ – გვკითხა მომხიბვლელი გულახდილობით, როცა ხელი გამოგვიწოდა. დავარწმუნეთ, რომ, რადგან ჩვენი მოთხოვნა დაქმაყოფილდა, ნამდვილად დაგმშვიდდით.

„და რატომ მწერდით ასეთ საშინლად უხეშ წერილებს?“ – გვკითხა მან და, ისეთი მაყვედრებელი მზერით მოგვაცექრდა, ყველაზე დაუნდობელი ბოროტმოქმედის გულსაც რომ შეძრავდა. – „არა, ის აღსრულების ფურცელი რაღა იყო! ეს როგორ იკადრეთ? ლედის...“

რაღაც წავილუდლუდე ტუმბოსა და ბანაობის სურვილზე.

„ნუთუ მოელოდით, რომ გიპასუხებდით, როცა ასეთი ტონით მელაპარაკებოდით? სხვაგვარად რატომ არ მომმართეთ? ზრდილობინად, თავაზიანად?“ – გამიღიმა და მოხამხამე ქუთუთობი ძირს დაუშვა.

მივხვდი, რომ, ჯობდა, საუბრის თემა შეგვეცვალა. ამაზრზენია, როცა მართალ ადამიანს აიძულებენ, თავი დამნაშავედ იგრძნოს.

რამდენიმე კვირის შემდეგ სენიორას სათანადოდ რეგისტრირებული და ექსპრეს მესენჯერით გამოგზავნილი წერილი მივიღეთ, რომლითაც გვეკითხებოდა, რა აზრის ვიყავით ქირის თანხის შეცვლაზე. ის გვატყობინებდა, რომ შეთანხმებული გადასახადი მხოლოდ ექვსი თვისთვის ევარაუდა და, რომ, თუ მის შემოთავაზებას დავთანხმდებოდით, გაუმჯობესებული პირობების გათვალისწინებით, ქირა მხოლოდ ოცდახუთი პროცენტით გაგვეზრდებოდა. ჩავთვალეთ, რომ გაგვიმართლა და ბოლოს, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ერთი წლის თანხის მხოლოდ თხუთმეტი პროცენტით მომატებაზე შევთანხმდით.

ეს კი ნამდვილად გვიღირდა. ასეთ შეუწყნარებელ გამოძალვას ისევ არაჩვეულებრივი ხედის გამო შევეგუეთ. ამ სახლის მოწონებისთვის კიდევ ერთი მიზეზი გვქონდა. იქ სულ რამდენიმედღიანი ცხოვრების შემდეგ ყველაზე მეტად იმან მოგვხიბლა, რომ მივხვდით, რა საუკეთესო მეგობრობას გაუწევდა ჩვენს პატარა ბიჭს მეზობელი გლეხეცაცის უმცროსი ვაჟი. მისი ბიჭუნა, სახელად გვიდო, თავის და-ძმებში ყველაზე უმცროსი იყო, ჩვენს რობინზე ხუთი თუ ექვსი თვით იყო დიდი. ბავშვები რომ გავიცანით, დედა მათ ორი თუ სამი წლის გარდაცვლილი ჰყავდათ. გვიდოს ორი უფროსი ძმა, მამასთან ერთად, ყანაში მუშაობდა; უფროსი და სახლს უვლიდა, უმცროსი კი, რომელსაც ის-ის იყო სკოლა დაემთავრებინა, მასაც ეხმარებოდა და გვიდოსაც თვალყურს ადვენებდა. გვიდო მაშინ მხოლოდ მეშვიდე წელში იყო გადამდგარი და მაინც დიდ ყურადღებას არ საჭიროებდა, — ღარიბთა შვილები ხომ, ჩვეულებრივ, ადრეული ბავშვობიდანვე დამოუკიდებელნი და პასუხისმგებლობით სავსენი არიან.

მოუხდავად იმისა, რომ გვიდო ჩვენს პატარა რობინზე ორ-ნახევარი წლით იყო უფროსი (ამ ასაკში კი ოცდაათი თვე ნახევარი ცხოვრების გამოცდილებას ნიშნავს), აღმატებული გონიერებისა და სიძლიერის გამო, ის თავის დიდ უპირატესობას არავის აგრძნობინებდა. ასეთი თვინიერი, მომთმენი და ლმობიერი ბავშვი ჯერ არ მენახა. გვიდო არასოდეს დასკინოდა რობინს იმის გამო, რომ ის მას „აჯავრებდა“ და მის გასაოცარ ქმედებებს „იმეორებდა“. კი არ ღიზიანდებოდა და ემუქრებოდა უმცროს მეგობარს, პირიქით, რაც კი მას ეძნელებოდა, ყველაფერში ეხმარებოდა და ყველაფერს უხსნიდა, რასაც ის ვერ იგებდა. სამაგიეროდ, რობინიც ეთაყვანებოდა მას, დიდი ბიჭის ნიმუშად და სრულ ქმნილებად მიიჩნევდა და მონურად ბაძავდა მას ყოველ მხრივ, როგორც შეეძლო.

რობინის ეს ცდები, მიებაძა თავისი მეგობრისათვის, ხშირად ღიმილისმომგვრელი იყო. ერთი აუსტრიული ფსიქოლოგიური კანონის მიხედვით, სიტყვები და ქცევები, თავისთავად, მეტად სერიოზული, კომიკურ ელფერს იღებენ მაშინ, როცა მათ იმეორებენ. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ცნობილია, რომ, თუ მიბაძვა განაზრახი პაროდიაა, მაშინ იმიტატორი, როცა ის ვინმეს მიბაძვაში აჭარბებს, ისე სასაცილო აღარ არის, როგორც მაშინ, როცა ზედმინევნით ზუსტად აჯავრებს მას. ცუდი იმიტაცია სასაცილო მხოლოდ მაშინაა, როცა ის გულითადი და მხურვალე თაყვანების მცირე გამოვლინებაა და, რაც არ გამოსდით. რობინის მიბაძვები მეტინილად ასეთი იყო. მისი გმირული და ნარუმატებელი ცდები, გაემეორებინა სიძლიერისა და ოსტატობის ის გამოვლინებანი, გვიდოს ასე რაც ეადვილებოდა, მეტისმეტად კომიკური გამოდიოდა. არანაკლებ სახალისო იყო გვიდოს ჩვევებისა და მანერიზმის ფრთხილი, გრძელი მიბაძვები. ყველაზე სასაცილო, როგორც სერიოზულად განხორციელებული და ყველაზე შეუთავსებელი იმიტატორის-თვის, იყო ხოლმე მოაზროვნის მდგომარეობაში მყოფი გვიდოს რობინისეული განსახიერება. გვიდო მოაზროვნე ბავშვი გახლდათ, განსჯისა და უეცარი ჩაფიქრებისათვის გაჩერილი. მას ხშირად ნახავდით თავისთვის კუთხეში მიმჯდარს, ხელზე ნიკაპჩამოდებულსა და მუხლზე იდაყვდაყრდნობილს, ყველაფრისგან გამოთიშულსა და ღრმა მედიტაციაში ჩაძირულს. ზოგჯერ შუა თამაშსაც კი გაწყვეტდა ხოლმე და, ზურგს უკან ხელებდანყობილი, შუბლშეჭმუხნილი და მინასდაშტერებული ჩერდებოდა. ასეთ ღროს რობინი მისით ინუსხებოდა და, ცოტა არ იყოს, შფოთავდა. ის უცნაურად გარინდულ თავის მეგობარს შესცეკეროდა. „გვიდო!“ — წყნარად დაუძახებდა ხოლმე. — „გვიდო!“ — მაგრამ გვიდო, ჩვეულებისამებრ, ფიქრებში ღრმად იყო წასული და არ პასუხობდა.

რობინიც არ ეშვებოდა, კვლავ ჩააცივ-დებოდა და ისე ნელა უახლოვდებოდა მას, როგორც ამას გვიდოს მდგომარეობა კარნახობდა – ის ან ნაპოლეონივით ზურგს უკან ხელებდანყობილი იდგა, ან მიქელანჯელოს ლორენცო დიდებულის პოზაში იჯდა ხოლმე და მასავით ფიქ-რებში ჩაღრმავებას ცდილობდა. თავისი ბრდლვიალა ლურჯი თვალების მზერას ყოველ რამდენიმე წამში უფროსი ბავშვი-საკენ იმისათვის მიმართავდა, რომ გაე-გო, რამდენად ზუსტად ბაძავდა, მაგრამ ცოტა ხანში მას მოუსვენრობა იპყრობდა; რობინს მედიტაცია არ მოსწონდა.

„გვიდო!“ – კვლავაც ხმამაღლა ეძახდა ის: – „გვიდო!“ – მერე ხელს წავლებდა ხოლმე და ცდილობდა, ადგილიდან დაეძრა. ზოგჯერ გვიდო ფხიზლდებოდა და შეწყვეტილ თამაშს უბრუნდებოდა, ხან კი ყურადღებას არ აქცევდა მეგობარს. ნალვლიანი და დაბნეული რობინი მარტო მიდიოდა სათამაშოდ, გვიდო კი კვლავინდებურად ჩაფიქრებული იჯდა თუ იდგა – სრულიად უტყვი. სერიო-ზულობისა და ჩაფიქრების ამ მისეულ სიმშვიდეში ბავშვს თვალები ულამაზეს უხდებოდა.

მას საკმაოდ დაშორიშორებული და მკრთალად ელვარე მონაცრისფრო, ლურჯი დიდრონი თვალები ჰქონდა – ასე უჩვეულო შავგვრემანი იტალიელი ბავშვისათვის. ისინი ყოველთვის ისეთი სერიოზული და მშვიდი არ იყო, როგორც ჩაფიქრების ამ მომენტებში. როცა თამაშობდა, ლაპარაკობდა ან იცინდა, თვალები ენთებოდა ხოლმე და აზრის ეს სუფთა, მკრთალი ტბების ზედაპირები თითქოს მზის შუქით ბრწყინავი ტალღებით ირხეოდნენ. თვალებს ზემოთ ლამაზი შუბლი მოუჩანდა – მაღალი და ვარდის ფურცელივით ამოზნექილი. სწორი ცხვირი ჰქონდა, პატარა და მეტად ნაწვეტებული ნიკაპი და კუთხეებში იდნავი სევდით დახრილი პირი.

ერთი ფოტოსურათი შემომრჩა, რომელზეც ტერასას პარაპეტზე გვერდიგ-

ვერდ მჯდომი ეს ორი ბავშვია გადა-ლებული. გვიდო თითქოს კამერისკენაა მოტრიალებული, მაგრამ ოდნავ განზე და ქვემოთკენ იხედება. ხელები მუხლის-თავზე გადაუჯვარედინებია და, ჩვეულ, მოაზროვნე, სერიოზულ და მედიტაციურ მდგომარეობაშია. ის ჩაფიქრების იმ პოზაშია, რომელშიც დიდი მხიარულებისა და შუა თამაშის შეწყვეტისას რომ ვხედავდით ხოლმე – სრულიად მოუ-ლოდნელად მისი გონება თავდავიწყებით ზეაიტაცებდა ყველაფერ მიწიერს, გაგვეცლებოდა და სიჩუმესა და თავის ლამაზ სხეულს დაგვიტოვებდა, როგორც ცარიელ სახლს, კვლავ მის დაბრუნებას რომ მოელოდა. გვიდოს გვერდით უზის პატარა რობინი, მისკენ მიბრუნებული, იმისათვის, რომ მგობარს ახედოს, სახე კამერისგან სანახევროდ შეუტრიალებია, თუმცა მისი ლოყის მრუდი ცხადყოფს, რომ ის იცინის. ცალი პატარა ხელი რა-დაცის ნიშნად ზევით აუწევია, მეორე კი სახელოზე ჩაუვლია გვიდოსთვის, თით-ქოს სათამაშოდ წასვლაზე იყოლიებსო. პარაპეტიდან ჩამოშვებული მისი ფეხები ფოტოაპარატს იმ მომენტში დაუფიქსი-რებია, როცა ის მოუთმენელობისაგან შუ-აში მოხრია. რობინი დაბლა დასაშვებად და ბალში დამალობანას სათამაშოდ ემზა-დება. იმ პატარა ფოტოსურათზე ორივე ბავშვის ყველა სახასიათო თვისება ჩანს.

„რობინი რომ რობინი არ იყოს,“ – იტყოდა ხოლმე ელიზაბეტი. – „შეიძლებოდა მესურვა, რომ გვიდო ყოფილიყო.“

და მე ვეთანხმებოდი მას, მაშინაც კი, როცა ამ ბავშვისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ჯერ კიდევ არ ვიჩენდი. გვიდო მე მესახებოდა ყველაზე მომხიბვლელ ბიჭად, ვინც კი ოდესმე მინახავს.

მარტო ჩვენ როდი ვეთაყვანებო-დით ამ ბიჭს. სენიორა ბონდი, როცა ის დროდადრო, ჩხუბსა და ჩხუპს შუა, ჩვენდამი გულითადობას იჩენდა და შემოგვივლიდა ხოლმე, გაუთავებლად მასზე საუბრობდა.

„ეს რა ლამაზი, რა ლამაზი ბავშვია!“

— იძახდა ხოლმე ის აღტაცებით. — „რა დასანანია, რომ გლეხიშვილია, მამამისს ისიც კი არ შეუძლია, ხეირიანად შემოსოს. ის რომ ჩემი შვილი იყოს, მე მას ვუყიდიდი შავი ხავერდის ტანსაცმელ ან პატარა თეთრ შარვალსა და თეთრსავე აბრეშუმის ბლუზონს, საყელო-სახელოებზე წითელარშიამოვლებულს, ან იქნებ მეზღვაურის თეთრი კოსტუმი უფრო დამშვენდებოდა. ზამთრობით კი პატარა ბეწვის ქურქში, ციყვის ტყავის ქუდსა და შესაძლოა, რუსული ბოთინკებში...“ — მისი წარმოსახვა საკმაოდ შორს მიდიოდა. — „თმას პაუვით გავუზრდიდი, ბოლოებთან ცოტას დავუხვევდი და შუბლის გასწვრივ სწორად შევაჭრიდი. ხალხი შემობრუნდებოდა და თვალს გამოგვაყოლებდა, როცა მე მას ვია ტორნაბუნიზე¹ გავიყოლებდი“.

„თქვენ ბავშვი კი არ გსურთ, არამედ მოსამართი თოჯინა ან განვრთნილი მაიმუნი“, — მინდოდა მისთვის მეთქვა, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე, არც ის ვიცოდი, როგორ იყო იტალიურად მოსამართი თოჯინა და არც იმას ვისუვებდი, ჩვენი სახლის ქირა კიდევ ხუთი პროცენტით გაზრდილიყო.

„აჲ, მე რომ მისთანა ბიჭუნა მყავ-დეს!“ — ამოიხრა მან და მორცხვად დაუშვა ქუთუთოები. — „ვაღმერთებ ბავშვებს. ხანდახან ვფიქრობ, ხომ არ ვიშვილო ვინმე? ამაზე ჩემმა ქმარმა უნდა დამრთოს ნება“.

თვალწინ საწყალი მოხუცი ჯენ-ტლმენი დამიდგა, თავის დიდ თეთრ ძალს სადავით რომ მიათრევდა და გულში გამეცინა.

„მაგრამ დამრთავს კი ნებას?!“ — განაგრძობდა სენიორა. — „არ ვიცი, დამ-რთავს ნებას თუ არა?“ — ერთი წუთით გაჩუმდა, თითქოს ახალ იდეაზე ფიქ-რობდა.

რამდენიმე დღეში, იმ დროს, რო-

ცა საუზმის შემდეგ ბალში ვისხედით და ყავას მივირთმევდით, გვიდოს მამა, ჩვეულებისამებრ, თავის დაკვრითა და ხალიასიანი მოსალმებით რომ ჩაგვივ-ლიდა ხოლმე, ჩვენს წინ შეჩერდა და საუბარი დაგვიწყო. ის იყო მშვენიერი კოხტა კაცი, არცთუ ძალიან მაღალი, მაგრამ კარგი აღნაგობის, მკვირცხლი და მოქნილი და სიცოცხლით სავსე. ჰქონდა რომაელის თხელი ყავისფერი სახე, რომელსაც მეტყველზე მეტ-ყველი ნაცრისფერი თვალების წყვილი უნათებდა. თვალები მეტისმეტად გონიერნიც კი ჩანდნენ მაშინ, როცა ის იშვიათად, მაგრამ მთელი სიწრფელითა და ბავშვური გულუბრყვილობის შემოთხაზებით ცდილობდა ან რაღაც გაენდო ჩვენთვის, ან ჩვენგან გაეგო რამე. ამ დროს გონიერება მისი თვალებით ბრწყინავდა, სახის გამომეტყველება შეიძლება არაფრისმთქმელ, უვნებო, ჭკუასუსტისაც კი დარჩენილიყო, მაგრამ ამ შემთხვევებში თვალები გასცემდა მას და მე ვიცოდი, რომ, როცა ისინი ასე გაიბრწყინებდნენ, ფხიზლად უნდა ვყოფილიყავი.

იმ დღეს, მიუხედავად ამისა, არავითარი სახიფათო შუქი არ ედგა თვალებში. მას ჩვენგან ბევრი არაფერი სურდა, ბევრი არაფერი — მხოლოდ რჩევა — მოხმარების საგანი, რომლის გაცემა (ეს მან იცოდა), როგორ აბედნიერებს ადამიანთა დიდ უმრავლესობას, მაგრამ საკითხი, რაზეც ის რჩევას გვეკითხებოდა, ჩვენთვის მეტად დელიკატური იყო: ის სენიორა ბონდის ეხებოდა. კარლოს ხშირად დაეჩივდა ჩვენთან ამ ქალზე. მოხუცი ჯენტლმენი საუკეთესო ადამიანია, გვეუბნებოდა ის, ნამდვილად საუკეთესო და კეთილი, რაც ნიშნავს, გავბედავ ვთქვა, სხვათა შორის იმასაც, რომ ის შეიძლება, ადვილად მოატყუონ, მაგრამ მისი ცოლი... მოკლედ, ქალი მხეციაო

¹ ვა ტორნაბუნი - (იტალ. *Via de' Tornabuoni*, an *Via Tornabuoni*), ცენტრალური ქუჩა ფლორენციაში.

და მას უნდა მოეყოლა ჩვენთვის მისი გაუმაძლრობის ამბები: როგორ ითხოვდა ყოველთვის პროდუქტის იმ ნახევარზე მეტს, რაც, ქირავნობის წესით, საზიაროდ ეკუთვნოდა მეპატრონეს. გლეხკაცი უჩიოდა მის იჯვნეულობას: ის სულ უპირისპირდებოდა, სულ რაღაცაში ადანაშაულებდა, ქურდობაშიც კი სდებდა ბრალს, მან მას, უპატიოსნეს კაცს (აქ მან გულზე მჯილი მიირტყა), ღირსება შეულახა. ის უჩიოდა მის წინდაუხედავ სიძუნესაც – ქალს არ სურდა, მოემარაგებინა ის საკმარისი ნაკელით, არ უნდოდა, ეყიდა მისთვის კიდევ ერთი ძროხა, უარს ეუძნებოდა საჯინიბოში ელექტრული განათების დამონტაჟებაზე და ჩვენ თანავუგრძნობდით, მაგრამ ფრთხილად, საკითხზე რაიმე ძლიერი აზრის გამოხატვის გარეშე. იტალიელებმა ხომ საოცარი მიკიბვ-მოკიბვა იციან; ისინი არავის არაფერს ეტყვიან მანამ, სანამ ბოლომდე არ დარწმუნდებიან, რომ ამის გაკეთება სწორი და აუცილებელი და, რაც მთავარია, უსაფრთხოა. ჩვენ საკმარის ხანი ვიცხოვრეთ იტალიელებთან საიმისოდ, რომ მათეული სიფრთხილე გაგვეთავისებინა. ერთადერთი, რაც კარლოს ვუთხარით, იყო ის, რომ, ადრე თუ გვიან, ჩვენი ნათქვამი ყოველი სიტყვა სენიორა ბონდის ყურამდე მიაღწევდა. რას მოვიგებდით ქალბატონთან ჩვენი ურთიერთობის გამწვავებით? – სავარაუდოდ, ქირა კიდევ თხუთმეტი პროცენტით გაგვიძვირდებოდა.

იმ დღეს ის არ ჩიოდა, უფრო გაოგნებული ჩანდა. გამოირკვა, რომ სენიორას უკითხავს მისთვის, რა აზრის იქნებოდა მის შეთავაზებაზე, ფრთხილი იტალიური ცხოვრების წესისათვის მეტად შეუთავსებელზე – ეშვილა პატარა გვიდო. კარლოს მაშინვე სურდა ეპასუხა, არავითარ შემთხვევაში, მაგრამ ასეთი პასუხი მეტისმეტად ხისტი იქნებოდა და მან ამჯობინა ეთქვა, რომ იფიქრებდა ამაზე და აი, ახლა ის ამ საკითხზე ჩვენ გვთხოვდა რჩევას.

ისე მოიქეცით, როგორც უკეთესად ჩათვლით, – უპასუხეთ ჩვენ. ეს ვუთხარით ფრთხილად, თუმცა გარკვევით მივანიშნეთ, რომ არ გვჯეროდა იმისა, რომ სენიორა ბონდი ბავშვისთვის საუკეთესო დედობილი შეიქნებოდა. კარლოც გვეთანხმებოდა. მას თან ძალიან უყვარდა ბიჭი.

„მაგრამ საქმე ისაა, რომ...“ – დაასკვნა მეტად დათრგუნვილმა. – „თუ მან ერთი გულში ჩაიდო ამ ბავშვის დასაკუთრება, ვეღარაფერი დააკავებს, ვეღარაფერი!..“

მივჩვდი, მასაც მოეწონებოდა ის აზრი, რომ ფიზიკოსებს, სანამ ატომს შეუტევდნენ, სანგვინური ტემპერამენტის უმუშევარ უშვილო ქალებზე ემუშავათ.

და როცა გავცემეროდი და ვხედავდი, როგორი შემართებით და მღერამღერით მიაბიჯებდა ის ტერასის გასწვრივ, იმაზეც ვფიქრობდი, რომ მასში, მის მოქნილ კიდურებში, იყო ძალა, მის ელვარე ნაცრისფერ თვალებში კი საკმარისი სიცოცხლე საიმისოდ, რომ გამკლავებოდა სენიორა ბონდის მოჭარბებულ სასიცოცხლო ენერგიას.

ამ ამბიდან რამდენიმე დღეში ინგლისიდან ჩემი გრამაფონი და ფირფიტების ორი თუ სამი ყუთი ჩამოგვივიდა. ეს ჩვენთვის, იმ მთის მწვერვალზე შეხიზნულთათვის, დიდი კომფორტის მაუნიებელი იყო და ამან ის ერთადერთი დანაკლისიც შეგვისო, რაც იმდროინდელ ჩვენს სულიერად ნაყოფიერ მარტოობას, სხვაგვარად, რობინსონების სრულყოფილი შვედი ოჯახის¹ კუნძულს, აკლდა – მუსიკა. იმუამად ფლორენციაში ბევრ მეღლოდიას ვერ მოისმენთ. ის დრო, როცა დოქტორმა ბერნინ² იტალიაში იმოგზაურა და იქ ახალ-ახალ ოპერებს, სიმფონიებს, კვარტეტებსა და კანტატებს დაუსრულებლად ისმენდა, ნარსულს ჩაპარებოდა. ნასულიყო ის დროც, როცა მხოლოდ სწავლულ მუსიკოსს, ბოლონიის მღვდელს, მამა მარტინის³ ექვემდებარებოდა, შეეძლო დამტკბარიყო გლეხების სიმღერებითა

და იმ მელოდიებით, მოხეტიალე დამკურელები რომ ამღერებდნენ თავიანთ საკრავებზე. წახევარკუნძულზე კვირების მანძილზე ვიმოგზაურე და, „სალომეას“ თუ ფაშისტების სიმღერის გარდა, ერთი ნოტიც არ მსმენია. ჩრდილოურ მეტროპოლისებს, მართალია, არ გააჩნიათ სხვა რამ სიმდიდრე, რაც ცხოვრებას, სასიამოვნოს თუ არა, ასატანს მაინც ხდის, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი მდიდარია მუსიკით. ეს, ალბათ, ის ერთადერთი სატყუარაა, მოტივირებულ ადამიანს იქ რომ აცხოვრებს. სხვა მიმზიდველობა – ორგანიზებული მხიარულება, ხალხი, ნაირგვარი საუბარი, სოციალური სიამენი – რა არის ისინი, ბოლოს და ბოლოს, თუ არა სულის ტყუილუბრალო ხარჯვა? ამას ემატება სიცივე, სიბნელე, ტალახი, ნესტი და სიღატაკე... არა, იქ, სადაც არ არის დარჩენის აუცილებლობა, მუსიკა შეიძლება გახდეს ერთადერთი წამახალისებელი და, ედისონის გამოგონების წყალობით, ახლა უკვე შეიძლება, ყუთით გადავიტანოთ და მივიღოთ ის, რასაც მარტოხელა კაცი ისურვებს. ბენინთან,¹ ნენიტენთან² ან ტაუზართან³ საპარაშიც კი რომ ცხოვრობდეთ, იქაც შეიძლებთ მოისმინოთ მოცარტის კვარტეტები და კარგად ტემპერირებული კლავირის რჩე-

ულები, მეხუთე სიმფონია და პრამსის საკლარნეტო კვინტეტი, პალესტრინას საგალობლები.

კარლო, რომელიც თავისი ჯორშებ-მული ურიკით დაბლა ამანათის ამოსატანად დაეშვა, ამ მოწყობილობამ მეტად დააინტერესა.

„კაცს შეუძლია კვლავაც მოისმინოს მუსიკა,“ – თქვა მან, როცა მიყურებდა, როგორ ვიღებდი ყუთიდან გრამაფონ-სა და ფირფიტებს. – „ყველაფერს ვერ გასწვდები.“

„და მაინც“, – გავიფიქრე მე. კარლო თავისი ძალებით ბევრს ახერხებდა. თბილ ლამებში ჩვენ ვისმენდით ხოლმე, როგორ უკრავდა ის გიტარაზე სახლში, კართან მიმჯდარი და რა ნაზად მღეროდა; უფროსი ბიჭი ხმამაღლა აუდერებდა მელოდიას მანდოლინაზე, ზოგჯერ მას მთელი ოჯახი უერთდებოდა და მათი ვნებიანი, გულიდან ამომავალი სიმღერა ავსებდა სიბნელეს. მეტწილად პიედიგ-როტას⁴ სიმღერებს მღეროდნენ: ხმები ნელ-ნელა იშლებოდა ნოტიდან ნოტზე, ნელ-ნელა ძლიერდებოდა, უეცარად მკვეთრად იცვლიდა ტონს და ქვითინის ხმაზე გადადიოდა. ეს ყველაფერი ჩვენს შორისალოს და, ვარსკვლავებს ქვემოთ, სასიამოვნოდ აღიქმებოდა.

1 რობინსონების სრულყოფილი შვედი ოჯახი – შვეიცარიელი პასტორის იოჰან დევიდ ვისის (1743-1818) პოპულარული რომანი „რობინსონების შვეიცარული ოჯახი“ (გერმ. *Der Schweizerische Robinson*), რომელიც პირველად 1812 წელს გამოქვეყნდა. წიგნი მოგვითხრობს შვეიცარიულ ოჯახზე, რომლის ავსტრალიაში, პორტ-ჯეკსონში, მიმავალი საზღვაო ხომალდი გზად ოსტ-ინდოეთში დაიმსხვრა. რომანი შთაგონებული იყო დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოთი“, თუმცა მის ავტორს სურდა, შეეთხა ამბავი, რომელსაც ექნებოდა შემეცნებითი და ეთიკური გაკვეთილების დანიშნულება მისი შვილებისათვის. რომანის გმირი მამა თავის შვილებს სწორედ ასეთ მნიშვნელოვან გაკვეთილებს უტარებს.

2 დოქტორი ბიორნი – ჩარლზ ბიორნი (1726-1814), ინგლისელი კომპოზიტორი, მუსიკის ისტორიოსი და ორლანდისტი. 1770 და 1772 წლებში ორჯერ იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში, რომელთა შორის იტალიაც იყო. ამ მოგზაურობათა შედეგებზე გამოაქვეყნა ორი წიგნი მუსიკის იმუამინდელი მდგომარეობის შესახებ, რომელთაც საფუძვლიანი აღიარება მოიპოვეს.

3 მამა მარტინი – ჯოვანი ბატისტა მარტინი (1706-1784), იტალიელი კომპოზიტორი, მუსიკოლოგი, პედაგოგი, კაპელმეისტერი, მომღერალი, მევიოლინე და კლავისინისტი. ცნობილია, როგორც „პადრე მარტინი“.

„სანამ ომი დაიწყებოდა,“ – განაგრძო მან. – „კარგ დროს (კარლო იმედოვნებდა და სჯეროდა, რომ კარგი დრო ისევ დაბრუნდებოდა და მათი ცხოვრებაც მალე ისევე გაიაფდებოდა და გაიოლდებოდა, როგორც ეს წყალდიდობამდე იყო) მე პოლიტეამაში⁵ დავდიოდი ხოლმე და ვისმენდი ოპერებს. აჲ, რა დიდებული იყო ისინი, მაგრამ ახლა ამას ხუთი ლირა სჭირდება“.

„ძალიან ძვირია“, – დავეთანხმე.

„ტრუბადური“ გაქვთ? – მკითხა მან.

მე თავი გავაქნიე.

„რიგოლეტო?“

„ვშიშობ, რომ არა“. .

„ბოჰემა?“, „გოგონა დასავლეთიან?“, „ჯამბაზები?“

კარლოს თანდათან იმედს ვუცრუ-ებდი.

„არც „ნორმა?“, „სევილიელი?“

ვუთხარი, რომ მქონდა „დონ ჟუანის“ დუეტი „La ci darem“⁶ ბატისტინის⁷ შესრულებით.

ის დამეთანხმა, რომ ეს კარგი მუსიკა იყო, მაგრამ შევამჩნიე, რომ მას ის დიდად არ ხიბლავდა. მაინც რატომ? – გაუჭირდა აეხსნა.

„ის არ ჰგავს „ჯამბაზებს,“ – თქვა მან ბოლოს.

„მგზნებარე არაა?“ – მივაშველე სიტყვა, რომელიც, დარწმუნებული ვიყავი, მან ისედაც იცოდა, ვინაიდან ყოველ იტალიურ პოლიტიკურ გამოსვლა-სა თუ პატრიოტულ მოწინავე სტატია-ში გვხვდებოდა.

„კი, არაა მგზნებარე“, – დამეთანხმა ის.

და მე მაშინ გავიაზრე, რომ სწორედ ეს იყო განსხვავება „ჯამბაზებსა“ და „დონ ჟუანს“ შორის. მგზნებარე და არამგზნებარე – აი, რით განსხვავდება თანამედროვე მუსიკალური გემოვნება ძველისგან. საუკეთესოს დამახინჯება, ვფიქრობდი მე, ყველაზე საშინელი რამაა. ბეთჰოვენი თავისი ინტელექტუალური და სულიერი ვნებით მუსიკას გზნებას აძლევდა. ეს დღემდე გაგრძელდა, მაგრამ უფრო პატარა კაცების ვნებით. ჩემთვის ვფიქრობდი, რომ ბეთჰოვენი ირიბად არის პასუხისმგებელი „პარსიფალზე“,¹ „ჯამბაზებსა“² და „ცეცხლის პოემაზე“³, კიდევ უფრო მეტად „სამსონსა და დალილაზე“⁴ და „Ivy (Cling To Me)“⁵. მოცარტის მელოდიები შეიძლება ბრნყინვალეა, დაუვიწყარი, დამასწულებელი, მაგრამ ისინი არ აღაგზნებს, ქარსა და ცეცხლში არ გხვევთ, მსმენელს ეროტიკულ ექსტაზი არ აგდებს.

1 ბენინი – ბენინი (ფრანგ. Bénin), ბენინის რესპუბლიკა, სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში.

2 ნენიტენი – (ფრანგ. Nuneaton) • ქალაქი ინგლისში, იორკშირის საგრაფოში.

3 ტაუზარი – ტაუზარი, ტოზიორი (არაბ. توزر • ფრანგ. Tozeur) • – ქალაქი ტუნისში, ამავე სახელწილების ვილაიეთის დედაქალაქი.

4 პიედიგროტა – უბანი ნეაპოლში, მერჯელინას კვარტალში, რომელიც მდებარეობს პიედიგროტას (სიტყვასიტყვით „ნიშნავს მღვიმის პირას“) ღვთისმშობლის ტაძრის სიახლოესს, ანტიკური რომაული გვირაბის შესასვლელთან. ცნობილია ყოველწლიური ფესტივალით, რომელმაც სათავე დაუდო პოპულარული ნეაპოლური სიმღერის კონკურსს კომერციულ საწყისებზე.

5 პოლიტეამა – თეატრი პალერმოში (იტალ. Teatro Politeama, სრული სახელწილებაა • – Teatro Politeama Garibaldi).

6 La ci darem – (იტალ. Lâ ci darem la mano), დონ ჟუანისა და ზერლინას დუეტი ვ. ა. მოცარტის ოპერიდან „დონ ჟუანი“ (1787).

7 ბატისტინი – მატია ბატისტინი (1856-1928), იტალიელი საოპერო მომღერალი, ბარიტონი, ბელკანტოს ოსტატი.

კარლოსა და მის უფროს შვილებს ჩემმა გრამაფონმა, როგორც მივხვდი, იმედი გაუცრუა. ამის მიუხედავად, კარგმა აღზრდამ წება არ მისცა, ეს ასე ლიად ეთქვათ. ორიოდე დღის შემდეგ მათ უბრალოდ შეწყვიტეს ამ მოწყობილობითა და იმ მუსიკით დაინტერესება, რასაც ის უკრავდა. ისინი მას გიტარასა და თავიანთ სიმღერას ამჯობინებდნენ.

აი, გვიდო კი ძალიან დაინტერესდა. მას მოეწონა არა მშვენიერი საცეკვაო მელოდიები, რომელთა მკვეთრ რიტმზე ჩვენს პატარა რობინს უყვარდა ოთახში ტკეპნა-ტკეპნით წრეზე სვლა და აცხა-დებდა, რომ ნარმოადგენდა ჯარისკაცთა მთელ პოლკსა და არა მის ერთ რომელიმე პერსონას. პირველი ფირფიტა, რომელიც მან მოისმინა, როგორც მახსოვეს, იყო ნელი ნაწილი ბაზის რე მინორული კონცერტისა ორი ვიოლინოსათვის. მისი დისკი ფირსაკრავის წრეზე მაშინვე დავდე, როგორც კი კარლომ დამტოვა. მივიჩნიე, რომ ის იყო, ასე ვთქვათ, ყველაზე მელოდიური ნაწარმოები, რითაც კი შემეძლო გამომეფხილებინა დიდი ხნის გამოფიტელი გონება – კონცერტის ყველაზე ცივი და ყველაზე მკაფიო ნაწილი. მუსიკა ის-ის იყო დაინტერეს და მისი წმინდა და მელან-

ქოლიური სილამაზე ყველაზე რთული ინტელექტუალური ლოგიკის კანონების შესაბამისად იშლებოდა, რომ ორი ბავშვი, ჯერ გვიდო და მერე პატარა რობინი (სუნთქვაშეკრული რომ მოჰყვებოდა გვიდოს), ხმამაღალი ლაპარაკით ლოჯიდან ოთახში შემოვიდა.

გვიდო გრამოფონს მიუახლოვდა და მის გვერდით გაუნძრევლად გაჩერდა, უსმენდა. თავისი ლია ლურჯ-ნაცრის-ფერი თვალები ფართოდ გაეღო; რამდენიმე ნერვიული უესტის შემდეგ, რაც მისთვის ხშირად შემიმჩნევია, ის ქვედა ტუჩის ცერა და საჩვენებელი თითებით იძიგნიდა. როგორც ჩანს, სუნთქვა შეეკრა, რადგან ცოტა ხანში, მუსიკის დასრულებიდან რამდენიმე წუთში შევნიშნე, რა ხმაურით ამოისუნთქა და ისევ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერის ყლუპი. წუთით მე შემომხედა – შეკითხვის, გაოცებისა და აღტაცების გამომხატველი მზერით – გაიღიმა, მერე ნერვიულად შეკრთა და კვლავ შეუდარებელი ბერების წყაროსკენ შეპრუნდა. რობინმაც მონურად მიბაძა თავის უფროს მეგობარს – გრამოფონის წინ ზუსტად იმავე პოზაში გაჩერდა და დროდადრო გვიდოს შესცეროდა იმაში დასარწმუნებლად, რომ, ტუჩის ძიგნის ჩათვლით,

1 „პარსიფალზე“ – „პარსიფალი“, გერმანელი კომპოზიტორის რიპარდ ვაგნერის (1813-1883) ოპერა მე-13 საუკუნის გერმანული პოეტის ვოლფრამ ფონ ეშენბახის ამავე სახელწოდების თხზულების მიხედვით.

2 „ჯამბაზებსა“ – „ჯამბაზები“, იტალიელი კომპოზიტორის რუჯერო ლეონკავალოს (1857-1919) ორმოქედებიანი ოპერა პროლოგით ფრანგი პოეტის კატულ მენდესის (1841-1909) პიესის („ტაბარინელი ქალი“, 1887 წ.) მიხედვით. ოპერის მსოფლიო პრემიერა გაიმართა 1892 წლის 21 მაისს მილანში.

3 „ცეცხლის პოემაზე“ – „ცეცხლის პოემა“, იგივე „პრომეთე“, რუსი კომპოზიტორის, ალექსანდრ სკრიაბინის (1875-1915) ერთნაწილიანი სიმფონიური თხზულება პრომეთეს ანტიური მითის მიხედვით, რომელშიც გაერთიანებულია სიმფონიური პოემის, საფორტეპიანო კონცერტისა და კანტატის ნიშნები.

4 „სამსონსა და დალილაზე“ – „სამსონი და დალილა“, ფრანგი კომპოზიტორის, კამილ სენსანის (1835-1921) სამმოქმედებიანი ოპერა ძველი აღქმის სიუჟეტზე.

5 „Ivy (Cling To Me)“ – ამერიკელი მუსიკოსების აიშემ ჯონსისა (1894-1956) და ჯიმი ჯონსონის პოპულარული მუსიკალური კომპოზიცია ალექს როჯერსის ლექსზე (1922).

ყველაფერს მასავით აკეთებდა, დაახლოებით ერთ წუთში კი მან მოიწყინა.

„ჯარისკაცები“, – თქვა ჩემკენ შემობრუნებულმა, – „მე ჯარისკაცები მინდა, როგორც ლონდონში“.

მას რეგტამი და ოთახის ირგვლივ მხიარული მარშები ახსენდებოდა.

ტუჩთან თითო მივიტანე. – „მერე“, – ნავიჩურჩულე.

რობინი გაჩუმდა. სიმშვიდე მან, ალბათ, ასე ოც წამს შეინარჩუნა, შემდეგ გვიდოს ხელზე მოქაჩა და დაიყვირა: „Vieni, Guido! Soldiers. Soldati. Vieni giocare soldati“¹.

და მაშინ მე პირველად ვნახე აღელვებული გვიდო. „მომშორდი!“ – გამოსცრა გაბრაზებულმა, რობინს წავლებულ ხელზე დაარტყა და უხეშად მოიშორა, მერე კი უფრო ახლოს მიეყრდნო ფირსაკრავს, თითქოს ასე აინაზღაურებდა იმას, რაც ამ შეწყვეტამ გამოატოვებინა.

რობინმა გაოცებით შეხედა გვიდოს. მისგან ასეთი რამ არ ახსოვდა, შემდეგ ტირილს მოჰყვა და დასამშვიდებლად ჩემთან მოვიდა.

როგორც კი მუსიკა მიწყდა და გვიდოს გონიერა კვლავ გაუთავისუფლდა რობინზე დასაფიქრებლად, ის ისეთივე საყვარელი გახდა და ისე გულწრფელად შეინანა თავისი საქციელი, რომ ალარ იცოდა, რა ექნა. ბავშვები რომ შერიგდნენ, ვკითხე, როგორ მოენონა მუსიკა. მან მიპასუხა, რომ, მისი აზრით, ის ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ *bello* ხომ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა, წამდაუნუმ რომ ხმარობნ იტალიელები.

„რა მოგეწონა ყველაზე მეტად?“ – ჩავაცივდი გვიდოს. მეტად ნასიამოვნები ჩანდა და ამიტომაც დავინტერესდი, მსურდა გამეგო, რამ მოახდინა მასზე შთაბეჭდილება.

ერთ წუთს ის ჩუმად იდგა, ჩაფიქრე-

ბული და მოლუშული. „რა და...“ – თქვა მან ბოლოს. – „აი ის პატარა ნაწყვეტი, ასე რომ წავიდა“, – და მან წაიმლერა ერთი გრძელი ფრაზა. – „და მერე კი-დევ ის, იმავდროულად რომ უდერდა, მაგრამ რა არის ისინი?“, – გაწყვიტა თავისთვის. – „მასავით რომ მდერიან?“

„ვიოლინოები ჰქვია მათ,“ – ვუთხარი მე.

„ვიოლინოები“, – გვიდომ თავი და-აქნია. – „კარგი, სხვა ვიოლინო ასე მლეროდა“, – მან კვლავ წაიმლერა. – „რატომ არ შეიძლება ერთი და იგივე სიმღერა ერთდროულად? და რა არის ამ ყუთში? რა გამოსცეს ასეთ ხმას?“ – ბავშვმა კითხვები დამაყარა.

შეძლებისდაგვარად სრულად ვუპასუხე, ვუჩვენებდი პატარა სპირალებს დისკზე, ნემსს, დიაფრაგმას. გავახ-სენე, როგორ ირხევა გიტარის სიმი, როცა ვინმე ჩამოჰკრავს მასზე. „ბგე-რა ჰქვის რხევაა, – ვეუბნებოდი და შევეცადე ამებსნა, როგორ იქმნება ეს რხევები შავ დისკზე. გვიდო მეტად სე-რიოზულად მისმენდა და დროდადრო თავს მიენევდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მან მეტად კარგად გაიგო ყველაფერი, რაც ვუთხარი.

ამ დროს კი საწყალი რობინი ისე საშინალად მოლუშულიყო და დანალ-ვლიანებულიყო, რომ მე ორივე ბავშვი სასწრაფოდ ბაღში სათამაშოდ ჩავუშვი. გვიდო მორჩილად გაემართა, მაგრამ მივხვდი, რომ მას შინ დარჩენა და კვლავ მუსიკის მოსმენა ერჩივნა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ბავშვებს გავხედე, დავინახე გვიდო, რომელიც დიდი დაფინი ბუჩქის ბნელ სილრმეში შემალულიყო და ლომივით ღრიალებდა, რობინი კი იცინდა, მაგრამ ცოტა ნერვიულად, თითქოს ეშინოდა, ეს საშინელი ხმები ბოლოს ნამდვილ ლომის ღრიალში არ

¹ Vieni, Guido! Soldiers. Soldati. Vieni giocare soldati“ - (იტალ.) „მოდი, გვიდო! ჯარისკაცები. ჯარისკაცები. დავუკრათ ჯარისკაცები.“

გადაზრდილიყო. ის ჯოხით ებრძოდა ბუჩქს და გაჟყვიროდა: „გამოდი, გამოდი, უნდა გესროლო!“

საუზმის შემდეგ, როცა რობინი შუადღის ძილისთვის კიბეზე ამოვიდა, გვიდო ისევ გამოჩნდა. „შეიძლება ახლა მოვუსმონო მუსიკას?“ – მკითხა მან. ის ერთი საათი იჯდა ფირსაკრავის წინ, თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და მუსიკას უსმენდა. მე დისკს დისკზე ვცვლიდი დასაკრავად.

ამ დროიდან მოყოლებული, ის ყოველ შუადღეს მოდიოდა ხოლმე. სულ მალე ფირფიტების მთელი ჩემი კოლექცია შეისწავლა, იცოდა, რა მოსწონდა და რა არა, სასურველი მუსიკის მთავარ თემას წაიმლერებდა ხოლმე და ასე მთხოვდა მის დაკვრას.

„მე ის არ მომწონს“, – თქვა მან შტრაუსის „ტილ უილენშპიგელზე“¹. – „იმას ჰეგავს, ჩვენ რომ სახლში ვმლერით. იცით? განა მართლა მოგვწონს, მაგრამ, როგორღაც მაინც ვმლერით. გესმით?“ – მან შეშტოთებითა და მუდარით შემოგვხედა, თითქოს გვეხვეწებოდა მიგმხვდარიყავით, რას გულისხმობდა და ამით ის ახსნისგან გაგვეთავისუფლებინა. ჩვენ თავი დავუქნიეთ. გვიდომ განაგრძო: – „და კიდევ,“ – თქვა მან. – „არ ჩანს, რომ დასასრული დასაწყისს ეხამება. ეს არ ჰეგავს იმას, რაც თქვენ პირველად დაუკარით“, – და ბახის რე მინორული კონცერტის ნელი ნაწილიდან ორიოდე ტაქტი წაიმლერა.

„ეს არ არის იგივე, როცა ვამბიბთ:“, – ვუთხარი მე. – „ყველა პატარა ბიჭს უყვარს თამაში. გვიდო პატარა ბიჭია. ამიტომ გვიდოს უყვარს თამაში“. ის მოილუშა. „დიახ, ალბათ ასეა,“

– თქვა ბოლოს. – „ის, რაც პირველად დაუკარით, უფრო ამას ჰეგავს, მაგრამ თქვენ უკეთ იცით...“ – დაამატა ჭეშმარიტების გადამეტებული პატივისცემით. – „მე ისე ძლიერ არ მიყვარს თა-

მაში, როგორც რობინს“.

მას არ უყვარდა ვაგნერი; არც დებიუსი. როცა მე დებიუსის არაბესკების ფირფიტა დავუკარი, იკითხა: „გამუდმებით ერთსა და იმავეს რატომ გვეუბნება? უნდა გვითხრას რაღაც ახალი, გააგრძელოს ან გაზარდოს სათქმელი. ნუთუ არ შეუძლია რამე განსხვავებულზე იფიქროს?“ – „Apres-Midi d'un Faune“-ს კი ასე მკაცრად არ აფასებდა: – „ამათ ლამაზი ხმები აქვთ“, – თქვა მან.

მოცარტმა კი აღაფრთოვანა და გადარია. დუეტმა „დონ უუანიდან“, რასაც მამამისი ნაკლებ მგზნებარეს უწოდებდა, გვიდო მოაჯადოვა, თუმცა უპირატესობას ის კვარტეტებს და საორკესტრო პიესებს აძლევდა.

„მე მუსიკა სიმღერაზე მეტად მიყვარს,“ – თქვა მან.

ადამიანთა უმეტესობას, ჩემი აზრით, მუსიკას სიმღერა ურჩევნია. მათ მეტად აინტერესებთ შემსრულებელი, ვიდრე ის, რასაც ასრულებს, უპიროვნო ორკესტრიც უფრო ნაკლებად, ვიდრე სოლისტი. პიანისტთან შეხვედრა პიროვნული ურთიერთობაა და სოპრანოს მაღალი დოც პიროვნული ნოტია. ამ შეხვედრის, ამ ნოტის გამოა სწორედ, საკონცერტო დარბაზებს რომ ავსებს მსმენელი.

გვიდოს კი მუსიკა ერჩივნა. მართალია, მოსწონდა „La ci darem“, „Deh vieni alla finestral“, ისეთი სიყვარულით უყვარდა „Che soave zefiretto“, რომ თითქმის ყველა ჩვენი კონცერტი ამებით იწყებოდა, მაგრამ მაინც სხვა ნაწარმოებებს ამჯობინებდა. „ფიგაროს“ უვერტიურა იყო მისი ერთ-ერთი საყვარელი მუსიკა. იქ დასაწყისშივე არის ერთი პასაჟი, სადაც პირველი ვიოლინოები უეცრად აღწევენ დიდი სიმხიარულის პიკს. როცა მუსიკა ამ ადგილს უახლოვდებოდა, ვხედავდი, როგორ ნელ-ნელა ეღიმებოდა, როგორ უბრწყინდებოდა სახე, როგორ შლიდა ის

1 „ტილ უილენშპიგელზე“ – „ტილ უილენშპიგელის მხიარული თავგადასავალი“, გერმანელი კომპოზიტორის რიჰარდ შტრაუსის (1864-1949) სიმფონიური პოემა.

ხელებს და სიამოვნებისაგან ხმამაღლა იცინოდა.

ისე მოხდა, რომ იმავე ფირფიტის მეორე მხარეს ჩაწერილი იყო ბეთჰოვენის „ეგმონტის“ უვერტიურა. მას ის „ფიგაროზე“ მეტადაც კი უყვარდა.

„მას მეტი ხმები აქვს“, – განმარტა გვიდომ და აღმაფრთოვანა თავისი კრიტიკის სიმწვავით; მართლაც, სწორედ მდიდარი ორკესტრირების გამო უსწრებს „ეგმონტი“ „ფიგაროს“.

ყველაზე ძლიერ კი ის „კორიოლანოს“ უვერტიურამ შეძრა. მეზუთე სიმფონიის მესამე ნაწილი, მეტვიდეს მეორე ნაწილი, საიმპერატორო კონცერტის ნელი ნაწილი – გულთან ყველაზე ახლოს ესენი მიჰქონდა, მაგრამ არაფერს აღუგზნია ის იმაზე მეტად, ვიდრე „კორიოლანოს“. ერთ დღესაც მან მაიძულა ზედიზედ სამჯერ თუ ოთხჯერ დამეკრა ის. შემდეგ კი თავი დაანება.

„მგონი, მომბეზრდა ამის მოსმენა“, – თქვა მან.

„რატომ?“

„ეს ძალიან... ძალიან...“ – ყოყმანობდა. – „ძალიან დიდია“, – თქვა ბოლოს. – „კარგად ვერ ვიგებ მას. სჯობს დამიკრათ აი ეს“, – და რე მინორული კონცერტიდან ფრაზა ნაიმღერა.

„ეს უფრო მოგწონს?“, – შევეკითხე მე.

მან თავი გააქნია. – „არა, მთლად ასე არ არის, მაგრამ უფრო ადვილია.“

„უფრო ადვილი?“ – ბახის მიმართ ნათქვამი ეს სიტყვა მეტად მეუცნაურა.

„მე ეს უკეთ მესმის“. „

ერთ შუადღეს, შუა „კონცერტში“ რომ ვიყავით, სენიორა ბონდი გამოგ-

ვეცხადა. ის ბავშვს მეტისმეტად ეალერსებოდა, კოცნიდა, თავზე ხელს უსვამდა, მის გარეგნობას გადაჭარბებით აქებდა. გვიდო მას ეცლებოდა.

„და გიყვარს მუსიკა?“ – ჰერითხა მან. ბავშვმა თავი დაუქნია.

„ჩემი აზრით, ის დიდი ნიჭითაა დაჯილდოებული“, – ვთქვი მე. – „ყოველ შემთხვევაში, მას აქვს საოცარი სმენა და მოსმენისა და კრიტიციზმის ისეთი უნარი, რაც ამ ასაკის ბავშვისთვის საკვირველია. ვფიქრობთ, პიანინო ვუქირავოთ, რომ ისნავლოს“.

ერთი წუთში მე თავს ვიწყევლიდი იმის გამო, რომ ზედმეტი გულწრფელობით ვაქე ბიჭი. ეს იმიტომ, რომ სენიორა ბონდი მაშინვე შემენინააღმდეგა და იმის მტკიცებას მოჰყვა, რომ, თუკი მას ბავშვის აღზრდის ნებას დართავდნენ, ის საუკეთესო მასწავლებლებს აუყვანდა, ნიჭს განუვითარებდა და მისგან ვუნდერკინდსა და სრულქმნილ მაესტროს გამოიყვანდა. მაშინ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის თავის თავს დედის როლში ჭვრეტდა. წარმოიდგენდა, როგორ იჯდა შავი ატლასის კაბასა და მარგალიტებში გამოწყობილი უზარმაზარი სტენივეეს როიალის ახლოს იმ დროს, როცა ანგელოზი გვიდო, ლორდ ფონტლერიოსავით¹ ჩაცმული, ლისტსა და შოპენს აგუგუნებდა მაყურებელთა სავსე დარბაზის აღსაფრთოვანებლად. ის ჭვრეტდა ნაირგვარ თაიგულს, ჩაესმოდა ტაშისცემის ხმა და ქების სიტყვები, რომლითაც ლამის ცრემლმორეული ვეტერანი მაესტროები პატარა გენიოსის მოვლინებას ესალმებოდნენ.

1 „Apres-Midi d'un Faune“ – კ. დებიუსის პრელუდია სიმფონიური ორკესტრისათვის „ფანის ნაშუადღევი“.

2 „Deh vieni alla finestral“ – დონ უუანის არია ვ. ა. მოცარტის ოპერიდან „დონ უუანი“. „

3 „Che soave zefiretto“ – დუეტინო ვ. ა. მოცარტის ოპერიდან „ფიგაროს ქორწინება“. „

4 „ეგმონტი“ – ლ. ვ. ბეთჰოვენის მუსიკა ი. ვ. გოეთეს ტრაგედიისათვის „ეგმონტი“ (1810).

5 „კორიოლანოსის“ – ლ. ვ. ბეთჰოვენის უვერტიურა „კორიოლანოსი“ (1807).

ბავშვის დასაკუთრება მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ და სანუკაროცნებად გადაქცეულიყო.

„შენ მას საღერღელი კიდევ უფრო აუშავე“, – მითხრა ელიზაბეტმა, როცა სენიორა ბონდი წავიდა. – „შემდეგში უმჯობესია, უთხრა, რომ შეცდი და პატარა ბიჭი სულაც არ არის დაჯილდოებული მუსიკალური ტალანტით“.

თავის დროზე პიანინმაც მოაწინა. მას შემდე, რაც წინასწარი ინსტრუქციის მინიმუმი გავაცანი, გვიდოს ნება დავრთე, გაეხსნა იგი. მან თავისთვის იმ მელოდიების სმენით აწყობა დაიწყო, რომლებიც მოსმენილი ჰქონდა და მათულ ჰარმონიებს აღადგენდა. რამდენიმე გაკვეთილში კი მუსიკალური ნოტაციის საფუძვლები აითვისა და, მართალია, ძალიან ნელა, მაგრამ მაინც კითხულობდა მარტივ პასაუს ფურცლიდან. სრულყოფილი კითხვა ჯერ კიდეც არ შეეძლო, ასოებს როგორლაც ერეოდა, აი, მთელი სიტყვებისა და წინადადების კითხვა კი ჯერ არ ესწავლა.

შემთხვევით ვისარგებლე და შემდევ ჯერზე, როცა სენიორა ბონდი ვნახე, შევეცადე დამერწმუნებინა, რომ გვიდომ მოლოდინი გამიცრუა და სინამდვილეში მას არავითარი მუსიკალური ნიჭი არ გააჩნდა, მან კი განგვიცხადა, რომ ამის მოსმენამ მეტად დაამწუხრა, მაგრამ მივხვდი, ჩემი წათქვამი სულაც არ დაუჯერებია. სავარაუდოდ, იფიქრა, რომ ჩვენც მასავით მოგვხიბლა ბავშვა

და თავადვე გვსურდა პატარა ვუნდერ-კინდის დასაკუთრება მანამ, სანამ ის შეძლებდა ამის პრეტენზია განეცხადებინა. მან ჩათვალა, რომ იმას წავართმევდით, რასაც ლამის თავის ფეოდალურ უფლებად მიიჩნევდა. ბოლოს და ბოლოს, განა ისინი მისი გლეხები არ იყვნენ? თუკი ვინმეს უნდა ეხეირა ამ ბავშვის შვილებით, ეს უეჭველად თვითონ უნდა ყოფილიყო.

ტაქტიკურად, დიპლომატიურად განახლა კარლისთან მოლაპარაკებები. ის კარლოს შეახსენებდა, რომ ბიჭს გააჩნდა გენია და ეს მას უთხრა უცხოელმა ჯენტლმენმა, იმ კაცმა, რომელიც ამაში წამდვილად არ შეცდებოდა. თუ კარლო წებას დართავს მას, იშვილოს ბავშვი, ის მას ასწავლის. გვიდოდიდი მაესტრო გახდება და მას არგენტინასა და შეერთებულ შტატებში, პარიზსა და ლონდონში მიიწვევენ. ის გამოიმუშავებს მილიონებს. გაიხსენოს თუნდაც კარუზო. ამ მილიონების წანილი, როგორც მან განუმარტა, ცხადია, კარლის ერგება, მაგრამ, მანამ, სანამ მილიონების ცვენა დაიწყება, ბიჭს უნდა ასწავლონ. სწავლა კი ძალიან ძვირია. როგორც მისი შვილის, ასევე კარლოს ინტერესებშია, წება დართოს ქალს, ბავშვის აღზრდას მოჰკიდოს ხელი. კარლომ ისევ უპასუხა, რომ კიდევ იფიქრებდა და რჩევისათვის კვლავ ჩვენ მოგვმართა. ჩვენ ვუთხარით მას, რომ ყველა შემთხვევაში აჯობებდა

1 ლორდი ფონტლერო (ინგ. Little Lord Fauntleroy) – ანგლო-ამერიკელი მწერალი ქალისა და დრამატურგის, ფრენსის ელიზა ჰოჯსონ ბიორნეტის (1849-1924) პირველი საბავშვო რომანის „პატარა ლორდი ფონტლეროის“ (1885-1886) გმირი. ინგლისიდან ამერიკაში ემიგრირებული კაპიტან ეროლის შვიდი წლის ვაჟიშვილი სედრიკი მამის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობს დედასთან. ერთ დღეს ცნობილი ხდება, რომ იგი აღმოჩნდა გრაფ დორინგორტის ერთადერთი მემკვიდრე მისი ორი შვილის გარდაცვალების შემდეგ და ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ინგლისში, რათა გახდეს ლორდი ფონტლერო. რომანის რეჯინალდ ბერჩისეულმა ილუსტრაციებმა სათავე დაუდო შესაბამის მოდას და ძლიერი გავლენა მოახდინა საშუალო კლასის ბავშვების ოფიციალურ ჩაცმულობაზე. ფონტლეროის კლასიკური კოსტიუმი შედგებოდა შავი ხავერდის ერთბორტიანი სერთუკისაგან (წინ გამლილი მომრგვალებული კალთებით), ასეთივე მუხლებამდე შარვლისა და გოფრირებული მაქმანის დიდსაყელოიანი პერანგისაგან.

ცოტა ხანს მოეცადა, რათა გვენახა, როგორ განვითარდებოდა ბავშვი.

მიუხედავად ჩემ მიერ სენიორა პონ-დისთვის საწინააღმდეგოს მტკიცებისა, გვიდო ბრწყინვალედ ვითარდებოდა. ყოველ შუადღეს, როცა რობინი იღვიძებდა, ის მოდიოდა თავისი კონცერტისა გაკვეთილისათვის. მან საუცხოოდ გაართვა თავი ნოტების კითხვას. მისი პატარა თითები სულ უფრო ძლიერნი და მოქნილნი ხდებოდნენ, მაგრამ მე იმან უფრო დამაინტერესა, რომ ბიჭმა საკუთარი პატარ-პატარა ნაწარმოებების შეთხზვა დაიწყო. მისი დაკრულიდან რამდენიმე მათგანი ჩავიწერე კიდეც და დღემდე მაქს. მეტად მეუცნაურა ის, რომ, როგორც შემდეგ გავიაზრე, მათი უმრავლესობა კანონები იყო. ის ძალიან გაიტაცა კანონებმა. როცა მე გვიდოს ამ ფორმის პრინციპები ავუხსენი, ბიჭი მოიხიბლა.

„ლამაზია“, — თქვა თაყვანებით. — „ლამაზი, ლამაზი და ასე ადვილი!“

კვლავ გამაოცა ამ სიტყვამ. კანონი, კაცმა რომ თქვას, სულაც არ არის ადვილი. იქიდან მოყოლებული, ის დროის უმეტეს ნაწილს პიანინოსთან ატარებდა და და გასართობად პატარა კანონებს ქმნიდა, მაგრამ მუსიკის სხვა ფორმების თხზვაში მას ისე არ გამოიჩინია თავი, როგორც მე ვიმედოვნებდი. მან შექმნა და არანუირება გაუკეთა ორიოდე პატარა, საზეიმო არიას, რომლებიც სამხედრო მარშის სულისკვეთების ჰიმნისმაგვარი რამდენიმე მხიარული ნაწილისაგან შედგებოდა. ეს თხზულებანი არაჩვეულებრივი იყო ბავშვის ქმნილებების კვალობაზე; ჩვენ ხომ ათ წლამდე ყველანი გენიოსები ვართ, მე კი ვიმედოვნებდი, რომ გვიდო ის ბავშვი იყო, ვინც გენიოსობას ორმოცი წლის ასაკში აპირებდა. რაც არაჩვეულებრივია ჩვეულებრივი ბავშვისათვის, მისთვის სულაც არ იყო არაჩვეულებრივი. „არა, მოცარტი ის ნამდვილად არ არის!“ — შევთანხმდით ჩვენ, როცა მისი პატარა

პიესები მოვისმინეთ.

უნდა გამოვტყიდე, რომ გავნაწყენდი. მეჩვენებოდა, რომ გვიდო მოცარტზე ნაკლები იყო და ამასთან შეგუება მეტად მემძიმა.

ის არ იყო მოცარტი. მართლაც არა, მაგრამ, მივხვდი, რომ იყო ყველასგან განსხვავებული ვინმე. ამაში მე ზაფხულის პირის ერთ დილას დავრწმუნდი. მეჩვენი დასავლური აივნის თბილ ჩრდილში ვიჯექი, ვმუშაობდი. გვიდო და რობინი ქვემოთ, პატარა ჩაკეტილ ბალში თამაშობდნენ. სამუშაოში დანთქმული ვიყავი. სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა, ბავშვები უჩვეულოდ დაბალ ხმაზე საუბრობდნენ. არც ყვირილი, არც სირბილის ხმა, მხოლოდ ჩუმი საუბარი მოისმოდა. გამოცდილებით ვიცოდი, რომ, როცა ბავშვები წყნარად არიან, ეს, ჩვეულებრივ იმას ნიშნავს, რომ ისინი რაღაც სახიფათო საქმით არიან დაკავებულნი. წამოვდექი და მოაჯირს გადავეყუდე, რომ დამენახა, რას აკეთებდნენ — წყლით წუნაობდნენ, კოცონს აჩალებდნენ, თუ ფისში იგანგლებოდნენ, მაგრამ შემდეგი სურათი კი წარმომიდა: გვიდო, რომელსაც ხელში დამწვარი ჯოხი ეჭირა, ბილიკის გაკრიალებული ქვაფენილის ქვებზე უჩვენებდა, რომ მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის კვადრატი მისი დანარჩენი ორი გვერდის კვადრატების ჯამს უდრის.

მუხლებს დაყრდნობილი, თავისი გაშავებული ჯოხის ბოლოთი ის რაღაცას ხაზავდა. მის გვერდით კი იყო რობინი, რომელიც გვიდოს მიბაძვით ასევე მუხლებზე დამდგარიყო. ის შეწუბებული ჩანდა ამ მეტად ნელი თამაშით.

„გვიდო!“ — დაუძახა მან, მაგრამ გვიდომ ყურადღება არ მიაქცია. ჩაფიქრებული და მოღუშული, ხაზვას განაგრძობდა. „გვიდო!“ — დაიხარა უმცროსი ბავშვი და კისერი შემოატრიალა, რომ გვიდოსთვის სახეში შეეხედა. — „რატომ არ ხატავ მატარებელს?“

„მერე“, — უპასუხა გვიდომ. — ჯერ ეს მინდა გაჩვენო. ეს ისეთი ლამაზია“,

— დაამატა მან შემპარავად.

„მე მატარებელი მინდა!“ — დაიუინა რობინმა.

„ახლავე! ცოტა მაცალე!“ — ლამის ევედრებოდა გვიდო. რობინი კვლავ მოთმინებით აღიჭურვა. ერთ წუთში გვიდომ თავისი ორივე ნახაზი დაამთავრა.

„ეს არის!“ — თქვა მან საზეიმოდ და წელში გასწორდა, რომ ნახაზისთვის შეეხედა. — „ახლა მე აქხსნი...“ — და მან პითაგორას თეორემის დამტკიცება დაიწყო, არა ევლიდეს ხერხით, არამედ უფრო მარტივი და უფრო სრულყოფილი მეთოდით, რაც, დიდი ალბათობით, თავად პითაგორას უნდა გამოეყენებინა. მან დახაზა ერთი კვადრატი და ურთიერთმკვეთი პერპენდიკულარების წყვილით ის ორ კვადრატად და ორ მართკუთხედად გაყო, შემდეგ ტოლ მართკუთხედებში დიაგონალები გაავლო და ასე დაყო ისინი ოთხ ტოლ მართკუთხა სამკუთხედად. მიღებული ორი კვადრატი განიხილა, როგორც კვადრატები, რომლებიც ამ სამკუთხედების ჰიპოტენუზისგან განსხვავებულ ორ გვერდზეა აგებული — ეს პირველი ნახაზისთვის; მეორეზე აიღო ოთხი მართკუთხა სამკუთხედი, რომლებადაც იყო დაყოფილი მართკუთხედები და თავდაპირველი კვადრატის ირგვლივ ისინი ისე მოატრიალა, რომ მათი მართი კუთხები კვადრატის კუთხეებს დამთხვეოდა, ჰიპოტენუზა შიგნით მოტრიალებული აღმოჩნდა და სამკუთხედების დიდი და პატარა გვერდები კვადრატის გვერდებზე განლაგდნენ; ამასთან კვადრატის თითოეული გვერდი სამკუთხედის ამ გვერდების ჯამს უდრიდა. ამგვარად თავდაპირველი კვადრატი კვლავ დაიყო ოთხ მართკუთხა სამკუთხედად და ჰიპოტენუზაზე აგებულ კვადრატად. ოთხი სამკუთხედი ტოლი აღმოჩნდა თავდაპირველი კვეთის ორი მართკუთხედისა. აქედან გამომდინარე, ჰიპოტენუზაზე აგებული კვადრატი ტოლი აღმოჩნდა

დანარჩენ ორ გვერდზე აგებული იმ ორი კვადრატის ჯამისა, რომელსადაც თავდაპირველი კვადრატი მართკუთხედებით იყო დაყოფილი.

მეტად არატერმინოლოგიური ენით, მაგრამ გასაგებად და საკმარისი ლოგიკით ჩამოაყალიბა გვიდომ თავისი მტკიცებულება. რობინი უსმენდა თავისი ბრდღვიალა, ჭორფლიანი სახის უაზრო გამომეტყველებით.

„Treno, — იმეორებდა ის დროდადრო. — „Treno. დამიხატე მატარებელი!“

„ახლავე“, — შეევედრა გვიდო. — „მაცალე ერთ წუთს. ჯერ ამას შეხედე. შეხედე, რა ლამაზია. რა ადვილია“, — არწმუნებდა და არწმუნებდა ის რობინს.

რა ადვილია! პითაგორას თეორემამ ამასხნევინა მე გვიდოს მუსიკალური მიღრეკილებანი. ის არ იყო ბავშვი მოცარტი, ვისზეც ჩვენ ვოცნებობდით. ის იყო ნორჩი არქიმედე და, როგორც ამგვარი ბავშვების უმეტესობას, შემთხვევითი მუსიკალური მიღრეკილებაც აღმოაჩნდა.

„Treno, treno!“¹ — სულ უფრო მოუთმენლად გაიძახოდა რობინი, რადგან ჩვენება გაგრძელდა და, როცა გვიდომ თავისი დამტკიცება აღარ გაათავა, მას მოთმინების ძაფი გაუწყდა. — „Cattivo Gvido!“² — იყვირა მან და გვიდოს მუშტები დაუშინა.

„კარგი“, — დამორჩილდა გვიდო. — „დაგიხატავ მატარებელს!“ და თავისი ნახშირის ჯოხით ქვეპზე ულაზათოხატვა დაიწყო.

ერთ წუთს გაყუჩებული გავცქეროდი. მატარებელი არ მოგეწონებოდათ. გვიდოს შეეძლო თავად აღმოჩინა და დამტკიცებინა პითაგორას თეორემა, მაგრამ ის დიდი ვერაფერი მხატვარი იყო.

„გვიდო!“ — დავუძახე მე. ბავშვები მოტრიალდნენ და ამომხედეს. — „ვინ გასწავლა, შენ, კვადრატების ხატვა?“ — ცხადია, შეიძლებოდა, რომ ეს მისთვის ვინმეს ესწავლებინა.

„არავინ“, — თავი გააქნია გვიდომ. მერე, შეშფოთებულმა, თითქოს იმისი

შეეშინდა, რომ ამ კვადრატების ხატვით რაღაც დააშავა, მობოდიშება და განმარტება იწყო: – „როგორც ხედავთ,“ – თქვა მან, „ძალიან ლამაზია. რადგან ის კვადრატები...“ – პირველ ნახაზის ორ პატარა კვადრატზე მიმითითა. – „არის სწორედ იმხელა, რაც ეს ერთი“, – და, მიჩვენა რა მეორე ნახაზზე ჰიპოტენუზაზე აგებული კვადრატი, დამნაშავის ლიმილით ამომხედა.

მე თავი დავუქნიე. „კი, ძალიან ლამაზია,“ – ვუთხარი. – „მართლა ძალიან ლამაზია.“

მას სახეზე შვების საზეიმო გამომეტყველება აღეპეჭდა და სიამოვნებისაგან გაიცინა. „აი, როგორ ხდება ეს,“ – განაგრძო ცხოველი სურვილით, ჩემთვის ის დიდებული საიდუმლო გაეცნო, რომელიც აღმოაჩინა. – „თქვენ ჭრით ამ ორ გრძელ კვადრატს“ (მართულთხედებს გულისხმობდა) ორ ნაწილად და მერე გვაქვს ოთხი ნაწილი, სუყველა ერთნაირი, რადგან, რადგან... ოჟ, ჯერ ეს უნდა მეთქვა, რადგან ეს გრძელი კვადრატები ერთნაირია, რადგან ის ხაზები, როგორც ხედავთ...“

„მე რომ მატარებელი მინდა?!“ – არ ცხრებოდა რობინი.

აივნის მოაჯირს დაყრდნობილი ორ ბავშვს დავცეკროდი და ვფიქრობდი იმ არაჩვეულებრივ რამეზე, რაც ის-ის იყო ვნახე და იმაზეც, თუ რას ნიშნავდა ეს ყოველივე.

მე ვფიქრობდი ადამიანებს შორის არსებულ უზარმაზარ განსხვავებებზე. ჩვენ ხომ მათ მათი თვალისა და თმის ფერის, მათი თავისქალის მოყვანილობის მიხედვით ვაჯგუფებთ. განა უფრო გონივრული არ იქნება, ისინი ინტელექტის ნიშნით დავყოთ? გონებრივად მეტად განსხვავებულ ტიპებს შორის უფრო ფართო უფსკრული აღმოჩნდება, ვიდრე

ის ბუშმენსა და სკანდინავიელს შორისაა. ვფიქრობდი, როცა ეს ბავშვი გაიზრდება, ჩემთან შედარებით ინტელექტუალური თვალსაზრისით იქნება ის, რაც ადამიანია ძალლთან შედარებით. არსებობენ ასევე სხვა კაცები და ქალები, რომლებიც, ალბათ, ჩემთან შედარებით, ლამის ძალლებივით მოჩანან.

იქნებ მხოლოდ გენიალური ადამიანები არიან ნამდვილი ადამიანები. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე ათასი ნამდვილი ადამიანი არსებობდა და ჩვენ, დანარჩენები... რა ვართ ჩვენ? – ცხოველები, რომელთა განსწავლაც შესაძლებელია. ნამდვილი ადამიანების დახმარების გარეშე ვერაფერსაც ვერ აღმოვაჩინდით. ვერ გაჩნდებოდა ვერც ერთი იდეა, რომელიც გათავისებული აქვს ჩვენს გონებას. ჩააგდეთ თესლი მათში და ის იხარებს, ჩვენი გონება კი თვითნებურად ვერასოდეს მისწვდება მას.

ვფიქრობდი იმაზე, რომ არსებობდა ძალლების მთელი ერები, მთელი ეპოქები, როცა ნამდვილი ადამიანები არ იბადებოდნენ. პირქუში ეგვიპტელებისა და ბერძნებისგან აიღეს გამოცდილება თუ წერის წესები და ასე შექმნეს მეცნიერება. ათასზე მეტი წელი დასჭირდა იმას, რომ არქიმედეს შესაფერისი მემკვიდრე გამოსჩენდა. ვიცით, რომ არსებობდა ერთადერთი ბუდა, ერთადერთი იესო, ერთადერთი ბაზი, ერთადერთი მიქელანჯელო...

ნუთუ უბრალო შემთხვევითობაა ის, რომ დიდი ადამიანი დროდადრო იპადება? რა იწვევს მათი მთელი თანავარსკვლავედის ერთდროულად მოსვლას, როცა ის ჩნდება და ქრება ცალკეულ ხალხში? ტენი¹ ფიქრობს, რომ ლეონარდო, მიქელანჯელო და რაფაელი იმიტომ დაიბადნენ თავიანთ ეპოქაში, რომ დიდი მხატვრებისთვის მომწიფებული იყო დრო და კეთილისმყოფელი იტალიური ასპარეზი. რაციონალიზატორული მეცხრამეტე საუკუნის ფრან-

1 Treno – (იტალ.) მატარებელი.

2 Cattivo Gvido - (ital.) cudi gvido.

გი კაცის მიერ შექმნილი დოქტრინა უცნაურად მისტიკური ჩანს, მაგრამ, შეიძლება, ის ჭეშმარიტიც იყოს. მაშინ, იმაზე რაღას ვიტყვით, ვინც საჭირო დროს არ დაბადებულა – ბლეიკე ან თუნდაც სხვებზე?

ვფიქრობდი, ამ ბავშვს ბედი ჰქონია, რომ იმ დროს, დაიბადა როცა თავისი უნარების კარგად გამოყენება შეეძლება. მას ხელთ ექნება უკვე არსებული, საუკეთესოდ მოფიქრებული კვლევის ანალიზური მეთოდები; მის მერე კი ჩვენ გვექნება სასწაულებრივი გამოცდილება. აპა, წარმოვიდგინოთ, რომ ის იმ დროს დაბადებულიყო, როცა სთოუნცენჯი² შენდებოდა; მას, შეიძლება, სიცოცხლე ელემენტარული ცოდნის აღმოჩენაში გაეტარებინა და ძნელად მიხვედრილიყო რამეს, მაშინ, როცა, ახლა უკვე შეიძლება ჰქონდეს დამტკიცების შესაძლებლობა. ნორმანდთა დაპყრობის დროს რომ დაბადებულიყო, მას მოუხდებოდა ბრძოლა წინარე სიძნელებთან, რომლებიც შექმნეს არასრულყოფილი სიმბოლიკით. მას შეიძლება, დასჭირვებოდა მრავალი წელი საიმისოდ, რომ შეესწავლა მაგალითად, MMMCCCCLXXXVIII-ის MCMXIX-ზე გაყოფის ხელოვნება. ამჟამად კი ის სულ ხუთ წელიწადში შეისწავლის იმას, რის აღმოჩენასაც ადამიანთა თაობები დასჭირდა.

მე ვფიქრობდი ყველა იმ დიდი ადამიანის ბედისწერაზე, რომელიც ქვეყნიერებას მეტად უდროო დროს მოევლინა და, რომელმაც მხოლოდ მცირე წარმატებას მიაღწია ან სულაც ვერაფერს. ბეთჰოვენი საბერძნეთში რომ დაბადებულიყო, ვფიქრობ, მხოლოდ იმას შეძლებდა, ნაზი მელოდიები დაეკრა ფლეიტაშე ან ლი-

რაზე; იმ ინტელექტუალურ გარემოცვაში მისთვის ძნელი იქნებოდა ჰარმონიის ბუნება წარმოედგინა.

მატარებლების ხატვა რომ მოათავეს, ბავშვებმა ბალში მატარებლობანას თამაში განაგრძეს; ისინი წრეზე დაქროდნენ. მრგვალლოყება და პირგაბერილი რობინი, ქარის სიმბოლოს რომ დამსგავსებოდა, ორთქლმავალივით ქშინავდა, გვიდოკი, რობინის კომბინეზონის ბოლოსთვის რომ ჩაევლო ხელი, უკან მიჰყვებოდა და უსტვენდა. ისინი წინ გარბოდნენ, შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ, წარმოსახვით სადგურებზე ჩერდებოდნენ, სათადარიგო გზებზე გადადიოდნენ, ხიდებზე გრუსუნებდნენ, გვირაბებს ეხეთქებოდნენ, დაბრკოლებებს ეჯახებოდნენ და რელსებიდან გადადიოდნენ. ნორჩი არქიმედეზუსტად ისეთივე ბედნიერი ჩანდა, როგორიც ჩემი პატარა, ქერათმიანი ბარბაროსი. რამდენიმე წუთის წინ გვიდოპითაგორას თეორემას ამტკიცებდა. ახლა კი, წარმოსახვითი რელსების გასწვრივ, დაუღალავად უბერავდა და უსტვენდა. ის სრულად დანთქმულიყო ყვავილთა კლუმბებსა და ლოვიის კოლონებს შორის, წინ და უკან სვლასა და დაფნის ბუჩქების ბნელ დერეფნებში შესვლა-გამოსვლაში. ის ფაქტი, რომ არქიმედეობას აპირებდა, სულაც არ უშლიდა ხელს ჩვეულებრივი, მხიარული ბავშვიც ყოფილიყო. ვფიქრობდი ამ უცნაურად გამოხატულ, გამორჩეულ ტალანტისა და იმაზე, რომ ის როგორლაც გამოყოფილია დანარჩენი გონებისგან, მოშორებულია მას და არ არის გამოცდილებაზე დამოკიდებული. ტიპური უცნდერკინდები, როგორც წესი, მუსიკალურ და მათემატიკურ ნიჭს ამჟღავნებენ; სხვა სახის ნიჭი კი ნელნელა მწიფდება ემოციური გამოცდი-

1 ტენი – იპოლიტ ადოლფ ტენი (1828-1893), ფრანგი ფილოსოფოს-პოზიტივისტი, ესთეტიკოსი, მწერალი, ისტორიკოსი და ფსიქოლოგი.

2 სტოუნცენჯი – (ინგლ. Stonehenge) – პრეისტორიული მეგალითური მონუმენტი ინგლისის სამხრეთ-დასავლეთში, სოლზბერის ვაკეზე.

ლებისა და ზრდის გავლენით. ოცდაათი წლის ასაკამდე ბალზაკმა, უნიჭობის გარდა, ვერაფერი გამოავლინა, მაშინ, როცა ოთხი წლის ნორჩი მოცარტი უკვე მუსიკისი იყო, ხოლო პასკალის რამდენიმე უბრნყინვალესი ნამუშევარი იქამდე შეიქმნა, სანამ ის ათი წლის გახდებოდა.

შემდეგ კვირებში მე ყოველდღიური საფორტეპიანო გაკვეთილები მათე-მატიკის გაკვეთილებით ჩავანაცვლე. გაკვეთილებზე უფრო მინიშნებები იყო, რადგან მე მხოლოდ დაშვებებს ვაკეთებდი, ვაჩვენებდი მეთოდებს და იდეების დეტალებში შემუშავებას პავშვს ვუტოვებდი. ასე გავაცანი მე მას ალგებრა პითაგორას თეორემის სხვა დამტკიცების ჩვენებით. ამ დამტკიცების მიხედვით, მართი კუთხიდან ჰიპოტენუზაზე ვუშვებთ პერპენდიკულარს და თეორემას იმ ფაქტით ვამტკიცებთ, რომ ორი შექმნილი სამკუთხედი ერთმანეთისა და ამასთანავე თავდაპირველი სამკუთხედის მსგავსია. ამ მსგავსებების გამო გვერდების ცნობილი შეფარდებების გამოყენებით, შეიძლება, ალგებრულად ვაჩვენოთ, რომ თავდაპირველი სამკუთხედის კათეტების კვადრატების ჯამი a^2+b^2 უდრის ჰიპოტენუზის ორი სეგმენტის კვადრატების ჯამს c^2 დამატებული $2ab$, რაც უდრის $(a+b)^2$ ანუ ჰიპოტენუზის კვადრატს, რადგამ $a+b=c$. გვიდო ისე იყო ალგებრის საფუძვლებით მოჯადოებული, თითქოს მე მას სათამაშო ძრავა ვაჩუქე, რომელიც სპირტქურაზე მომუშავე ორთქლის ქვაბით ხურდებოდა, და უფრო მეტადაც იყო მოჯადოებული, ალბათ, ვინაიდან ძრავა, შეიძლებოდა, გაფუჭებულიყო ან უბრალოდ მოპეზრებოდა, მაშინ, როცა ალგებრის საწყისები მას აზროვნებას უქრობელი ფუფუნებით უნვითარებდნენ და უფურჩქნიდნენ.

ყოველ დღე ის აკეთებდა ახალ-ახალ აღმოჩენებს, რაც მას განსაკუთრებულად ლამაზი ეჩვენებოდა. მისი ახალი სათამაშოს შესაძლებლობები ნამდვილად ამოუწურავი იყო.

ევკლიდეს მეორე წიგნის ალგებრის ამოცანების განხილვებს შორის ჩვენ წრებს ვიკვლევდით, გამხმარ მიწაში ბამბუკებს ვარჭობდით და დღის სხვადასხვა დროს მათ ჩრდილებს ვზომავდით. ჩვენი დაკვირვებებიდან ამაღლელებელი დასკვნები გამოგვყავდა. ზოგჯერ, სახალისოდ, ქალალდის ფურცლებს ისე ვჭრიდით და ვკეცავდით, რომ კუბები და პირამიდები მიგველო. ერთ შუადღეს კი გამოგვეცხადა გვიდო, რომელსაც თავისი პატარა და მეტად დათხვრილი ხელებით ფრთხილად ეჭირა თხელი ქალალდისაგან გაკეთებული დოდეკაედრი.¹

„E tanto bello!“² – ამბობდა ის, როცა ქალალდის კრისტალს გვიჩვენებდა; როცა ვკითხე, როგორ შეძლო ამის გაკეთება, მან ოდნავ გაიღიმა და თქვა, რომ ეს ძალიან ადვილად მოახერხა. მე ელიზაბეტს შევხედე და ორივემ გავიცინეთ. ვფიქრობ, უფრო მართებული იქნებოდა, ხატოვნად რომ ვთქვათ, თაყვანისცემის ნიშნად, ოთხზე დავმდგარიყავი და ნარმოსახვითი კუდის ქნევითა და ყეფით გამომეხატა ჩემი გაოცება.

იმ ზაფხულს უჩვეულოდ დაცხა. ივლისი დადგა თუ არა, ასეთ აუტანელ სიცხეს მიუჩვეველმა ჩვენმა პატარა რობინმა ფერი დაკარგა, მოიღალა, ჩამოდნა და მადა და ენერგია წაერთვა. ექიმმა მთის ჰაერი გვირჩია. გადაწყვიტეთ, შემდეგი ათი თუ ოცი კვირა შვეიცარიაში გაგვეტარებინა. გამოთხოვებისას გვიდოს იტალიურ ენაზე დაწერილი ევკლიდეს პირველი ექვსწიგნეული ვაჩუქე. მან ის გადაფურცლა და

1 დოდეკაედრი – (მათ.) წესიერი ოორმეტნახნაგა.

2 E tanto bello – (იტალ.) რა ლამაზია!

ნახაზებს გატაცებით ჩააცქერდა.

„სწორად წაკითხვა რომ შემეძლოს“, – თქვა მან. – „მე ისეთი სულელი ვარ, მაგრამ ახლა ნამდვილად შევეცდები, ვისწავლო“.



გრინდელვალდის¹ მახლობლად მდებარე ჩვენი სასტუმროდან ბავშვს რობინის სახელით ნაირნაირ ღია ბარათებს ვუგზავნიდით. მათზე ძროხები, ალბური ბუჟები, შვეიცარული შალეები, ედელვაისები და სხვა ამდაგვარი რამები ეხატა. ბარათებზე არ გვპასუხობდნენ. შემდეგ უკვე აღარც ველოდებოდით საპასუხო წერილებს. თავად გვიდოს რომ წერა არ შეეძლო, ეს ვიცოდით. აი, ის კი გვიკვირდა, მამამისი ან მისი დები მაინც რატომ არაფერს გვწერდნენ მის ნაცვლად. ამბის უქონლობა კარგ ამბვად მივიწინეთ და დავმშვიდდით. ერთ დღესაც, სექტემბრის დამდეგს, სასტუმროში უცნაური წერილი მოვიდა. ადმინისტრატორმა ის ჰოლში განცხადებების შემინულ დაფაზე დატოვა, რათა სტუმრებს შეემჩნიათ და მას, ვინც წერილს თავისად მიიჩნევდა, მოეთხოვა ის. სასაუზმოდ მიმავლებმა დაფას რომ ჩავუარეთ, ელიზაბეტი შეჩერდა და დააცქერდა მას.

„აი, ეს კი გვიდოსგან უნდა იყოს,“ – თქვა მან. მეც მივედი და მის მხარს ზემოთ კონვერტს ავხედე. კონვერტს ბეჭედი არ ერტყა და საფოსტო მარკებით მთლად გაშავებულიყო. წინა მხარეზე ფანქრით დიდი, გაურკვეველი მთავრული ასოები გამოეყვანათ. პირველ საზზე ეწერა AL BABBO DI ROBIN².

შემდეგ კი – სასტუმროსა და ადგილის სახელის დამახინჯებული ვარიანტი. საგონებელში ჩავარდნილ ფოსტის მუშაკებს მისამართის ირგვლივ სავარაუდო ჩასწორებები მიეჩხაპნათ. წერილს მთელ ევროპაში წინ და უკან სულ ცოტა ორი კვირა მაინც უნდა ეხეტიალა.

„Al Babbo di Robin. To Robin's father“, – ჩავიცინე მე. – „ყოჩალ ფოსტალიონებს, როგორც იქნა, მოგვაგნეს.“ – ადმინისტრატორის ოფისისკენ გავემართე, წერილზე ჩემი სამართლიანი მოთხოვნა განვმარტე და ბეჭდის უქონლობის გამო ორმოცდაათი სანტიმი დამატებით გადავისადე. ამის შემდეგ დაფა გახსნეს და წერილი გადმომცეს. მერე ყველანი სასაუზმოდ გავემართეთ.

„რა დიდებული ნაწერია!“ – გაგვეცინა ჩვენ, როცა უკანა მხარეს მისამართს ვარკვევდით. – „მადლობა ევკლიდეს ეკუთვნის“, – დავამატე მე. – „აი, რა იცის დიდმა შთაგონებამ!“

მაგრამ, როცა კონვერტი გავხსენი და წერილი წავიკითხე, სიცილის სურვილი გამიქრა. ნაწერი მოკლე და თითქმის დეპეშის სტილისა იყო: „SONO DALLA PADRONA NON MI PIACE HA RUBATO IL MIO LIBRO NON VOGLIO SUONARE PIU VOGLIO TORNARE A CASA VENGA SUBITO GUIDO.³

„რა მოხდა?“

ელიზაბეტს წერილი გავუწოდე. „იმ წყეულ დედაკაცს მიუტაცია ის,“ – მიუგე მე.



Hhomburgian⁴ მამაკაცთა ბიუსტები,

1 გრინდელვალდი – (გერ. Grindelwald) – კომუნა შვეიცარიაში, ბერნის კანტონში.

2 AL BABBO DI ROBIN – (იტალ.) რობინის მამას.

3 „SONO DALLA PADRONA NON MI PIACE HA RUBATO IL MIO LIBRO NON VOGLIO SUONARE PIU VOGLIO TORNARE A CASA VENGA SUBITO GUIDO“ – (იტალ.) მეპატრონთან ვარ. ეს არ მომწონს. წიგნი წამართვეს. აღარ მინდა დაკვრა. სახლში მინდა. ჩეარა ჩამოდით! გვიდო.

4 ჰომბურგი – (გერ. Homburg) მამაკაცის ერთგვარი ფეტრის ქუდი.

მარმარილოს ცრემლად დაღვრილი ანგელოზები, ჩირალდნებს რომ აქრობდნენ, პატარა გოგონების ქანდაკებები, ქერუბიმები, ნიღბიანი ფიგურები, ალეგორიები და დაუნდობელი სიმართლე – უცნაურზე უცნაური და უცხოზე უცხო კერპები თავს გვიქნევდნენ და უესტიკულირებდნენ, როცა ჩვენ იქ მივდიოდით. შუშებს იქიდან, უბრალო ჯვრებიდან, საფლავის ქვებიდან და გამტყდარი კოლონებიდან თუნუქზე მკვიდრად ჩაბეჭდილი და ქვებში ჩადგმული ყავისფერი ფოტოსურათები შემოგვცეროდნენ. გარდაცვლილი ქალბატონები ოცდაათი წლის წინანდელ კუბისტურ გეომეტრიულ ფორმებში – შავი სატინის ორი კონუსი, წვეროებით წელთან რომ ეხებოდნენ ერთმანეთს და მკლავები – სფერული იდაყვების ქვეშ პრიალა ცილინდრებით – მწუხარედ ილიმებოდნენ თავთავიანთი მარმარილოს ჩარჩოებიდან; მომლიმარე სახეები, თეთრი ხელები იყო ერთადერთი საცნაური ადამიანური საგნები, რაც მათი სამოსის მყარი გეომეტრიიდან ჩნდებოდა. შავულვაშა მამაკაცები, თეთრწვერა მამაკაცები, სუფთად პირგაპარსული ვაჟები პირდაპირ ან გვერდით იცქირებოდნენ, რათა რომაული პროფილი ეჩვენებინათ. ბავშვები ფართოდ გახელილი თვალებით იმედიანად ილიმებოდნენ პატარა ჩიტის მოლოდინში, რომელიც კამერიდნ უნდა გამოფრენილიყო ან იჭვნეულად ილიმებოდნენ იმის ნიშნად, რომ ეს არ მოხდებოდა; ილიმებოდნენ ნაძალადევად და მორჩილად, რადგან მათ ასე უთხრეს. უფრო შეძლებულ პატრონთა მიცვალებულები განცალკევებით განისვენებდნენ მარმარილოს წვეტებიან გოთურ კოტეჯებში; მესრიანი ჭიშკრების მიღმა მოჩანდა მკრთალი სახეები უნუგეშო და მტირალი გენიოსებისა, საფლავის საიდუმლოს რომ ინახავენ. ნაკლებსაპატიო ადამიანთა უმრავლესობას იქ ერთად და მჭიდროდ, თუმც მოხდენილად ეძი-

ნა, ერთიანი, პრიალა, გრძელი მარმარილოს ჭერქვეშ, რომლის ყოველი ფილა ცალკეული საფლავის შესასვლელს მიანიშნებდა.

კარლოსთან ერთად საფლავებს შორის მივაბიჯებდი. ჩემთვის იმაზე ვფიქრობდი, თუ ჩვენებურზე რამდენად უფრო შემზარავია კონტინენტური სასაფლაოები. ეს იმიტომ, რომ აქაური ხალხი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს თავიანთ მიცვალებულებს. აյ დღემდე ჩვენზე მეტადაა შემორჩენილ-დამკვიდრებული სახლ-კარის თავდაპირველი კულტი და მატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნვის გამოხატულება, ის, რაც ძველ თაობებს აიძულებდა, თავიანთი მიცვალებული ქვაში იმ დროს დაევანებინათ, როცა თავად ჩალით დახურულ ქოხმახებში ცხოვრობდნენ. აქაურ ინგლისურ სასაფლაოზეც გარდაცვლილთა ასობით უესტიკულირებული ქანდაკებაა. უფრო მეტია საგვარეულო აკლდამები, იმაზე მეტად „გადაპრანჭული“ (როგორც მოპირკეთებასა და სასტუმროებზე ამბობენ ხოლმე), ვიდრე ეს მათ სახლშია და ყოველი საფლავის ქვაში ჩადგმულია ფოტოსურათი, რათა იქ მყოფ დაფშვნილ ძვლებს შეახსენოს, როგორები იქნებიან საშინელი სამსჯავროს დროს; მათ გვერდით ჰკიდია პატარა ლამპრები, იმედისმომგვრელად რომ ინთება ყველა მიცვალებულის ხსენების დღეს. იმ დიდი კაცისთვის, ვინც პირამიდები ააგო, ისინი ჩვენზე, ცოცხლებზე უფრო მახლობლებია, – ვფიქრობდი მე.

„ეს რომ მცოდნოდა, ეს რომ მცოდნოდა“, – იმეორებდა კარლო. ფიქრებში წასულს მისი ხმა თითქოს შორიდან ჩამესმოდა. – „იმ დროს ის სულ არ ფიქრობდა ამაზე. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ მერე ამას გულთან ასე ახლოს მიიტანდა? იმ ქალს შეცდომაში შევყავდი, მატყუებდა“.

მე კვლავ ვარნმუნებდი, რომ მას ამ ამბავში ბრალი არ ჰქონდა, თუმ-

ცა, ცხადია, სანახევროდ ასე იყო. ნანილობრივ ჩემი ბრალიც იყო. მე უნდა მეფიქრა ამ შესაძლებლობაზე და როგორლაც დამეცვა ამისაგან, მას კი არ უნდა გაეშვა ბიჭი სამოგზაუროდ, თუნდაც დროებით. ტყუილად კი არ ახდენდა ქალი მასზე ასეთ ზეწოლას. ამ ზეწოლის მიზეზს უნდა მიმხვდარიყო. კარლოს წინაპარი მამაკაცები საუკუნეზე მეტ ხანს მუშაობდნენ იმავე მიწის ნაკვეთზე და ახლა, ცოლის წაქეზებით, მოხუცი ჯენტლმენი მას აყრით დამუქრებოდა. საშინელება იქნებოდა მისთვის იქაურობის დატოვება; არც სხვა ადგილის პოვნა იყო ადვილი. მას უთხრეს, რომ არ გააგდებდნენ იმ შემთხვევაში, თუკი ნებას მისცემდა, ქალს ბავშვი წაეყვანა, ჯერ სულ ცოტა ხნით, რომ ენახა, როგორ მიიღებდა გვიდო ამას. ოდნავადაც არ დააძალებდნენ მას დარჩენას, თუკი ის თავად არ მოისურვებდა. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ხომ გვიდოსა და მამამისის სასიკეთოდ კეთდებოდა. ის, რაც ინგლისელმა კაცმა თქვა, რომ ბავშვს არ ჰქონდა მუსიკის განსაკუთრებული ნიჭი, როგორც მას ეს თავდაპირველად მოეჩვენა, იყო მტკრნარი ტყუილი, უბრალოდ ეჭვიანობა და ცბიერება. ინგლისელს სურდა, თვითონ დახმარებოდა გვიდოს, სულ ეს იყო. ბიჭი კი, მისგან აშკარად ვერაფერს ისწავლიდა. ის, რაც მას ნამდვილად სჭირდებოდა, იყო კარგი მასწავლებელი, პროფესიონალი... და მთელი ის ენერგია, რაც საქმეში კარგად ჩახედულმა ფიზიკოსებმა, დინამოსკენ უნდა მიმართონ, მის აგიტაციას მოხმადა. ზეწოლა მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ჩვენ სახლი დავტოვეთ. სენიორა, უეჭველია, ასე ფიქრობდა, რომ წარმატების მეტი შანსი ჩვენს იქ არყოფნაში ექნებოდა და, რომ მას აუცილებელად უნდა დაესწრო ჩვენთვის და ბავშვი

ხელში ჩაეგდო მანამ, სანამ ჩვენ ჩვენს წინადადებას შევთავაზებდით მამამისს. ქალს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ჩვენც ისევე ძლიერ გვსურდა გვიდოს შვილება, როგორც მას.

ზეწოლას ის დღითი დღე აძლიერებდა. კვირის ბოლოს კარლოსთან მიგზავნა ქმარი, რომ მას იქ ვაზის მდგომარეობაზე დაეჩივლა; ისინი შოში ჩაცვიდნენ. მოკრძალებით, მორცხვად, დიდი მობოდიშებით დაემუქრა მათ მოხუცი ჯენტლმენი. მან გადაწყვიტა, უფრო სწორად, ძლივს შეძლო კარლოსთვის შენიშვნა მიეცა. მეორე დღეს სენიორამ შეტევა განაახლა. „სასტუმროს მეპატრონე, – განაცხადა მან. – დიადი მიზნებით იყო შთაგონებული, ის გაუკეთებდა გვიდოს ყველაფერ კარგს, საუკეთესოს“.

და ბოლოს კარლომაც დაუთმო მას ბიჭი. ქალი მეტად შეუვალი იყო და ხელთ მრავალი კოზირი ეპყრა. ბავშვს შეეძლო, მას სამოგზაუროდ წაჟყოლოდა და მასთან ერთ-ორი თვით დარჩენილიყო, მერე კი, თუკი ნამდვილად გაამჟღავნებდა მასთან დარჩენის სურვილს, ქალი უკვე მას ოფიციალურად იშვილებდა.

დასასვენებლად ზღვის სანაპიროზე წასვლის იდეა (სენიორა ბოლდიმ სწორედ ზღვის სანაპიროზე წაყვანა შესთავაზა ბიჭს) გვიდოსთვის სასურველი და საოცნებო იყო. ზღვის შესახებ მას ბევრი რამ სმენოდა რობინისგან. „Tanta acqua!“¹¹ – მისი ნათქვამი ჭეშმარიტება უნდა ყოფილიყო. და აი, ახლა ის თავად წავიდოდა და ნახავდა ამ საოცრებას. ბავშვი მეტად მხიარულად დაემშვიდობა თავის ოჯახს, მაგრამ დასვენების შემდეგ, როცა ზღვის სეზონი მოთავდა და სენიორა ბონდიმ გვიდო ფლორენციაში, თავის სახლში მიიყვანა, ბიჭი იქ დადარდიანდა. სენიორა, მართალი უნდა ითქვას, მას ზედმეტად კეთილადაც ეცქეოდა – მისთვის ახალ-ახალ ტან-

„Tanta acqua!“ – (იტალ.) იმდენი ნყალი.

საცმელს ყიდულობდა, დაჟყავდა ჩაისა ვია ტურნაბუნიზე, არ აკლებდა ნამცხვარს, მარნყვის ნაყინს, ათქვეფილ ნალებსა თუ შოკოლადს, მაგრამ თან აიძულებდა პიანინოზე იმაზე მეტ ხანს ევარჯიშა, ვიდრე მას სურდა და კიდევ უარესი, მან წაართვა ბიჭა ევკლიდეს წიგნი იმის გამო, რომ ბევრ დროს ართმევდა. მაშინ კი, როცა ბიჭმა უთხრა, რომ სახლში დაბრუნება სურდა, რა აღარ მოიმიზება და ბავშვი დაპირებებითა და ტყუილებით აავსო. უთხრა, რომ არ შეეძლო მაშინვე წაეყვანა, რომ, თუ ის კარგად მოიქცეოდა და პიანინოზე დაკვრამიც ბევრს ივარჯიშებდა, შემდეგ კვირას წაიყვანდა, მერე ისევ შემდეგ კვირას და, როცა დაპირებული დრო მოვიდა, მან ბავშვს გამოუცხადა, რომ მამამისს მისი უკან დაბრუნება აღარ სურდა. ამის მერე ქალმა ალერს უმატა, უკეთებდა ძვირფას საჩუქრებს და ნუგბარს არ აკლებდა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. გვიდოს არ მოსწონდა ახალი ცხოვრება, არ სურდა გამებით ვარჯიში, თავის წიგნზე წალვლობდა და შინ, და-ძმებთან დაბრუნება სურდა. სენიორა ბონდის ჯერ კიდევ ჰქონდა იმის იმედი, რომ დრო და შოკოლადი თავისას იზამდა და ბოლოს და ბოლოს ბავშვს დაისაკუთრებდა. მას შორს ეჭირა თავი გვიდოს ოჯახისაგან და რამდენიმე დღეში ერთხელ კარლოს სწერდა წერილს, რომელიც კვლავ ეგონათ, რომ ზღვის სანაპიროდან მისდიოდათ (ამისათვის ერთი მეგობარი დაიხმარა, მასთან გზავნიდა წერილებს და ისიც კვლავ უკან, ფლორენციაში აბრუნებდა მათ) და რომლებშიც ის მამამისს, გვიდოს ბედნიერების წარმტაცზე წარმტაც სურათებს უხატავდა.

იმან, რომ მისი ოჯახის წევრებს ასე ეძნელებოდათ მისულიყვნენ და ენახათ გვიდო, როცა ისინი მასთან ასე ახლოს იყვნენ, ბიჭს აფიქრებინა, რომ მათ მართლა სურდათ მისი მიტოვება. როცა ამაში დარწმუნდა, თავისიანები-

საგან მიტოვებულმა ერთადერთი და უკანასკნელი იმედი ჩემკენ მომართა და წერილი მე მომწერა. წერილი, თავისი ფანტასტიკური მისამართით, გზაში დაახლოებით ორი კვირა იყო. ეს ორი კვირა შეიძლებოდა, ასეულ წლებად მოსჩვენებოდა მას და, რადგან საუკუნეები ერთმანეთს მისდევდნენ, ნელნელა, ალბათ, საწყალი ბავშვი იმაშიც დარწმუნდა, რომ მეც მივატოვე. მას ყოველგვარი იმედი გადაეწურა!

„მოვედით!“ – თქვა კარლომ.

ზევით ავიხედე. ჩვენ წინ უზარმაზარი მონუმენტი აღმართულიყო. წაცრისფერი ქვიშაქვის მონოლითში ამოეტებათ პატარა მღვიმე, რომელშიც წმინდა სიყვარულის ბრინჯაოს განსახიერება სამგლოვიარო ურნას ესვეოდა. ქვაზე ბრინჯაოს ასოებით გაკეთებული იყო გრძელი წარწერა, რომელიც გვამცნობდა, რომ გაუხარელმა ერნესტო ბონდიმ ეს მონუმენტი აღმართა თავისი საყვარელი მეუღლის ანუნსიატას სახსოვრად, როგორც ნიშანი მისი უკვდავი სიყვარულისა მისადმი, რომელიც მას უდროოდ წაართვა სიკვდილმა და რომელსაც, როგორც ის იმედოვნებდა, ძალიან მალე შეუერთდებოდა ამ საფლავის ქვეშ. პირველი სენიორა ბონდი 1912 წელს გარდაცვლილიყო. მე გამახსენდა მოხუცი კაცი, სადავით რომ დაატარებდა თავის თეთრ ძაღლს. გავიფიქრე, რომ ის მთელი სიცოცხლე ცოლის უზომოდ მოყვარული და მორჩილი ქმარი უნდა ყოფილიყო.

„მათ აქ დამარხეს ის“.

ჩვენ დიდხანს ვიდექით ჩუმად. როცა იმ საწყალ ბავშვზე ვფიქრობდი, იქ, მიწისქვეშ რომ განისვენებდა, ვგრძნობდი, თვალთაგან ცრემლი მდიოდა. მე ვფიქრობდი მის ელვარე სერიოზულ თვალებსა და ლამაზად ამობურცულ შუბლზე, მის წალვლიანად დახრილ ტუჩებზე, კმაყოფილების იმ გამომეტყველებაზე, მისი სახე რომ ასხივებდა იმ დროს, როცა რაიმე ახალს სწავლობ-

და ან, როცა საყვარელ მელოდიას უსმენდა და ეს პატარა, ლამაზი არსება ცოცხალი აღარ იყო და ის სულიც, მის სხეულს რომ ავსებდა, მისი გასაოცარი სულიც მანამდე დაიშალა, სანამ არსებობას დაიწყებდა.

ტანჯვა, რომელიც მას ბოლოს უნდა ეგრძნო, სასონარკვეთა, იმის რწმენა, რომ ამქვეყნად ყველამ მიატოვა... საშინელება იყო ამ ყველაფერზე ფიქრი, საშინელება.

„ახლა უმჯობესია, წავიდეთ“, – ვთქვი მე ბოლოს და კარლოს მკლავზე ხელი წავავლე. ის იდგა ბრმასავით თვალდასუქული, სახე ოდნავ აენია სინათლისკენ; დახუჭული ქუთუთოებიდან ცრემლი სდიოდა, რომელიც წამით ჩერდებოდა და მერე ლოყებზე ღვარად ედინებოდა. ტუჩები უკანკალებდა და ვხედავდი, როგორ ცდილობდა, შეეჩერებინა ეს კანკალი. „წავიდეთ!“ – გაუმეორე მე.

მწუხარებისგან გაქვავებული სახე უეცრად დაეკრუნჩა, თვალები გაახილა, ცრემლებს მიღმა ისინი ძლიერი ბრაზით გაუბრნებინდა.

„მოვკლავ იმ ქალს!“ – თქვა მან. – „მოვკლავ იმ ქალს! როცა ვფიქრობ ბიჭზე, როგორ გადმოხტა, როგორ დაენარცხა ძირს...“ – ორივე მკლავი მძაფრად აამოძრავა, ქვემოთ ძლიერად დაიქინია და მკერდთან უეცარი ბიძგით გააჩერა. ის აცახცახდა. – „და როგორ გათავდა...“ – ის ისევე დამნაშავე ამაში, როგორც მაშინ იქნებოდა, თვითონ რომ ეკრა ხელი გადასავარდნად. მოვკლავ მას!“ – თქვა და კბილები ერთმანეთს მაგრად დააჭირა.

სიბრაზე უფრო ადვილია, ვიდრე წუხილი, ნაკლებ მტკივნეულია. მოსახერხებელია შურისძიებაზე ფიქრი. „წუ ამბობთ ასე,“ – ვუთხარი მე. – „არ არის

ეს კარგი. ეს სიბრიყვეა. რა აზრი აქვს ამას?“ მას ადრეც ჰქონია სასონარკვეთის უმძიმესი წუთები, როცა წუხილი აუტანელი ხდებოდა და ცდილობდა გაქცეოდა, სიბრაზე კი თავის შველის უადვილესი გზაა. მაშინაც ვარწმუნებდი ხოლმე, მწუხარების უფრო ძნელ ბილიკს დაბრუნებოდა. – „უგნურებაა ამის თქმა“, – გავუმეორე და საფლავთა საშინელ ლაპირინთში წავუძეხი, სადაც სიკვდილი კიდევ უფრო საშინელი მოჩანდა, ვიდრე ის სინამდვილეში იყო.

როცა ჩვენ სასაფლაო დავტოვით და სან მინიატოდან ქვემოთ, მიქელანჯელოს მოედნისკენ დავეშვით, ის ცოტათი დამშვიდდა. მისი სიბრაზე კვლავ მიიქცა იმ წუხილად, საიდანაც მთელი ძალა და სიმწარე წამოვიდა. მოედანზე წუთით შეგჩერდით, რათა ჩვენს ქვემოთ, დაბლობში ჩანოლილი ქალაქისთვის თვალი შეგვევლო. ღრუბლიანი დღე იყო, ცაზე თეთრი, დიდრონი, ოქროსფერი და ნაცრისფერი ღრუბლები მიცურავდნენ და მათ შუა თხელი, გამჭვირვალე, ლურჯი ცის ნაჭრები მოჩანდნენ. ჩვენი თვალთახედვის სიმაღლეზე ვხედავდით ტაძრის გუმბათს მთელი თავისი გრაციოზული სიკაშპაშით, სიდიადითა და მსუბუქი სიძლიერით. ქალაქის ურიცხვ ყავისფერ-ვარდისფერ სახურავზე შუადღის მზის შუქი ნატიფად და დიდებულად იწვა. კოშკები თითქოს ძველებური ოქროთი გაელაქათ და მოემინანქრებინათ. მე ვფიქრობდი ყველა იმ დიდ ადამიანზე, ვისაც იქ ეცხოვრა, თავისი სულის კვალი დაეტოვებინა და გასაოცარი ქმნილებანი ჩაეფიქრებინა; მე მკვდარ ბავშვზე ვფიქრობდი.

ინგლისურიდან თარგმნა
მარა ცერცვაძემ

ოოსებ ჭუმბურიძე

**ნანი
საშაულის მომღერლის თავმდაგლობა და სიამაყე**



ნანი ბრეგვაძე „ბლექსი არენას“
სცენაზე – 2018 წელი

ახალგაზრდა კო-
რესპონდენტმა სესი-
ლია თაყაიშვილს და-
ვურეკე და, ვერიკო
ანჯაფარიძის საიუ-
ბილეოდ, მილოცვის
დაწერა ვთხოვე.

მესამე დღისთვის
დამიბარა.

მივედი.

დამახვედრა მი-
ლოცვის ტექსტი,
ასეთი სათაურით:
„ვერიკო!“

დიახ, ძახილის
ნიშნით!

მკაცრად გამაფ-
რთხილა, აქ არაფერი
შეცვალოთო.

არც სათაურშიო.
სესილიას ხასიათზე ბევრი მსმენოდა
და არ გამკვირვებია.

ცოტა შორიდან – თემასთან ახლოს
მისასვლელად:

ორთოგრაფიულ ნიუანსებში წვდომამ კი ნამდვილად გამაოცა.

ტალანტები ბევრ რამეს ინტუიციით გრძნობენ და ხვდებიან.

ტალანტები, რა თქმა უნდა, ბევრ რამეს გვასწავლიან.

ამ სტატიის სათაურიც „სესილიას-გან მოდის.“

ოღონდ, მისეული ორთოგრაფიის დაუცველად:

ნანის არ უხდება ძახილის ნიშანი.

იმის მიუხედავად, რომ ვერიყო მისი ერთ-ერთი კუმირი ყოფილა, ნინო რა-მიშვილთან ერთად.

მათგან ბევრი რამ ვისწავლეო.

დაახლოებით მაინც ვხვდები, რა შე-იძლებოდა გადაედო მათგან – ალბათ, დედოფლური თავდაჭერა, არისტოკრა-ტიული მანერები...

„სოფიკოსთან ვმეგობრობდი და მათთან ხშირად დავდიოდი. გამოვიდო-და ხოლმე ვერიყო, ზოგჯერ ხალათი-თაც კი და ყველას მოგვნუსხავდა“.

ადვილი გასაგებია ეს მომნუსხვე-ლობა, ეს გადამდები სიზვიადე, ლადო ასათიანსაც რომ აჯადოებდა, მაგრამ, მაინც მგონია, რომ ნანის ეს ყოველივე შეძენილი კი არა, სისხლში აქვს – მიქე-ლაძებისგან გამოყოლილი.

დედა ჰყავდა მიქელაძე.

●
მარჯანიშვილის ქუჩა. გალაკტიო-ნის სახლ-მუზეუმი. ქალბატონი ნატო გაბისონიას დირექტორობისას, აქ ხში-რად ჰქონდათ ჩართული გალაკტიონის ლექსებზე შექმნილი მელოდიები.

ერთ-ერთი საღამო უნდა დაიწყოს.

იღება კარი და შემოდის მსახიობი რუსუდან ბოლქვაძე.

მაგნიტოფონიდან ნანი ბრეგვაძის მართლაც გულშიჩამნებომი ხმა მოის-მის:

„რა არის ტკბილი დედის ნანაზე, მე მიმატოვა ადრე იმ ნანამ...“

რუსუდანი მონუსხული დგას და ხმას არ იღებს.

სიმღერა რომ ჩამთავრდება, გაოცე-ბული იტყვის: „ეს რა იყო?! ნანის ეს სიმღერა აქამდე არ მქონდა მოსმენი-ლი?!“

პირველად მეც ზუსტად ასე დამე-მართა.

გალაკტიონისას ვინ რას გაიგებს – დედის ნანას ადრე ნამდვილად არ მი-უტოვებია.

საპედნიეროდ, ნანის ცხოვრებასაც საკმაოდ დიდხანს გამოჰყვა დედის მფარველობა.

დედას უმადლის თითქმის ყველა-ფერს, მაგალითად, ვეკითხები: „ასეთი საყვალთაო აღიარება და სიყვარული, თუნდაც ის, რომ ყველაზე ცნობილი კომპოზიტორები მხოლოდ თქვენთვის წერდნენ, მტრებს არ გიჩენდათ?“

პასუხი:

„რა გითხრათ? ალბათ, მიჩენდა, მაგრამ ვერ ვგრძნობდი, რადგან ყველა უსიმოვნებას დედა მარიდებდა, თანაც მე ყოველთვის „ჩემთვის“ ვიყავი. გას-ტროლებიდან რომ ვპრუნდებოდი, ფი-ლარმონიაში კი არ გავრბოდი, არამედ ჩემს წრეში, ახლობლებთან, მეგობრებ-თან. რა თქმა უნდა, მიგრძნია მტრობა და შური. გამიგია კიდეც, მაგრამ შემ-დეგ ბოდიშიც მოუხდიათ“. ●

იმ სიმღერას ვახსენებ, რუსუდანი და მე ერთნაირად რომ მოგვნუსხა.

„ეს ძალიან ადრინდელი სიმღერაა. მერე და მერე ეს მელიზმი, სიტკებო უარვყავი.“

ჩვენ კი შეგვძრა და...

– ანა კალანდაძე წერს, ახალგაზ-რდობაში ლექსი თითქოს სუნთქვას მოჰყვებოდაო.

– ძალიან კარგი ნათქვამია.

– შეიძლება, სიმღერაზეც ასე ით-ქვას?

- რასაკვირველია.
- სხვათა შორის, მოგვიანებით ანა-
მაც უარყო „მელიზმი და სიტყბო“. მის-
მა გვიანდელმა ლექსებმა მეტი სიღრმე,
ფილოსოფიური და რელიგიური პლას-
ტები შეიძინა. ალბათ, ნანის სიმღერა-
საც იგივე დაემართა.
- რასაკვირველია. ახალგაზრდობა-
ში მართლა სუნთქვას, მელოდიას მივ-
ყავდი და მივყვებოდი. მერე და მერე კი
- სიტყვებს. უნდა იცოდე, რას და რა-
ტომ მღერი, რა გაქვს სათქმელი. ამას
ხშირად მაშინ ხვდები, როცა სცენაზე
გადიხარ და დარბაზს შეხედავ. რამ-
დენჯერ მითქვამს ჩემი კონცერტმაის-
ტერისთვის: „მედეა, არა უშავს, გავალ
და იქ ჩაირთვება ტვინი, გაჩნდება და-
მოკიდებულება“. ამიტომაც არის, რომ
ერთი და იგივე სიმღერა ერთნაირად
არასოდეს შემისრულებია.

●

კონცერტმაისტერი მართლაც დიდე-
ბული ჰყავდა – მედეა გონგლიაშვილი.
გასაოცრად ესმოდათ ერთმანეთის.
კომპოზიტორებში ხომ განსაკუთრე-
ბით გაუმართლა.

თუმცა, ესეც უნდა ვიკითხოთ: იქნებ
კომპოზიტორებს უფრო გაუმართლათ,
ნანი ბრეგვაძის თანამედროვენი რომ
აღმოჩნდნენ?!

ხომ ცნობილია:

„სიმღერას ვაზზე“ დიდხანს ვერ
უძებიდნენ გასაღებს, რადგან რეზო
ლალიძეს მამაკაცი მომღერლისთვის
ჰქონდა დაწერილი. ბევრი იწვალეს.
ბოლოს ბიძინა კვერნაძემ უთხრა, რას
ჯახირობ, ნანი აქ არ გყავსო?!

ასე დაიბადა რეზო ლალიძისა და
ნანი ბრეგვაძის ერთობლივი შედევრი.

- თქვენი კომპოზიტორი, ალბათ,
მაინც რეზო ლალიძეა.

- რასაკვირველია.

- რა გამოარჩევს ლალიძეს?

- ის, რომ ბევრს წერდა, ყველა სიმ-
ღერა საუკეთესო ჰქონდა და, ამავე

დროს – ერთმანეთისგან განსხვავებუ-
ლი.

- თანაც, ლალი. ალბათ, თვითონ
მის გვარშიც იდო ეს კოდი – სილალე.
კვერნაძეზე რას იტყვით?

- ო, ბიძინა იყო უნიჭიერესი, მაგრამ
ცოტას წერდა.

- ცაბაძე, ყანჩელი?!.. ყველანი
თქვენთვის წერდნენ. ყველას ადვილად
უგებდით? არ ეკამათებოდით?

- ისინი არ მეკამათებოდნენ. თუ
რაიმეში არ დავეთანხმებოდი, მეტყოდ-
ნენ, როგორც შენ ჩათვლი საჭიროდ,
ისე იმღერეო.

- ერთხელ თქვით, რომ ვაზზე სიმ-
ღერის შესრულება თავიდან გაგიჭირ-
დათ.

- დიახ, რადგან მთავარ ძარღვს
უცებ ვერ ჩავწვდი. მერე მივხვდი,
რომ მთავარი აზრი იდო ორ სიტყვაში:
„ფქსვო ნაკურთხო.“ იცით, კიდევ რამ
გამიადვილა? გაგიჟებით მიყვარს ვაზი,
ვენახი.

- კიდევ რა გიყვართ?

- ნაძვები.

- ბარემ აქვე გკითხავთ: თქვენთან
რომ მოვდიოდი, მოელოდით, რომ ასეთ
შეკითხვებს დაგისვამდით? – რომელი
კერძი გიყვართ? კვერცხის შეწვა ან
ბორშჩის მომზადება თუ იცით? მეულ-
ლე გლალატობდათ?

- როგორ გეკადრებათ. ხომ გიც-
ნობთ...

●

სეფე-სიმღერა მაინც „განთიადია“.
ისევ ლალიძე.

აკაკის ლექსზე, რომელიც ნოდარ
დუმბაძეს კაცის დაწერილად არც მიაჩ-
ნდა – პირდაპირ ღმერთის ბაგეებიდან
არის გადმოსულიო.

- ეს სიმღერა დაინწერა ფილმისთვის
„ჯვარცმული კუნძული“. ფინალურ
ეპიზოდში დედას დაღუპული ჯარისკა-
ცები ამ სიმღერის ფონზე უნდა გამო-
ეტირა. ამიტომ შენელებული ტემპით

უნდა შესრულებულიყო. სიმღერა ფილ-მში აღარ შევიდა.

— ძალანაც კარგი, სამაგიეროდ, უკვდავებაში შევიდა.

— თქვენ რა გასაოცრად დაწერეთ ამ სიმღერაზე?! მართლა ამაღლვა: თან მომენტისა, თან გამეხარდა, თან შემ-რცხვა...

— სულ ტყუილად შეგრცხვათ. ას-გზის გავიმეორებ:

ყველაფერი ხომ უფლის ნებით ხდება. უფლის ბაგებიდან გადმოიღვარა აკაკის „განთიადი“; უფლის ნებითვე გაჩნდა რეზო ლალიძე, რომელმაც ლვთაებრივ ლექსზე ლვთაებრივი მე-

სეულ მეუღლეს ვეთხოვებით. წამოს-ვლისას, სიტყვა პანთეონების პრობლე-მაზე ჩამოვარდება. აკაკი მინდიაშვილი იტყვის: „მთაწმინდაზე ერთი ადგილია დარჩენილი. ალბათ, ნანი ბრეგვაძეს შეუბახავენ“.

მე ჯერ შევცდები. მერე გამეხარდება.

ჯვარი სწერია და ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ნანი, რომელმაც ასაკი ნამდვილად დაამარცხა, მაგრამ ბატონი აკაკის ნათქვამი მეტად საგულისხმოა.

დღეს მთაწმინდა ისევე დაულაგებელია, როგორც მთელი ჩვენი სამშობლო. დალაგებულ ქვეყანაში რეზო ლა-



ლოდია შექმნა; უფლის ნებითვე, იქვე იყო ამ სიმღერის უბადლო შემსრულებელი.

ღიძეც იქ უნდა იყოს. ხოლო თუ ვინ არ უნდა იყოს, ამაზე – სხვა დროს...

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა...“
ბევრი ყოყმანის შემდეგ ესეც უნდა დავწერო:

ვდგავართ დიდუბის პანთეონში, რე-ვაზ ინანიშვილის საფლავთან. მის ღირ-

რაც შეეხება ასაკს:

ზურაბ ნიუარაძის სახელოსნოში ვართ: ბატონები – ვახტანგ ანანიაშვილი, ნოდარ ცერცვაძე (ოჩო) და მე.

ვსვამთ ბატონი ზურაბის სადლეგ-რძელოს. ყველა ზოგადად უსურვებს

ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას. მე რატომღაც ვაკონკრეტებ – გრიგოლ ხანძთელის ასაკზე მითითებით.

რამდენ ხანს იცოცხლა? – მეკითხება ბა ბატონი ზურაბი.

– ას ორ წელიწადს.

– ცოტაა. ბიძაჩემა ას თხუთმეტი შეასრულა. იმას უნდა მივპარო.

უსმინოს ღმერთმა!

ნანისაც იგივე ვუსურვოთ.



ამას რომ ვუამბობ, ქალბატონი ნანი გულიანად გაიცინებს, ერთი წუთის შემდეგ კი სახე შეეცვლება და იტყვის: ავადაა და ძალიან განვიცდი. ზურა ხომ უნიკალური პიროვნებაა. მხატვარზე აღარაფერს ვამბობ. რა პორტრეტები შექმნა?

– თქვენი პორტრეტი დაამთავრა ბოლოს და ბოლოს?

– არა, არ დაუმთავრებია. ხან იმანვერ მოიცალა, ხანაც – მე.

– როგორ ფიქრობთ, ადრე რატომ არ დაგხატათ?

– რა გითხრათ. ალბათ, არ მივაჩნდი საინტერესოდ...

– სხვათა შორის, ერთხელ თქვენზე მითხრა, ასაკში უფრო და უფრო საინტერესო გახდაო. ის ხომ გარეგნობას კი არა, სულს ხატავს, შინაგან სამყაროს.

– ჰოდა, გვიან დაიწყო ჩემი დახატვა. ერთხელ, ხატვის პროცესში მითხრა, მარჯვენა ხელი ამტკივდაო. მაშინ ვესუმრე, სანამ არ გაგიხმა ეგ ხელი, მანამდე არ დამხატე-მეთქი... ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარს. ბედნიერებაა, რომ ციცინო ციციშვილი ჰყავს გვერდით – არაჩვეულებრივი მეუღლე. ციცინოს მზრუნველობამ დიდწილად განაპირობა მისი შემოქმედებითი მიღწევები.



ბოლო დროს ხშირად კითხულობს გალაკტიონს.

ახლა უფრო ვგრძნობ და განვიცდიო.

ძალიან მოსწონებია ოთარ ჭილაძის „ათი მცნება“, განსაკუთრებით ის, რომ პირველ ადგილზე სინდისს აყენებს. პიროვნება ამით ფასდებაო.

ამასთან დაკავშირებით, კანტის ცნობილ გამოთქმას ვიხსენებ: „ორი რამ მაოცებს ამქვეყნად: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემ ზემოთ და მორალური კანონი ჩემ შიგნით“.

აღტაცებას გამოხატავს და დასძენს:

„ხშირად მახსენდება ბაბუა, რომელსაც ხელში უჭირავს წითელი ფანქარი და წიგნი, რომლის გარეკანზეც ანერია: იმმანუილ კანტ. ამ წიგნს ყველაზე ხშირად კითხულობდა.

– ეს რომელი ბაბუაა?

– დედაჩემის მამა, ალექსანდრე მიქელაქე, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ორი ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული – მათემატიკური და იურიდიული.



ქებაში ზოგჯერ ვის არ გაქცევია კალამი.

ამას წინათ „ცისკრის“ მთავარმა რედაქტორმა ერთი თანამედროვე პოეტის მიმართ გამოყენებული არცთუ ძალიან მოუზომავი ეპითეტი დამიწუნა. თან დასძინა, ხომ იცი, რედაქტორის ამბავი, ჩემი წერილი რომ შენს ხელში მოხვდეს, ასევე მოექცევიო.

ჰოდა, იმავე ბატონმა, ანუ ამირან გომართელმა, ნანიზე სტატიის დაწერა რომ მთხოვა, ესეც დააყოლა: ხომ იცი, ნანი ბრეგვაძე მარადისობაა!

ამ ეპითეტს ნამდვილად არ წავუშლიდი.

მართლაც, რა ეპითეტი უნდა გამოვიყენო ნანის მისამართით, ვინმეს გადაჭარბებულად რომ მოეჩვენოს?

საუკუნის მომლერლად დაასახელეს; რეზო ლალიძემ ბუნების ყველაზე დიდ მგოსანს შეადარა. როცა ნანის ფენომენის ახსნა სთხოვეს, ასე უპასუხა: „განა შესაძლებელია იმის ახსნა, როგორ მღერის ბულბული?!”

ცნობილმა მუსიკის მცოდნემ, ქალბატონმა ნანა ქავთარაძემ, ჯერ კიდევ როდის თქვა: „საქართველოს თვის ნანი ბრეგვაძე იგივეა, რაც ედიტ პიაფი საფრანგეთის თვის“.

ლეგენდარულიც უკვე უწოდეს.

პირდაპირი მნიშვნელობითაც შექმნა ლეგენდა – შარშან, ოთხმოცდაორი წლის ასაკში, „ბლეკ სი არენას“ ვეება დარბაზის ვეება სცენაზე რომ დადგა და მსმენელი ძველებურად მონუსხა.

მართალია, ზოგი სიმღერის შესრულებით თვითონ არ არის კმაყოფილი, მაგრამ კმაყოფილი ანკი როდის ყოფილა?!



რა ადვილად დავწერე მისი ასაკი?!

თვითონაც ადვილად ამხელს, რადგან ასაკი მართლა დაამარცხა.

რა თქმა უნდა, ნანი მარადისობაა.

მასსოვს, როგორ ნერვიულობდა, თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე მისი სახელი, მხოლოდ სახელი რომ ენთო. როგორ მიიღებდა ამას ხალხი აკაკის სამშობლოში?

ანაც ასევე ლელავდა, მის წიგნს მხოლოდ სახელი რომ დააწერეს.

მერე და მერე ვინ აღარ გაბედა (თუ იკადრა?!?) საკუთარი პერსონის მარტო სახელით წარდგენა, მაგრამ საზოგადოებას ეს სასაცილოდაც არ ეყო.

ანა და ნანი კი სრულიად ბუნებრივად მიიღეს.

პირველად გურამ ასათიანმა შეადარა ბულბულს (ვაჟას უელი „ანა-ბულბულის“ მოშველიებით), მეორედ კი – რევაზ ლალიძემ.

ანას კლასიკოსობას ეჭვევეშ ვინ დააყენებს?! ასევე არავინ შეედავება

ანზორ ერქომაიშვილს, რომელიც ამბობს: „ნანი ერთადერთია, ვინც შეძლო, ესტრადა კლასიკის დონეზე აეყვანა“.



როცა აქებენ, თავს უხერხულად გრძნობს. განსაკუთრებით, თუ მისი კოლეგებიც იქ არიან.

ზოგჯერ არ ვიცი, სად დავიმალოო.

– იცით, ანზორ ერქომაიშვილს, ამისგან დასაცავად, რა კარგი ფრაზა აქვს მოფიქრებული?

– რაო?

– „თუ გენიოსს გინოდებენ, ბედნიერებაა, თუ დაიჯერებ – უბედურება.“

– შესანიშნავია. დავიმახსოვრებ.



მისი თავმდაბლობა, შესაძლოა, ადვილად შესამჩნევი და თვალშისაცემი არც იყოს, რადგან ეს ის შემთხვევაა, როცა თავმდაბლობა სიამაყეს არ გამორიცხავს. ანდა რატომ უნდა გამორიცხავდეს?! დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე ამბობს, ანა კალანდაძეზე უფრო თავმდაბალი ადამიანი არ შემხვედრია, მაგრამ არნოლდ ჩიქობავა დიდ პოეტში ამაყ სულსაც ადვილად ხედავდა. იქნებ სწორედ ამას გულისხმობდა პოლ ვალერი, როცა წერდა, დიდი ადამიანები მათივე სიამაყის შუქზე უნდა განვიხილოთო.

საკუთარი ღირსების გრძნობაც უთუოდ აქედან მოდის.



„გულახდილად რომ გითხრათ, ჩემი ნამღერი ძალიან იშვიათად მომწონებია. ვერც ვუსმენ. დედას უფლებას არ ვაძლევდი, ჩემი სიმღერები ჩემივე თანდასწრებით მოესმინა. სულ ოთხისუთი სიმღერა მექნება კარგად შესრულებული“.

აქ მიხეილ თუმანიშვილი გამახსენდა. ისიც ასე ამბობდა, სულ ოთხისუ-

თი სპექტაკლი გამომივიდაო.

დიდი ადამიანები მათივე თავმდაბლობის შუქზე უნდა განვიხილოთ.

უკაცრავად დიდ ფრანგ პოეტსა და მოაზროვნესთან, მაგრამ თავმდაბლობა უკეთ ანათებს.

ნანი კი განაგრძობს:

„აი, „განთიადი“ – თქვენ რომ ასე მოგწონთ, მხოლოდ ერთხელ შევასრულე კარგად და იცით, სად? – რაჭაში, ლია ცის ქვეშ, ხელოვნების ფესტივალზე. ამით დაიხურა ის ფესტივალი. მაშინ კათოლიკოს-პატრიარქმა მითხრა, ამ ყველაფერს გვირვინი დაადგიო.“

– როგორ ფიქრობთ, ეს რით აიხსნება?

– არ ვიცი. აუხსნელია.

– იქნებ იმით, რომ წარმოშობით რაჭველი ხართ და ფესვებს შეეხეთ?

– შესაძლოა, მაგრამ მაინც აუხსნელია.

– აქ ისევ ანა:

თუ ჰყითხავდით, ლექსი როგორ იბადებაო, თითით ზემოთ მიგანიშნებდათ – ეს აუხსნელია, „იმას“ უნდა ჰყითხოთ...

უკვე რამდენჯერ ვახსენე ანა.

ვითომ შემთხვევით?

ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად განსხვავებული არიან, სინამდვილეში კი რამდენი აქვთ საერთო?!“

არა მხოლოდ ტალანტი.

„თავისთვის იდგა ჩრდილში, არას იტყოდა ანა, ნიჭი, ძამიკო, ნიჭი, გალაკტიონმა ბრძანა...“

უბრალოდ, მომლერალი ჩრდილში ვერ დადგება.

თავის ულამაზეს ბინაში მარტო დამხვდა.

„სხვათა შორის, მარტოობას ადვილად ვეგუები. უფრო ზუსტად, ვერც კი ვგრძნობ მარტოობას, არც ვიცი, რას ნიშნავს“.

აქ ნათელა იანქოშვილის ნათქვა-მი მახსენდება: „მარტო ის არის, ვინც ძლიერია“.

რა თქმა უნდა, შემოქმედებით მარტოობას გულისხმობდა.

ცალკე, „თავისთვის“ დგომას.

ნანიც ამას გულისხმობდა, თორემ მარტო ვინ დატოვებს – ეკა, მისი სამი შვილი თუ ამდენივე შვილიშვილი?!“



„თბილისო“ არ გვიხსენებია.

ვიცი, რას ნიშნავს მისთვის ეს სიმღერა, ურომლისოდაც კონცერტს არსად ამთავრებინებენ.

ისიც ვიცი, უთბილისოდ გაძლება რომ უჭირს.

და ზედმეტი კითხვები რაღა საჭიროა!“

არც ვეკითხები, მაგრამ ბოლოს ხელს ჩამკიდებს და აივანზე გამიყვანს.

აივანი, წესით, მთაწმინდას უნდა გასცექეროდეს, მაგრამ...

„აქ პატარა სამოთხე გვერდა. ჯერ ერთი დიდი კორპუსი ააშენეს, შემდეგ – მეორე. თავს იმით ვინუგეშებდით, რომ მათ შორის ცოტა სივრცე მაინც რჩებოდა. ზუსტად იქ ჩადგეს მესამე სახლი“.“

ამას რომ მეუბნება, ოდნავადაც არ ეტყობა გალიზიანება. უბრალოდ, მაჩვენებს და თავადვე ვხვდები, რა დაემართა თბილისს.

მაშინ საბოლოოდ ვასკვნი, რომ ნანის არ უხდება ძახილის ნიშანი.

და მისი აივნიდან მაინც ვხედავ მთაწმინდას.

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა...“



ნანი!

ბირველად ეს სახელი (მხოლოდ სახელი) თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე აენთო.